# საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიის 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმის

## 2022 წლის შესრულების მონიტორინგის ანგარიში

2023 წელი

# სარჩევი

მოკლე შეჯამება .......... 7

სტრატეგიული მიზანი 1: კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო სექტორები .......... 9

ამოცანა 1.1 ფერმერთა და მეწარმეთა ცოდნის/ინფორმირებულობის ამაღლების უზრუნველყოფა .......... 9

აქტივობა 1.1.1. ფერმერთათვის ეფექტიანი საექსტენციო მომსახურების მიწოდება .......... 10

აქტივობა 1.1.2: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება აგრარული მიმართულებით .......... 12

აქტივობა 1.1.3: სოფლად უნარების განვითარების ხელშეწყობა (ENPARD IV, ინდიკატორი 2.3) .......... 13

ამოცანა 1.2: სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე, მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით; ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა .......... 14

აქტივობა 1.2.2. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების გადამამუშავებელი დანადგარებით აღჭურვა .......... 16

(ა) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ინფრასტრუქტურის განვითარება .......... 16

(ბ) მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერა .......... 18

აქტივობა 1.2.3. თანამედროვე ხეხილის ბაღების გაშენების ხელშეწყობა .......... 20

აქტივობა 1.2.4: ქართული ჩაის წარმოების ხელშეწყობა .......... 22

აქტივობა 1.2.5: სადაზღვევო პრემიის სუბსიდირება, აგროდაზღვევის განვითარების მიზნით .......... 24

აქტივობა 1.2.6: აგროკრედიტების საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება .......... 26

აქტივობა 1.2.7: ფერმერებისთვის მოსავლის ამღები ტექნიკის შეძენის თანადაფინანსება .......... 27

აქტივობა 1.2.8: შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა/გადაიარაღების თანადაფინანსება .......... 29

აქტივობა 1.2.9: ხარისხის სქემების განვითარება და მხარდაჭერა ეროვნულ და რეგიონალურ დონეზე .......... 31

აქტივობა 1.2.10: ინდუსტრიების მიმართულებით კრედიტისა და ლიზინგის საგნის პროცენტის თანადაფინანსება .......... 32

აქტივობა 1.2.11: სასტუმრო ინდუსტრიის განვითარება/გაფართოების მიმართულებით კრედიტისა და ლიზინგის საგნის პროცენტის თანადაფინანსება .......... 34

აქტივობა 1.2.12: სასათბურო კლასტერის მოწყობა .......... 35

*აქტივობა 1.2.13: არასასოფლო-სამეურნეო და განახლებადი ენერგიების/ენერგო ეფექტურობის მიმართულების პროექტების თანადაფინანსება* ....................................... 37

*აქტივობა 1.2.14: სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა ხელშეწყობა სახელმწიფო სუბსიდირებით (COVID-19-ის გამოწვევების საპასუხოდ)* .... 39

*აქტივობა 1.2.15: კოოპერატივების ან/და მწარმოებელთა ასოციაციების ბიზნეს-საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა (ENPARD IV, ინდიკატორი 1.4.)* ........................ 40

*აქტივობა 1.2.16: აგრო-სასურსათო პროდუქციის მწარმოებელთა ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა (ENPARD IV, ინდიკატორი 1.5.)* ....................................................... 41

*აქტივობა 1.2.17: კოოპერატივების ბიზნეს-საქმიანობის მოდერნიზების მხარდაჭერა (ENPARD IV, ინდიკატორი 1.8.)*........................................................................................ 42

*აქტივობა 1.2.18 სოფლად არასასოფლო-სამეურნეო მიმართულებით ქალების დასაქმების ხელშეწყობა (ENPARD IV, ინდიკატორი 2.9.)* ....................................................... 42

*აქტივობა 1.2.19. შერჩეული LEADER/CLLD-ის ინიციატივების ფინანსური მდგრადობის ხელშეწყობა (ENPARD IV, ინდიკატორი 2.8.)* ....................................................... 43

*აქტივობა 1.2.20: ფერმერებისთვის სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის შეძენის თანადაფინანსება*........................................................................................................ 44

*აქტივობა 1.2.21: ოთხი საპილოტე რეგიონში ახალი საწარმოების შექმნა ან არსებული საწარმოების გაფართოება/გადაიარაღება*........................................................................... 46

*აქტივობა 1.2.22 ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლების ინვენტარიზაცია*..................... 48

*ამოცანა 1.3 ფერმერთა/მეწარმეთა ბაზარზე ინტეგრაცია* ............................................... 50

*აქტივობა 1.3.1.: ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციის მხარდაჭერა/ღონისძიებების გატარება* ........................................................................ 51

*აქტივობა 1.3.2: ქართული ვაზის წარმოშობის პოპულარიზაციის უზრუნველყოფა*......... 55

*აქტივობა 1.3.3: ადგილწარმოშობის დასახელებების და გეოგრაფიული აღნიშვნების სისტემის განვითარება*...................................................................................................... 57

*აქტივობა 1.3.4: სურსათის წარმოების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა* ........................................................................................................... 58

*აქტივობა: 1.3.5. ვენახების კადასტრის აგება*.............................................................. 60

*ამოცანა 1.4: სოფლად ახალგაზრდა ფერმერებისა და მეწარმეების სტიმულირება* .................. 61

*აქტივობა 1.4.1. საზოგადოებრივ ცენტრებში (28 რაიონული ცენტრი) სოფლის ახალგაზრდებისთვის ტრენინგების ჩატარება სამართლებრივ და მოქალაქეობრივ საკითხებზე*.............................................................................................................. 62

*ამოცანა 1.5: ინფრასტრუქტურასა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა* .................... 64

*აქტივობა 1.5.1: ფერმათა რეესტრის განვითარების უზრუნველყოფა*.................................. 64

*აქტივობა 1.5.2: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება* ........ 66

*აქტივობა 1.5.3: პროფესიულ განათლებაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება* ........ 68

*აქტივობა 1.5.4: სოფლად საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება* ........ 69

*აქტივობა 1.5.5: სოფლად სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობა* ........ 70

*აქტივობა 1.5.6: სოფლად სპორტული და კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია* ........ 72

*აქტივობა 1.5.7: სოფლად წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია* ........ 73

*აქტივობა 1.5.9: მყარი ნარჩენების მართვა (ევროკავშირის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისთვის (ENPARD IV) - ინდიკატორი 2.4)* ........ 74

*აქტივობა 1.5.10: სოფლად ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (ევროკავშირის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისთვის (ENPARD IV) - ინდიკატორი 2.5)* ........ 75

*აქტივობა 1.5.11: საჯარო სერვისებზე ხელმისაწვდომობა - საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (ევროკავშირის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისთვის (ENPARD IV) - ინდიკატორი 2.7)* ........ 75

*ამოცანა 1.6 ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესება* ........ 76

*აქტივობა 1.6.1: სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია* ........ 77

*აქტივობა 1.6.2: ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების (მაგისტრალური არხების) რეაბილიტაცია* ........ 78

*აქტივობა 1.6.3: წყლის რესურსების მომხმარებელთა ციფრული მონაცემთა ბაზის შექმნა* ........ 80

*აქტივობა 1.6.4: მიწის სამელიორაციო ღონისძიებების განხორციელება (ENPARD IV, ინდიკატორი 2.6.)* ........ 81

*ამოცანა 1.7 სოფლად ტურიზმისა და შესაბამისი ტურისტული პროდუქტების განვითარება* 82

*აქტივობა 1.7.1: სოფლად ტურისტული პროდუქტის განვითარება* ........ 82

*აქტივობა 1.7.2: მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება* ........ 83

*აქტივობა 1.7.3: კერძო სექტორის უნარების განვითარება ტურისტული მომსახურების კუთხით (გადამზადების პროგრამა)* ........ 84

*სტრატეგიული მიზანი 2: ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, ეკოსისტემების შენარჩუნება, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია* ........ 85

*ამოცანა 2.1: გარემოსთან ადაპტირებული, კლიმატგონივრული სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის გავრცელება და ბიო/ორგანული წარმოების განვითარების ხელშეწყობა* ........ 85

აქტივობა 2.1.1: კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის შესაძლებლობების განსაზღვრა და ხელშეწყობა ...85
ამოცანა 2.2: ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობა ...86
აქტივობა 2.2.1: დაცული ტერიტორიების ტურისტულ მარშრუტებზე ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ...87
აქტივობა 2.2.2: დაცული ტერიტორიების ინფრასტრუქტურით აღჭურვა ...89
ამოცანა 2.3: ტყის რესურსების მდგრადი გამოყენება ...90
აქტივობა 2.3.1: მერქნული რესურსის მართვა ...90
აქტივობა 2.3.2: ტყის მოვლა და აღდგენა ...92
აქტივობა 2.3.3: ტყის აღრიცხვა-ინვენტარიზაციის განხორციელება ...93
ამოცანა 2.4: ენერგო-ეფექტური და განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიების და პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა ...94
აქტივობა 2.4.1: ბიოსაწვავის წარმოების შესახებ კანონქვემდებარე აქტების შემუშავება . 94
ამოცანა 2.5: აგრო-ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება ...95
აქტივობა 2.5.1 საქართველოს ფაუნის ადგილობრივ ჯიშებზე და პოპულაციებზე კვლევების ჩატარება ...96
აქტივობა 2.5.2: ერთწლოვან და მრავალწლოვან კულტურებზე კვლევების ჩატარება... 100
სტრატეგიული მიზანი 3: სურსათის /ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეფექტური სისტემები ...103
ამოცანა 3.1: ევროკავშირის კანომდებლობასთან საქართველოს სანიტრიული და ფოტისანიტარიული სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის დაახლოება ...103
აქტივობა 3.1.1: ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის პროექტის შემუშავება. ...104
აქტივობა 3.1.2. სურსათის უვნებლობის ხარისხის მართვის სისტემის (QMS) განვითარების ხელშეწყობა (ENPARD IV, ინდიკატორი 1.7.) ...105
ამოცანა 3.2: ადგილობრივი და საექსპორტო ბაზრებისთვის მიწოდებული პროდუქციის შესაბამისობის უზრუნველყოფა სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ სტანდარტებთან..... 106
აქტივობა 3.2.1: სურსათის უვნებლობის მიმართულებით ლაბორატორიული კვლევების ჩატარება ...107
აქტივობა 3.2.2: ცხოველთა პროფილაქტიკური ვაქცინაციების განხორციელება ...108
აქტივობა 3.2.3: მავნე მწერების წინააღმდეგ მცენარეთა დამუშავება ...110
აქტივობა 3.2.4: აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ფართობების დამუშავება ...112

*აქტივობა 3.2.5 ბაზარზე წარმოდგენილი ღვინის ნიმუშების ლაბორატორიული კვლევების განხორციელება*......114
*აქტივობა 3.2.6 სურსათის ბიზნეს ოპერატორების საქმიანობის სურსათის უვნებლობის ეროვნულ რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა (ENPARD IV, ინდიკატორი 1.3.)*......115
*აქტივობა 3.2.7 მეცხოველეობის პროდუქტების სურსათის უვნებლობის სტანდარტებთან შესაბამისობის ხელშეწყობა (ENPARD IV, ინდიკატორი 1.6.)*......115
*ამოცანა 3.3: ლაბორატორიული შესაძლებლობების გაძლიერება*......116
*აქტივობა 3.3.1. კვლევის ახალი მეთოდებისა და პარამეტრების დანერგვა*......117
*ამოცანა 3.4: სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებების ხარისხის უზრუნველყოფა*......119
*აქტივობა 3.4.1: თესლისა და სარგავი მასალის სერტიფიცირების სქემის შემდგომი განვითარება*......120
*აქტივობა 3.4.2 : საქართველოს მიწის ფონდის შესწავლა*......121
*აქტივობა 3.4.3: სოფლის მეურნეობის პროდუქტთა შენახვა-გადამუშავების მეთოდების სამეცნიერო კვლევა*......124

## მოკლე შეჯამება

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბერის N2665 განკარგულებით დამტკიცებული საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგია წარმოადგენს ქვეყნის განვითარების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილს, ყველა იმ სექტორული თუ მულტისექტორული განვითარების მიმართულებებს და კონკრეტული ღონისძიებების ერთობლიობას, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობისა და სოფლის მდგრად განვითარებას.

სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგიული ხედვის განსახორციელებლად განსაზღვრულია 3 სტრატეგიული მიმართულება:

- კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო სექტორები;
- ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, ეკოსისტემების შენარჩუნება, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია;
- სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეფექტური სისტემები.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიის 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა **2022 წლისთვის მოიცავს 69 აქტივობას, აქედან 13 აქტივობა ფარავს** სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა (ENPARD) - მეოთხე ფაზის შესრულების ინდიკატორების წლიურ შესრულებას.

2022 წელს, 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმის მიხედვით, გათვალისწინებული იყო აქტივობების დაფინანსება საერთო ბიუჯეტით **610,588,620** ლარი, ხოლო საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტის ფაქტიურმა ათვისებამ შეადგინა **799,784,428.31** ლარი.

| სტრატეგიული მიზანი | ამოცანა | აქტივობების რაოდენობა | 2022 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი (ლარი) | 2022 წლის ბიუჯეტის შესრულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|
| **1. კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო სექტორები** | 1.1: ფერმერთა და მეწარმეთა ცოდნის / ინფორმირებულობის ამაღლების უზრუნველყოფა | 3 | 275,000 | 532,102.17 |
| | 1.2: სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე, მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით; ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | 21 | 296,308,820 | 387,605,268.59 |
| | 1.3 ფერმერთა/მეწარმეთა ბაზარზე ინტეგრაცია | 5 | 13,500,000 | 12,249,263.58 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **1.4: სოფლად ახალგაზრდა ფერმერებისა და მეწარმეების სტიმულირება** | 1 | 0 | 0 |
| | 1.5: ინფრასტრუქტურასა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა | 10 | 129,449,300 | 244,141,973.36 |
| | 1.6: ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესება | 4 | 68,000,000 | 54,391,695 |
| | 1.7 სოფლად ტურიზმისა და შესაბამისი ტურისტული პროდუქტების განვითარება | 3 | 950,000 | 839,087 |
| | **პირველი სტრატეგიული მიზანი** | **47** | **508,483,120.00** | **699,759,389.70** |
| **2. ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, ეკოსისტემების შენარჩუნება, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია** | 2.1: გარემოსთან ადაპტირებული, კლიმატგონივრული სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის გავრცელება და ბიო/ორგანული წარმოების განვითარების ხელშეწყობა | 1 | 0 | 0 |
| | 2.2: ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობა | 2 | 16,650,000 | 16,785,406.61 |
| | 2.3: ტყის რესურსების მდგრადი გამოყენება | 3 | 23,700,000 | 22,760,820 |
| | **2.4: ენერგო-ეფექტური და განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიების და პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა** | 1 | 0 | 0 |
| | 2.5: აგრო-ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება | 2 | 2,000,000 | 1,929,488 |
| | მეორე სტრატეგიული მიზანი | **9** | **42,350,000** | **41,475,714.61** |
| **3. სურსათის /ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეფექტური სისტემები** | 3.1: ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის დაახლოება | 2 | 0 | 0 |
| | 3.2: ადგილობრივი და საექსპორტო ბაზრებისთვის მიწოდებული პროდუქციის შესაბამისობის უზრუნველყოფა სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ სტანდარტებთან | 7 | 51,750,000 | 49,869,744 |
| | 3.3: ლაბორატორიული შესაძლებლობების გაძლიერება | 1 | 7,855,500 | 8,578,021 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 3.4: სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებების ხარისხის უზრუნველყოფა | 3 | 150,000 | 101,559 |
| მესამე სტრატეგიული მიზანი | | 13 | 59,755,500 | 58,549,324 |
| საერთო ჯამი | | 69 | 610,588,620.00 | 799,784,428.31 |

### აგროსასურსათო სექტორი - განვითარების ტენდენციები

აგროსასურსათო სექტორის განვითარების მიმართულებით, 2022 წელს მნიშვნელოვანი პოზიტიური შედეგები დაფიქსირდა.

2022 წლის წინასწარი მონაცემებით, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობებში პროდუქციის გამოშვების (სოფლის მეურნეობის პირველადი პროდუქციის გამოშვება) მაჩვენებელმა 7.1 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც 2018 წლის მაჩვენებელს 45.4%-ით, ხოლო 2021 წლის მონაცემს - 12.2%-ით აღემატება.

2022 წლის წინასწარი მონაცემებით, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავების შედეგად მიღებულმა პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელმა 8.5 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც 2018 წლის მაჩვენებელს 61.1%-ით, ხოლო 2021 წლის მონაცემს - 16.1%-ით აღემატება.

2022 წლის წინასწარი მონაცემებით, დამატებული ღირებულების მაჩვენებელმა 4.4 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც 2018 წლის მაჩვენებელს 44.8%-ით აღემატება, ხოლო 2021 წლის მონაცემებს 12.6%.

2022 წელს, აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის ღირებულებამ 1 262 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 296 მლნ აშშ დოლარით (30.6%) აღემატება 2018 წლის მაჩვენებლებს, ხოლო 2021 წლის მონაცემებს 10.5%-ით.

# სტრატეგიული მიზანი 1: კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო სექტორები

სტრატეგიული მიზანი 1 - კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო სექტორები მოიცავს 7 ამოცანას და 47 აქტივობას.

## ამოცანა 1.1 ფერმერთა და მეწარმეთა ცოდნის/ინფორმირებულობის ამაღლების უზრუნველყოფა

1.1. ამოცანის შესრულების მიზნით, 2022 წელს 3 აქტივობა განხორციელდა - ფერმერთათვის ეფექტიანი საექსტენციო მომსახურების მიწოდება და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება აგრარული მიმართულებით და სოფლად უნარების

განვითარების ხელშეწყობა, ამოცანის აქტივობები განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მის სტრუქტურაში შემავალი სააგენტოებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ.

**ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული აქტივობების შედეგად, 2022 წლის განმავლობაში:**

⇒ საკონსულტაციო მომსახურება გაეწია 32,752 ბენეფიციარს (ფიზიკური და იურიდიული პირი);

⇒ სოფლის მეურნეობის მიმართულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩაირიცხა 803 პირი, რაც 2021 წლის მაჩვენებელთან (605 პირი) შედარებით, 32,7 % - ით მეტია.

⇒ 2022 წელს გამოცხადებული მიღების ფარგლებში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე (გარდა სოფლის მეურნეობის მიმართულებისა 081) ჩაირიცხა 6 267 ქალი რაც 2019 წლის მაჩვენებელთან შედარებით 88.5 % -ით მეტია.

**1.1 ამოცანის შესრულების მიზნით 2022 წელს, სახელმწიფოს მიერ, ამოცანის განხორციელებისთვის გახარჯულია 532,102.17 ლარი.**

## აქტივობა 1.1.1. ფერმერთათვის ეფექტიანი საექსტენციო მომსახურების მიწოდება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო

აქტივობის მიზანი: ფერმერებისათვის და აგრარულ სფეროში დასაქმებული სოფლად მცხოვრები მოსახლეობისათვის სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის განხორციელება საოფისე, დისტანციურ და საველე პირობებში. ექსტენციის სამსახურები დარგობრივი მიმართულებით საინფორმაციო-საკონსულტაციო საქმიანობის განხორციელების პარალელურად, უზრუნველყოფენ სააგენტოს მიერ განხორციელებული და მიმდინარე პროექტების პოპულარიზაციას.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2022 წლის განმავლობაში 9 რეგიონული სამსახურისა და 45 საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის მიერ საერთო ჯამში გაიცა 20,551 კონსულტაცია. საკონსულტაციო მომსახურება გაეწია 32,752 ბენეფიციარს (ფიზიკური და იურიდიული პირი). სოფლად, ადგილობრივ მოსახლეობასთან საინფორმაციო - საექსტენციო შეხვედრების რაოდენობამ შეადგინა 1,239 ერთეული.

საკონსულტაციო მომსახურება ხორციელდებოდა სხვადასხვა საშუალებით: ოფისში; სატელეფონო საუბრები; SMS შეტყობინება; დაინტერესებულ პირთა ფართობებში ვიზიტი; სოფლებში ფერმერებთან ჯგუფური შეხვედრები; შეხვედრები იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივ ცენტრებში; ელექტრონული ფოსტისა და სოციალური ქსელების გამოყენებით.

საექსტენციო მომსახურეობის მეტი ხელმისაწვდომობის მიზნით, რეგიონული სამსახურები და საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების თანამშრომლები სარგებლობენ შემდეგი ელექტრონული პლატფორმებით:

- **regions.mepa.gov.ge** - ხდება ფერმერთა პრობლემებზე ოპერატიული რეაგირება; გაწეული კონსულტაციების აღრიცხვა; სტიქიების აღრიცხვა; ფერმერთა ტრენინგების აღრიცხვა; სხვადასხვა საინფორმაციო შეტყობინებების გაგზავნის შესაძლებლობები;
- **elibrary.mepa.gov.ge** - მოიცავს ელექტრონულ ბიბლიოთეკას; სადემონსტრაციო ნაკვეთების ეროვნულ ქსელს; ღონისძიებების კალენდარს; წარმატებულ პროექტებს; სიახლეების გამოწერის ველს;
- **my.mepa.gov.ge** - ფერმერთა ერთიანი ელექტრონული პორტალი.

2022 წელს რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტი ჩართული იყო როგორც "რთველი 2022"-ის და "2022 წლის არასტანდარტული ვაშლის რეალიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებების" პროგრამებში, ასევე, „თხილის წარმოების ხელშეწყობის პროგრამა"-ში.

რეგიონული სამსახურების მიერ შემუშავდა, შიდა მოხმარებისთვის ოპერატიულ-სტატისტიკური მონაცემების დოკუმენტი - "მონაცემთა ბაზები 2022".

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2022 წელს, დაგეგმილი იყო, რომ საკონსულტაციო მომსახურება განხორციელება 70,000 ბენეფიციარისთვის (ფიზიკური და იურიდიული პირი). საანგარიშო პერიოდში საკონსულტაციო მომსახურება გაეწია 32,752 ბენეფიციარს (ფიზიკური და იურიდიული პირი). 2022 წლის ინდიკატორის შესრულების დაბალი %, გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ კონსულტაციების აღრიცხვა სრულად ხდება ელექტრონულად - Regions.mepa.gov.ge-ზე, მხოლოდ კონსულტაციის მიმღები პირის თანხმობის შემთხვევაში. შესაბამისად, პერსონალური მონაცემების გამოყენებაზე უარი აფერხებს გაცემული კონსულტაციების სრულყოფილად აღრიცხვის პროცესს.

აქტივობა განხორციელდა ადმინისტრაციული ხარჯის ფარგლებში.

| ამოცანა 1.1 ფერმერთა და მეწარმეთა ცოდნის/ინფორმირებულობის ამაღლების უზრუნველყოფა | |
|---|---|
| პროგრამის ნომერი და სახელწოდება | აქტივობა 1.1.1. ფერმერთათვის ეფექტიანი საექსტენციო მომსახურების მიწოდება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2022 – 31.12.2022 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |

| დაგეგმილი: 2022 წელს, საკონსულტაციო მომსახურება გაეწევა 70,000 ბენეფიციარს (ფიზიკური და იურიდიული პირი). | შესრულებული: 2022 წელს, საკონსულტაციო მომსახურება გაეწია 32,752 ბენეფიციარს (ფიზიკური და იურიდიული პირი). |
|---|---|
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 0.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 0.00 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | X | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## აქტივობა 1.1.2: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება აგრარული მიმართულებით

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო/ პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი

აქტივობის მიზანი: სოფლის მეურნეობის მიმართულების პროგრამების შეთავაზება დაინტერესებული პირებისათვის, რათა აგრარული სექტორი უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი განათლების მქონე სპეციალისტებით.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2022 წელს განსაზღვრული იყო სოფლის მეურნეობის მიმართულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული პირების რაოდენობის ზრდა 2021 წლის მაჩვენებელთან შედარებით 3%-ით. 2022 წლის განმავლობაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელმა დაწესებულებებმა აქტიური სამუშაოები განახორციელეს პროფესიულ სტუდენტთა ახალი ნაკადის მიღების მიზნით. მათ შორის, შეიმუშავეს და დაიმატეს ახალი პროგრამები. შედეგად, გაიზარდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობა და 2022 წელს მიაღწია 17 200-ს. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მოწოდებული მონაცემების შესაბამისად, 2022 წელს, სოფლის მეურნეობის მიმართულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩაირიცხა 803 პირი, რაც 2021 წლის მაჩვენებელთან (605 პირი) შედარებით, 32.7%-ით მეტია.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

სამოქმედო გეგმით, 2022 წელს დაგეგმილი იყო - 275,000.00 ლარის ოდენობით საპროგნოზო ბიუჯეტი. აღნიშნული მიმართულების პროგრამებზე 2022 წელს ჩარიცხული სტუდენტების ვაუჩერული დაფინანსების ოდენობამ შეადგინა 532,102.17 ლარი.

| ამოცანა 1.1 ფერმერთა და მეწარმეთა ცოდნის/ინფორმირებულობის ამაღლების უზრუნველყოფა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.1.2: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება აგრარული მიმართულებით |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2022 – 31.12.2022 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2022 წელს: პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სოფლის მეურნეობის მიმართულებით ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა 2021 წლის მაჩვენებელთან შედარებით გაიზრდება 3%-ით; | **შესრულებული:**<br>2022 წელს, სოფლის მეურნეობის მიმართულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩაირიცხა 803 პირი, რაც 2021 წლის მაჩვენებელთან (605 პირი) შედარებით, 32.7%-ით მეტია. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 275,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 532,102.17 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## აქტივობა 1.1.3: სოფლად უნარების განვითარების ხელშეწყობა (ENPARD IV, ინდიკატორი 2.3)

| ამოცანა 1.1 ფერმერთა და მეწარმეთა ცოდნის/ინფორმირებულობის ამაღლების უზრუნველყოფა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.1.3: სოფლად უნარების განვითარების ხელშეწყობა (ENPARD IV, ინდიკატორი 2.3) |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო/სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (EMIS) |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2022 – 31.12.2022 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |

| **დაგეგმილი:** | **შესრულებული:** |
|---|---|
| 2022 წელს: ტექნიკური და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებში, რომლებიც უზრუნველყოფენ სოფლად არასასოფლო-სამეურნეო დასაქმებისათვის საჭირო უნარების გაუმჯობესებას, ჩარიცხული ქალების რაოდენობა 2019 წელთან შედარებით, გაიზრდება სულ მცირე 5 %-ით. | 2022 წელს გამოცხადებული მიღების ფარგლებში, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე (გარდა სოფლის მეურნეობის მიმართულებისა - 081) ჩაირიცხა 13 411 პირი, მათგან 6 267 ქალი და 7 144 კაცი. |

<table>
<tr><td rowspan="4">შესრულების შეფასება</td><td></td><td>სრულად შესრულდა</td><td>უმეტესწილად შესრულდა</td><td>ნაწილობრივ შესრულდა</td><td>არ შესრულდა</td><td></td></tr>
<tr><td>რეიტინგი</td><td>X</td><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td>განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა</td><td>განხორციელების პროცესი მიმდინარეობს</td><td>განხორციელების პროცესი შეჩერებულია</td><td>განხორციელების პროცესი შეწყვეტილია</td><td>განხორციელების პროცესი დასრულებულია</td></tr>
<tr><td>სტატუსი</td><td></td><td>X</td><td></td><td></td><td></td></tr>
</table>

## ამოცანა 1.2: სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე, მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით; ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

1.2 ამოცანის შესრულების მიზნით, 2022 წელს 21 აქტივობა განხორციელდა, მათ შორის,სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების გადამამუშავებელი დანადგარებით აღჭურვა, თანამედროვე ხეხილის ბაღების გაშენების ხელშეწყობა, ქართული ჩაის წარმოების ხელშეწყობა, სადაზღვევო პრემიის სუბსიდირება, აგროდაზღვევის განვითარების მიზნით, აგროკრედიტების საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება, ფერმერებისთვის მოსავლის ამღები ტექნიკის შეძენის თანადაფინანსება, შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა/გადაიარაღების თანადაფინანსება, ხარისხის სქემების განვითარება და მხარდაჭერა ეროვნულ და რეგიონალურ დონეზე, ინდუსტრიების მიმართულებით კრედიტისა და ლიზინგის საგნის პროცენტის თანადაფინანსება, სასტუმრო ინდუსტრიის განვითარება/გაფართოების მიმართულებით კრედიტისა და ლიზინგის საგნის პროცენტის თანადაფინანსება, სასათბურე კლასტერის მოწყობა, არასასოფლო-სამეურნეო და განახლებადი ენერგიების/ენერგო ეფექტურობის მიმართულების პროექტების თანადაფინანსება და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა ხელშეწყობა სახელმწიფო სუბსიდირებით (COVID-19-ის გამოწვევების საპასუხოდ). კოოპერატივების ან/და მწარმოებელთა ასოციაციების ბიზნეს-საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა, აგრო-სასურსათო პროდუქციის მწარმოებელთა ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა, კოოპერატივების ბიზნეს-საქმიანობის მოდერნიზების მხარდაჭერა, სოფლად არასასოფლო-სამეურნეო მიმართულებით ქალების დასაქმების ხელშეწყობა, შერჩეული LEADER/CLLD-ის ინიციატივების ფინანსური მდგრადობის ხელშეწყობა.

ამოცანის ყველა აქტივობა განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის სტრუქტურაში შემავალი სააგენტოების მიერ.

**1.1 ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული აქტივობების შედეგად, 2022 წლის განმავლობაში:**

⇒ 9 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი აღიჭურვა ნედლეულის მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმოსათვის საჭირო აღჭურვილობებით;

⇒ განხორციელდა 6 კოოპერატივისთვის თაფლის წარმოებისთვის საჭირო ხელსაწყო-დანადგარების შეძენის თანადაფინანსება;

⇒ გაშენდა/დაკონტრაქტდა დამატებით 3,857.39 ჰა ახალი ბაღი;

⇒ განხორციელდა 31.12 ჰა ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია;

⇒ დაზღვეულ იქნა დაახლოებით 16,465.04 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი;

⇒ განხორციელდა 30,254 შეღავათიანი სასოფლო-სამეურნეო სესხის/ლიზინგის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება;

⇒ განხორციელდა 67 ბენეფიციარისთვის მოსავლის ამღები ტექნიკის შეძენის თანადაფინანსება;

⇒ სრულად ან ნაწილობრივ დაფინანსდა 88 გადამამუშავებელი საწარმოს ან/და შემნახველი ინფრასტრუქტურის შექმნა;

⇒ შემუშავდა 5 ახალი გეოგრაფიული აღნიშვნების სპეციფიკაცია;

⇒ თანადაფინანსება გაეწია 255 ახალი ან/და არსებული საწარმოს გაფართოებას /გადაიარაღებას /მოდერნიზებას;

⇒ რეგიონებში სახელმწიფო პროგრამის "აწარმოე საქართველოში" სასტუმრო ინდუსტრიის მიმართულების ფარგლებში სესხის პროცენტის თანადაფინანსების პროგრამით მხარი დაეჭირა 173 სასტუმროს თანადაფინანსებას;

⇒ პროექტ იმერეთის აგრო ზონის ფარგლებში 2022 წელს მომზადდა ბაღდატის მიწის ნაკვეთის ძირითადი ინფრასტრუქტურის (გარე და შიდა გზები, ბუნებრივი აირის და ელექტრო ენერგიის მიწოდების ქსელი, სადრენაჟო და საირიგაციო სისტემა, საკანალიზაციო სისტემა, ტერიტორიის შემოღობვა და მოსწორება) დეტალური პროექტებისათვის საჭირო ტექნიკური დავალება.

⇒ არასასოფლო-სამეურნეო და განახლებადი ენერგიების/ენერგო ეფექტურობის მიმართულების პროექტებისთვის სააგენტოს თანადაფინანსება მიიღო 25 ბენეფიციარმა;

⇒ სუბსიდია მიიღო 326,651 ბენეფიციარმა (ფერმერი/სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის მესაკუთრე).

⇒ 2020-2022 წლებში, 36-მა კოოპერატივმა ან/და მწარმოებელთა ასოციაციამ მიიღო მინიმუმ 1 საწარმოო სესხი კომერციული ბანკიდან ან მიკროსაფინანსოდან;

⇒ 2020-2022 წლებში, ხარისხის ნიშანის ლოგოს გამოყენების უფლება მიენიჭა 31 კომპანიას.

⇒ 2020-2022 წლებში, განხორციელდა მოსამზადებელი სამუშაოები და 2022 წელს ერთმა კოოპერატივმა საქპატენტში დაარეგისტრირა კოოპერატივის სასაქონლო ნიშანი.

⇒ სოფლად არასასოფლო სამეურნეო მიმართულებით დასაქმებული ქალების რაოდენობამ 2020 წელს შეადგინა 112,000 (საბაზისო მაჩვენებელი ციფრებში), 2021 წელს შეადგინა 111 963 (საბაზისო მაჩვენებელი ციფრებში), 2022 წლის მაჩვენებელი დამუშავების პროცესშია.

⇒ 2022 წელს, შემუშავდა LEADER/CLLD მიდგომაზე დაფუძნებული ადგილობრივი მხარდაჭერის პროგრამა.

⇒ 2022 წელს განხორციელდა 1 911 ბენეფიციარისთვის სასოფლო -სამეურნეო ტექნიკის შეძენის თანადაფინანსება.
⇒ 2022 წელს, განხორციელდა 43 ბენეფიციარისთვის ახალი საწარმოს შექმნის ან არსებული საწარმოს გაფართოების/გადაიარაღების თანდაფინანსება.
⇒ 2022 წელს, ინვენტარიზებულია 916.84 ჰა ქარსაფარი(მინდორდაცვითი) ზოლები.

**1.2 ამოცანის შესრულების მიზნით 2022 წელს, სახელმწიფოს მიერ, ამოცანის განხორციელებისთვის გახარჯულია 699,759,389.70 ლარი.**

## აქტივობა 1.2.2. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების გადამამუშავებელი დანადგარებით აღჭურვა

(ა) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ინფრასტრუქტურის განვითარება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო

აქტივობის მიზანი: საქართველოში რძის ნაწარმის წარმოების ხელშეწყობა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფარგლებში თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი რძის მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმოების ჩამოყალიბების სტიმულირება, ადგილობრივად წარმოებული ნაწარმის ხარისხის და კონკურენტუნარიანობის ამაღლება, კოოპერატივებში არსებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესების ხელშეწყობა და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2022 წელს მერძევეობის მიმართულებით მოქმედი კოოპერატივების წარმომადგენლებთან გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრები მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაფხოში აშენებული და რძის გადამამუშავებელი დანადგარებით აღჭურვილი და დმანისის, წალკის და ახალქალაქის მუნიციპალიტეტებში ასაშენებელი და გადამამუშავებელი დანადგარებით აღსაჭურვი რძის საწარმოების შემდგომი განკარგვის მიზნით მსურველი კოოპერატივების გამოვლენის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობასთან დაკავშირებული პირობებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებით.

ასევე, გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრები კოოპერატივების შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროგრამის პირობებთან, ვალდებულებებთან და მონაწილეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

2022 წელს აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები:

1) ***„სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამა":***

- იმ ბენეფიციარების რაოდენობა, ვისთანაც გაფორმდა ხელშეკრულება - 9;
- სააგენტოს თანადაფინანსების ოდენობა დამტკიცებულ პროექტებში - 4,050,000 ლარი.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2022 წელს, დაგეგმილი იყო 10 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის აღჭურვა ნედლეულის მიმღებ - გადამამუშავებელი საწარმოსათვის საჭირო აღჭურვილობებით. საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში ჯამურად გაფორმდა 9 ხელშეკრულება და სააგენტოს თანადაფინანსების ოდენობამ დამტკიცებულ პროექტებში შეადგინა 4,050,000 ლარი.

2022 წელს, 9 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი ნაწილობრივ აღიჭურვა პროდუქციის შემნახველი/სასაწყობე ინფრასტრუქტურით. აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისთვის, საპროგნოზო ბიუჯეტი განისაზღვრა 3,392,000.00 ლარით, ხოლო ბიუჯეტის ფაქტიურმა ათვისებამ შეადგინა 1,882,355.34 ლარი, რადგანაც პროცესი არ დასრულებულა და დარჩენილი თანხის(ტრანშების სახით)გახარჯვა და პროცესის დასრულდება იგეგმება 2023 წელს.

*„სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამის" ფარგლებში სააგენტოს თანადაფინანსების გაცემის წინაპირობას წარმოადგენს ბენეფიციარების მიერ სამშენებლო სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა. ვინაიდან, ბენეფიციარებმა ვერ მოახერხეს 2022 წელს სამუშაოების სრულად შესრულება, ამიტომ ვერ მოხდა ბიუჯეტის სრულად ათვისება. დარჩენილი თანხების გაცემა განხორციელდება 2023 წელს.*

| ამოცანა 1.2. სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე, მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით; ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | |
|---|---|
| პროგრამის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.2.2: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების გადამამუშავებელი დანადგარებით აღჭურვა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი: | 01.01.2022 - 31.12.2022 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2022 წელს, განხორციელდება 10 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის აღჭურვა | **შესრულებული:**<br>2022 წელს, 9 კოოპერატივი ნაწილობრივ აღიჭურვა ნედლეულის მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმოსათვის საჭირო აღჭურვილობებით. |

| | |
|---|---|
| ნედლეულის მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმოსათვის საჭირო აღჭურვილობებით. | |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 3,392,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 1,882,355.34 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## (ბ) მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო

აქტივობის მიზანი: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საფუტკრე მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, წარმოებული თაფლისა და მეფუტკრეობის სხვა პროდუქტების ხარისხისა და რაოდენობის ზრდა.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2022 წელს მეფუტკრეობის მიმართულებით მოქმედი კოოპერატივების წარმომადგენლებთან გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრები მიმდინარე პროგრამის პირობებთან და დარგში არსებულ გამოწვევებთან დაკავშირებით.

გაიმართა არაერთი კონსულტაცია და შეხვედრა „მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ერთიანი საწარმოო უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, გორის მუნიციპალიტეტის სოფ. ბერბუკში აშენებული და თაფლის მიმღებ-გადამამუშავებელი და დასაფასოებელი დანადგარებით აღჭურვილი საწარმოს განკარგვის პირობებთან, ვალდებულებებთან და მონაწილეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

2022 წელს, აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები:

- ✓ იმ ბენეფიციარების რაოდენობა, ვისთანაც გაფორმდა ხელშეკრულება - 5;
- ✓ სააგენტოს თანადაფინანსების ოდენობა დამტკიცებულ პროექტებში - 108,000 ლარი.

„მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ერთიანი საწარმოო უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, გორის მუნიციპალიტეტის სოფ. ბერბუკში აშენებული და თაფლის მიმღებ-გადამამუშავებელი და დასაფასოებელი

დანადგარებით აღჭურვილი საწარმოს გადაცემის მიზნით მიმღები კოოპერატივის გამოსავლენად გამოცხადებული კონკურსი არ შედგა. შესაბამისად, აღნიშნული საწარმო, შემდგომი განკარგვის მიზნით გადაეცა საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოს.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2022 წელს, აქტივობის ფარგლებში დაგეგმილი იყო 7 კოოპერატივის აღჭურვა თაფლის წარმოებისთვის საჭირო ხელსაწყო/დანადგარებით. საანგარიშო პერიოდში, გაფორმდა 5 ხელშეკრულება და სააგენტოს თანადაფინანსების ოდენობამ დამტკიცებულ პროექტებში შეადგინა 108,000 ლარი, ხოლო 6 კოოპერატივი აღიჭურვა თაფლის წარმოებისთვის საჭირო ხელსაწყო/დანადგარებით.

2022 წელს, აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისთვის, საპროგნოზო ბიუჯეტი განისაზღვრა 116,820.00 ლარით, ხოლო ბიუჯეტის ფაქტიურმა ათვისებამ შეადგინა 116,820.00 ლარი.

*„მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში ბიუჯეტი სრულად იქნა ათვისებული, ვინაიდან მაქსიმალური თანადაფინანსების თანხა მოითხოვა ბენეფიციარების უმრავლესობამ და შესაბამისად, დაფინანსდა 6 ბენეფიციარი.*

| ამოცანა 1.2. სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე, მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით; ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | |
|---|---|
| პროგრამის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.2.2: მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი: | 01.01.2022 - 31.12.2022 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2022 წელს, განხორციელდება 7 კოოპერატივის აღჭურვა თაფლის წარმოებისთვის საჭირო ხელსაწყო/დანადგარებით. | **შესრულებული:**<br>2022 წელს, 6 კოოპერატივი აღიჭურვა თაფლის წარმოებისთვის საჭირო ხელსაწყო/დანადგარებით. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 116,820.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 116,820.00 ლარი |

| | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რეიტინგი | | X | | | |

| შესრულე ბის შეფასება | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელე ბის პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სტატუსი | | X | | | |

## აქტივობა 1.2.3. თანამედროვე ხეხილის ბაღების გაშენების ხელშეწყობა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო

პროგრამის მიზანი: საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ეფექტური გამოყენება მრავალწლიანი კულტურების გაშენების გზით, რის შედეგადაც განხორციელდება იმპორტირებული პროდუქციის ჩანაცვლება და გაიზრდება საექსპორტო პოტენციალი, გაადვილდება გადამამუშავებელი საწარმოების ნედლეულით უზრუნველყოფის შესაძლებლობა და გაუმჯობესდება სოფლად მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2022 წლის განმავლობაში სახელმწიფო პროგრამაში „დანერგე მომავალი" განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

- მრავალწლიანი ბაღების თანადაფინანსების კომპონენტის ფარგლებში - ფიზიკური ან იურიდიული პირებისგან იჯარის უფლებით აღებულ მიწის ნაკვეთებზე დასაშვები გახდა პროგრამაში მონაწილეობის მიღება, ვინაიდან, სახელმწიფოსგან მიწის ნაკვეთების იჯარით მიღება დაკავშირებულია ხანგრძლივ პროცესთან და რეალურად პოტენციურმა ბენეფიციარებმა შეიძლება ვერც მოიძიონ კონკრეტული და სასურველი მიწის ნაკვეთი. მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული მოხდეს ისეთი ბენეფიციარების სტიმულირება, რომლებსაც არ გააჩნიათ საკუთარი მიწის ნაკვეთები და სახელმწიფო იჯარის პირობების ფარგლებში ვერ ახერხებენ შესაბამისი, მიწის ნაკვეთის მოძიებასა თუ გამოყენებას.
- სეტყვის საწინააღმდეგო სისტემების ან/და ჭის/ჭაბურღილის/სატუმბი სადგურის მოწყობის თანადაფინანსების კომპონენტის ფარგლებში ვაშლის, მსხალის და ბალის კულტურებს დაემატა ჟოლოს და მაყვალის კულტურებიც. ასევე, დასაშვები გახდა ადგილობრივი წარმოების სეტყვის საწინააღმდეგო სისტემების და სისტემების მონტაჟის დაფინანსება, რათა მოხდეს მაქსიმალური სტიმულირება და ზოგადად ადგილობრივი პროდუქციის წარმოების ხელშეწყობის ზრდა. ამავე კომპონენტის ფარგლებში სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ, გადაიხედა და განისაზღვრა ჭის/ჭაბურღილის (მათ შორის, სატუმბი სადგურის) მოწყობის ახალი საბაზრო ღირებულება. შესაბამისად, შეიცვალა თანადაფინანსების/ანაზღაურების თანხები. კერძოდ, ერთ ბენეფიციარს პროგრამის პირობების შესაბამისად დაუფინანსდება/აუნაზღაურდება ჭის/ჭაბურღილის (მათ შორის, სატუმბი სადგურის) მოწყობის შემთხვევაში არაუმეტეს 50%-ისა, მაგრამ

არაუმეტეს ერთ ბენეფიციარზე 18,800 ლარისა, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივებს, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებისა და მაღალმთიანი დასახლებების შემთხვევაში, არაუმეტეს 60%-ისა, მაგრამ არაუმეტეს ერთ ბენეფიციარზე 22,600 ლარისა.

2022 წელს განხორციელდა სახელმწიფო პროგრამის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში გაშენებული 9 ბაღის მონახულება/დათვალიერება შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, გურიის, იმერეთის, სამეგრელოს და კახეთის რეგიონებში.

2022 წელს, აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები:

- საანგარიშო პერიოდში გაფორმებული ხელშეკრულებების (პროექტების) რაოდენობა - 667 (აქედან: ბაღების კომპონენტის ფარგლებში 537 ხელშეკრულებაა გაფორმებული; სანერგეს კომპონენტის ფარგლებში 3 ხელშეკრულებაა გაფორმებული; სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის მოწყობის კომპონენტის ფარგლებში 2 ხელშეკრულებაა გაფორმებული; წვეთოვანი სარწყავი სისტემების მოწყობის კომპონენტის ფარგლებში 44 ხელშეკრულებაა გაფორმებული; ჭის/ჭაბურღილის მოწყობის კომპონენტის ფარგლებში 81 ხელშეკრულებაა გაფორმებული.);
- საანგარიშო პერიოდში გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით ჯამური ფართობი - 4,824.10 ჰა (აქედან: ბაღების კომპონენტის ფარგლებში დაკონტრაქტებული ფართობი შეადგენს 3,857.39 ჰა-ს; სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის მოწყობის კომპონენტის ფარგლებში დაკონტრაქტებული ფართობი შეადგენს 14.20 ჰა-ს; წვეთოვანი სარწყავი სისტემების მოწყობის კომპონენტის ფარგლებში დაკონტრაქტებული ფართობი შეადგენს 307.74 ჰა-ს; ჭის/ჭაბურღილის მოწყობის კომპონენტის ფარგლებში დაკონტრაქტებული ფართობი შეადგენს 644.76 ჰა-ს.);
- საანგარიშო პერიოდში სააგენტოს თანადაფინანსება გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით - 33,723,033 ლარი (აქედან: ბაღების კომპონენტის ფარგლებში ხელშეკრულებით განსაზღვრული სააგენტოს თანადაფინანსება შეადგენს 31,257,405 ლარს; სანერგეს კომპონენტის ფარგლებში ხელშეკრულებით განსაზღვრული სააგენტოს თანადაფინანსება შეადგენს 406,808 ლარს; სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის მოწყობის კომპონენტის ფარგლებში ხელშეკრულებით განსაზღვრული სააგენტოს თანადაფინანსება შეადგენს 75,560 ლარს; წვეთოვანი სარწყავი სისტემების მოწყობის კომპონენტის ფარგლებში ხელშეკრულებით განსაზღვრული სააგენტოს თანადაფინანსება შეადგენს 643,962 ლარს; ჭის/ჭაბურღილის მოწყობის კომპონენტის ფარგლებში ხელშეკრულებით განსაზღვრული სააგენტოს თანადაფინანსება შეადგენს 1,339,298 ლარს.);
- საანგარიშო პერიოდში ბაღების კომპონენტის ფარგლებში დაკონტრაქტებული ბაღების ფართობი შეადგენს 3,857.39 ჰა-ს.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2022 წელს, აქტივობის ფარგლებში, დაგეგმილი იყო დამატებით 3,500 ჰა ახალი ბაღის გაშენება/დაკონტრაქტება. საანგარიშო პერიოდში გაშენდა/დაკონტრაქტდა 3,857.39 ჰა ფართობის ინტენსიური და ნახევრადინტენსიური ტიპის ბაღი.

2022 წელს, საპროგნოზო ბიუჯეტი განისაზღვრა 27,000,000.00 ლარით, ხოლო ბიუჯეტის ფაქტიურმა ათვისებამ შეადგინა 33,513,601.36 ლარი.

| ამოცანა 1.2. სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე, მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით; ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | |
|---|---|
| პროგრამის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.2.3: თანამედროვე ხეხილის ბაღების გაშენების ხელშეწყობა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი: | 01.01.2022 - 31.12.2022 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2022 წელს, გაშენდება/დაკონტრაქტდება დამატებით 3,500 ჰა ახალი ბაღი. | **შესრულებული:**<br>2022 წელს, გაშენდა/დაკონტრაქტდა 3,857.39 ჰა ფართობის ახალი ბაღი. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 27,000,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 33,513,601.36 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## აქტივობა 1.2.4: ქართული ჩაის წარმოების ხელშეწყობა

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო

<u>პროგრამის მიზანი:</u> საქართველოში არსებული ჩაის პლანტაციების პოტენციალის ეფექტურად გამოყენება, ადგილობრივი ჩაის (მათ შორის, ბიო ჩაის) წარმოების ზრდის ხელშეწყობა, შედეგად, თვითუზრუნველყოფის დონის ამაღლება და საექსპორტო პოტენციალის გაზრდა როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გაველურებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია; მოსახლეობის დასაქმება და მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება; ჩაის პირველადი გადამამუშავებელი თანამედროვე საწარმოების შექმნის ხელშეწყობა.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2022 წელს პროგრამის ცნობადობის კიდევ უფრო ამაღლების მიზნით განხორციელდა არაერთ ბენეფიციართან კომუნიკაცია, როგორც პროგრამაში ჩართული, ასევე პოტენციური ბენეფიციარების შესახებ და პროგრამის მიმდინარეობასთან დაკავშირებით. ასევე, განხორციელდა შეხვედრა ფერმერებთან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ანასეულში, სადაც ჩატარდა დეტალური პრეზენტაცია ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის „ქართული ჩაი" შესახებ.

2022 წელს რამოდენიმე ბენეფიციარს საწარმოო გეგმის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადამ მოუწია, პროგრამის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულებისათვის. ამ ეტაპზე, ყველა ბენეფიციარს დროულად აქვს წარმოდგენილი შესაბამისი ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

2022 წელს, აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები:

- ✓ პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების რაოდენობა - 3;
- ✓ სარეაბილიტაციო პლანტაციების ჯამური ფართობი - 31.12 ჰა;
- ✓ რეაბილიტირებული პლანტაციების სარეაბილიტაციო სამუშაოების ჯამური ღირებულება - 107,998 ლარი;
- ✓ დამტკიცებულ პროექტებში თანადაფინანსების ოდენობა - 75,049 ლარი.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2022 წელს, აქტივობის ფარგლებში, დაგეგმილი იყო 250 ჰა ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 31.12 ჰა ფართობის სრული/ნაწილობრივი რეაბილიტაცია.

| | სტატუსი | | X | | | |

## აქტივობა 1.2.20: ფერმერებისთვის სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის შეძენის თანადაფინანსება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო

აქტივობის მიზანი: პროგრამის მიზანია სასოფლო-სამეურნეო კულტურებისთვის შესაბამის აგრო ვადებში აგრო ტექნიკური ღონისძიებების განხორციელება. ქვეყანაში მექანიზაციის ბაზის გაძლიერება. ამ მიზნით, პროგრამა ითვალისწინებს ახალი (ექსპლუატაციაში არ მყოფი) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკის თანადაფინანსებას. პროგრამის ფარგლებში 30-35%-ის ოდენობით არაუმეტეს 70,000 ლარისა დაფინანსდა სასოფლო-სამეურნეო ტრაქტორები, იმპლემენტები და ხელის ტრაქტორები.

**განხორციელებული ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში 2022 წლის განმავლობაში განხორციელდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკის თანადაფინანსება საქართველოს ყველა რეგიონისთვის. პროგრამის პოპულარიზაციისთვის და პირობების უკეთ გასაცნობად ჩატარდა ტრენინგები რეგიონში არსებული საკონსულტაციო ცენტრების თანამშრომლებისათვის. 2022 წლის განმავლობაში პროგრამით ისარგებლა 1,900 ზე მეტმა ბენეფიციარმა. ქვეყანაში შემოვიდა ასეულობით მილიონი ლარის მეტი ღირებულების ახალი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სპეც. ტექნიკა.

2022 წელს, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შედეგად მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები:

- გაფორმებული ხელშეკრულებების რაოდენობა - 108;
- პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების რაოდენობა - 108;
- სააგენტოს თანადაფინანსება დამტკიცებულ პროექტებში - 1,833,632 ლარი;
- ჯამური ინვესტიცია დამტკიცებულ პროექტებში - 5,511,853 ლარი.

პროგრამის განხორციელების პროცესის შეფერხების რისკს წარმოადგენს მსოფლიოში არსებული ვითარება, რუსეთის რესპუბლიკის მიერ უკრაინის ტერიტორიაზე გამართული საომარი ღონისძიებები. აქედან გამომდინარე, შეზღუდულია სატვირთო გადაზიდვები და ტექნიკის მწარმოებელი კომპანიები ვერ მუშაობენ სრული დატვირთვით.

ამ ხელისშემშლელი ფაქტორის შესამცირებლად, ხორციელდებოდა ბენეფიციარებთან კომუნიკაცია, რათა დაჩქარებულიყო პროგრამის განხორციელების ფარგლებში წარმოქმნილი პრობლემების აღმოფხვრის პროცესი. ამასთან, გაიზარდა მიზნობრიობის შესრულების ვადები.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2022 წელს, აქტივობის ფარგლებში, დაგეგმილი იყო 4,000 ბენეფიციარისთვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენის თანადაფინანსება. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 1,911 ბენეფიციარისთვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენის თანადაფინანსება.

*პროგრამის ფარგლებში შესყიდული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საშუალო ღირებულება მნიშვნელოვნად აღემატება საწყის ეტაპზე დაგეგმილ ღირებულებას და შეადგენს 70,000 ლარამდე. შესაბამისად, არსებული ბიუჯეტის ფარგლებში მოხდა 1,911 ბენეფიციარის თანადაფინანსება.*

2022 წელს, საპროგნოზო ბიუჯეტი განისაზღვრა 40,000,000.00 ლარით, ხოლო ბიუჯეტის ფაქტიურმა ათვისებამ შეადგინა 38,833,132.64 ლარი.

*პროგრამის ფარგლებში სააგენტო თანადაფინანსებას გასცემს მას შემდეგ, რაც ბენეფიციარი სრულად შეასრულებს ვალდებულებებს. კერძოდ, გადაიხდის საკუთარი თანამონაწილეობის თანხას და მიიღებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკას. ბენეფიციარების ნაწილმა ვერ შეძლო თანადაფინანსების წინაპირობების შესრულება, შესაბამისად პროგრამის ბიუჯეტის ნაწილის ათვისება ვერ მოხერხდა.*

ამოცანა 1.2. სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე, მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით; ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

| | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.2.20: ფერმერებისთვის სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის შეძენის თანადაფინანსება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი: | 01.01.2022 - 31.12.2022 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2022 წელს, განხორციელდება 4,000 ბენეფიციარისთვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენის თანადაფინანსება. | **შესრულებული:**<br>2022 წელს, განხორციელდა 1,911 ბენეფიციარისთვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენის თანადაფინანსება. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 40,000,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 38,833,132.64 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | X | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## აქტივობა 1.2.21: ოთხი საპილოტე რეგიონში ახალი საწარმოების შექმნა ან არსებული საწარმოების გაფართოება/გადაიარაღება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო

აქტივობის მიზანი: პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ქვეყნისა და მისი რეგიონების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, დაბალანსებულ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, რეგიონული უთანაბრობების შემცირებასა და ტერიტორიულ განვითარებას.

**განხორციელებული ღონისძიებები**

პროგრამის პოპულარიზაციისთვის და პირობების უკეთ გასაცნობად საპილოტე რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობასთან ჩატარდა შეხვედრები. 2022 წლის განმავლობაში პროგრამით ისარგებლა 43 ბენეფიციარმა.

2022 წელს, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შედეგად მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები:

- გაფორმებული ხელშეკრულებების რაოდენობა - 43;
- პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების რაოდენობა - 43;
- სააგენტოს თანადაფინანსება დამტკიცებულ პროექტებში - 18,122,552 ლარი;
- გაცემული სესხის ოდენობა - 30,272,030 ლარი.

პროგრამის განხორციელების პროცესის შეფერხების რისკს წარმოადგენს მსოფლიოში არსებული ვითარება, რუსეთის რესპუბლიკის მიერ უკრაინის ტერიტორიაზე გამართული საომარი ღონისძიებები. აქედან გამომდინარე, შეზღუდულია სატვირთო გადაზიდვები და შესაძლოა ბენეფიციარებს შეექმნათ იმპორტირებული აქტივების დროულად მიღების პრობლემა, მაგრამ ვინაიდან მიზნობრიობის შესრულების ვადა განსაზღვრულია 18 თვე, პროგრამის განხორციელების შეფერხების რისკი მცირეა.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2022 წელს, აქტივობის ფარგლებში, დაგეგმილი იყო 35 ბენეფიციარისთვის ახალი საწარმოს შექმნის ან არსებული საწარმოს გაფართოების/გადაიარაღების თანადაფინანსება. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 43 ბენეფიციარისთვის ახალი საწარმოს შექმნის ან არსებული საწარმოს გაფართოების/გადაიარაღების თანადაფინანსება.

2022 წელს, საპროგნოზო ბიუჯეტი განისაზღვრა 20,000,000.00 ლარით, ხოლო ბიუჯეტის ფაქტიურმა ათვისებამ შეადგინა 17,569,004.00 ლარი.

*დისბალანსი საპროგნოზო ბიუჯეტსა და ბიუჯეტის ფაქტიურ ათვისებას შორის გამოწვეულია გურიის და რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონების ნაკლები აქტიურობით. კახეთისა და იმერეთის რეგიონებისთვის განკუთვნილი ბიუჯეტი თითქმის სრულად არის ათვისებული.*

| ამოცანა 1.2. სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე, მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით; ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | |
|---|---|
| პროგრამის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.2.21: ოთხი საპილოტე რეგიონში ახალი საწარმოების შექმნა ან არსებული საწარმოების გაფართოება/გადაიარაღება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი: | 01.01.2022 - 31.12.2022 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:** | **შესრულებული:** |

| | |
|---|---|
| 2022 წელს, დაგეგმილია 35 ბენეფიციარისთვის ახალი საწარმოს შექმნის ან არსებული საწარმოს გაფართოების/გადაიარაღების თანადაფინანსება. | 2022 წელს, განხორციელდა 43 ბენეფიციარისთვის ახალი საწარმოს შექმნის ან არსებული საწარმოს გაფართოების/გადაიარაღების თანადაფინანსება. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 20,000,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 17,569,004.00 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## აქტივობა 1.2.22 ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლების ინვენტარიზაცია

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ სსიპ მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო

**აქტივობის მიზანი:** საქართველოში არსებული ქარსაფარი ზოლების იდენტიფიცირება, ინვენტარიზაცია, მათი ფაქტობრივი მდგომარეობის აღწერა, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქარსაფარი ზოლის ტერიტორიის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთად სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაცია და ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის სტატუსის მინიჭება.

**განხორციელებული ღონისძიებები**

ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის ინვენტარიზაციას მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო ახორციელებს მომსახურების შესყიდვის გზით. ელექტრონული ტენდერის საშუალებით განხორციელდა საგარეჯოსა და მარნეულის მუნიციპალიტეტებში არსებული ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლების (საერთო ფართობით - 880 ჰა) ინვენტარიზაციის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა.

ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით სსიპ - მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნულ სააგენტოში შეიქმნა ინსპექტირების ჯგუფი, რომლის წევრებად განისაზღვრნენ სააგენტოს მონიტორინგის სამმართველოს თანამშრომლები. 2022 წლის ივლისიდან დეკემბრის თვის ჩათვლით მომწოდებლის მიერ სააგენტოში ეტაპობრივად იქნა წარმოდგენილი ინვენტარიზებული ქარსაფარი ზოლების ინვენტარიზაციის შედეგების შესახებ მასალები. ინსპექტირების მიზნით საგარეჯოს მუნიციპალიტეტში 19-ჯერ და მარნეულის მუნიციპალიტეტში 14-ჯერ განხორციელდა (შემთხვევითი შერჩევით) ნაკვეთების ადგილზე (ველზე) დათვალიერება, რაზედაც მომზადდა შესაბამისი ანგარიშები. რიგ შემთხვევებში გამოვლენილ იქნა ხარვეზები,

რის შესახებაც გაიცა რეკომენდაციები, რაც გათვალისწინებულ იქნა კომპანიის მხრიდან და შედეგად, გაწეული მომსახურება შესრულებულად ჩაითვალა საგარეჯოს მუნიციპალიტეტში 571.14 ჰა ტერიტორიაზე, ხოლო მარნეულის მუნიციპალიტეტში - 345.70 ჰა -ზე, სულ ფართობი - 916.84 ჰა.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2022 წლის 2 თებერვლის N2-66 ბრძანებით დამტკიცებული ქარსაფარი ზოლის ინვენტარიზაციის გეგმის შესაბამისად, 2022 წლის განმავლობაში დაგეგმილი იყო 880 ჰა ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლების ინვენტარიზაცია. ინვენტარიზაციის პროცესში, ადგილზე გამოვლინდა დაგეგმილზე მეტი ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლები. აღნიშნული სხვაობა გამოწვეულია 2004 წლის მიწის ბალანსის მონაცემების უზუსტობით. ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის ინვენტარიზაცია განხორციელდა შემდეგი შედეგებით: საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ინვენტარიზებული 595 ერთეული მიწის ნაკვეთი , ჯამში 571.14 ჰა ფართობი, ხოლო მარნეულის მუნიციპალიტეტში ინვენტარიზებული 608 ერთეული მიწის ნაკვეთი, ჯამში 345.7 ჰა ფართობის ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლები, საერთო ფართობით 916.84 ჰა.

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში განხორციელდა 2021 წელს თელავის მუნიციპალიტეტში ინვენტარიზებული ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლების რეგისტრაცია, კერძოდ:

სახელმწიფო საკუთრების უფლებით და ქარსაფარი ზოლის სტატუსით დარეგისტრირდა 853 მიწის ნაკვეთი, ფართობით 262 ჰა.

განხორციელდა სახელმწიფოს საკუთრებაში რეგისტრირებული ნაკვეთების საზღვრებში მოქცეული 180 ქარსაფარი ზოლის სტატუსის რეგისტრაცია ფართობით 57 ჰა.

რაც შეეხება ბიუჯეტის შესრულებას, ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის ინვენტარიზაციას მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო ახორციელებს მომსახურების შესყიდვის გზით. ბაზრის კვლევის შედეგების და ბიუჯეტის შესაბამისად, ელექტრონული ტენდერი გამოცხადდა 600,000.00 ლარზე. გამარჯვებული პრეტენდენტის ფასმა შეადგინა 480,001.00 ლარი, რა თანხაზეც გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება და წარმოიშვა სატენდერო ეკონომია 119,999.00 ლარი. აქტივობა განხორციელდა ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის ინვენტარიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.

| ამოცანა 1.2: სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე, მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით; ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.2.22: ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლების ინვენტარიზაცია |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ სსიპ მიწის მდგრადი |

| | |
|---|---|
| | მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტრინგის ეროვნული სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2022 – 31.12.2022 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:** 2022 წელს, საგარეჯოს და მარნეულის მუნიციპალიტეტებში დაახლოებით 880 ჰა ფართობის ინვენტარიზებული და საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლები (საგარეჯო-529 ჰა; მარნეული-351 ჰა); | **შესრულებული:** 2022 წელს, ინვენტარიზებულია 916.84 ჰა ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლები. (საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ინვენტარიზებული 571.14 ჰა ფართობი, ხოლო მარნეულის მუნიციპალიტეტში 345.7 ჰა). |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 600,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 480,001.00ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელები ს პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელებ ის პროცესი შეწყვეტილია | განხორციელებ ის პროცესი დასრულებულ ია |
| | სტატუსი | | X | | | |

## ამოცანა 1.3 ფერმერთა/მეწარმეთა ბაზარზე ინტეგრაცია

1.3 ამოცანის შესრულების მიზნით, 2022 წელს 5 აქტივობა განხორციელდა, მათ შორის, ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციის მხარდაჭერა/ღონისძიებების გატარება, ქართული ვაზის წარმოშობის პოპულარიზაციის უზრუნველყოფა, ადგილწარმოშობის დასახელებების და გეოგრაფიული აღნიშვნების სისტემის განვითარება, სურსათის წარმოების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა და ვენახების კადასტრის აგება.

ამოცანის ყველა აქტივობა განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის სტრუქტურაში შემავალი სააგენტოების მიერ.

**ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული აქტივობების შედეგად, 2022 წლის განმავლობაში:**

- ⇒ მოხდა ქართული აგროსასურსათო პროდუქციის 8 გამოფენა-დეგუსტაციის ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება/მიღების უზრუნველყოფა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და ქვეყნის შიგნით;
- ⇒ ჩატარდა ქარტული აგროსასურსათო პროდუქციის 41 გამოფენა/ფესტივალი საერთაშორისო და ადგილობრივ ბაზარზე.
- ⇒ 65 დეგუსტაცია/ფორუმმი/სემინარი (მათ შორის ონალინ დეგუსტაციები) მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და ქვეყნის შიგნით.
- ⇒ 2022 წელს შემუშავდა 4 ახალი დაცული ადგილწამოშობის დასახელების ღვინის წარმოების სპეციფიკაცია (ზეგაანი, ოყუირეშის უსახელოური, ოკამი, ასურეთული შალა).
- ⇒ 2022 წელს წარდგენილი იქნა განაცხადი კოლექტიური სასაქონლო ნიშნის „ალაზნის ველის“ რეგისტრაციის მიზნით ყაზახეთსა და ბელარუსის რესპუბლიკებში.

⇒ 44 ბენეფიციარმა დანერგა სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტები და მოახდინა სერტიფიცირება (ISO-22000 / HACCP / GLOBAL G.A.P / BIO / BRC / IFS / FSSC-22000);
⇒ 2022 წელს განხორციელდა კადასტრი შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთის და მცხეთა მთიანეთის რეგიონებში, გადაღებულ იქნა 7 000 ჰა ორთოფოტოები და შემოიხაზა 2 300 ჰა-მდე ვენახის ფართობი.

**1.3 ამოცანის შესრულების მიზნით 2022 წელს, სახელმწიფოს მიერ, ამოცანის განხორციელებისთვის გახარჯულია 12,249,263.58 ლარი**

## აქტივობა 1.3.1.: ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციის მხარდაჭერა/ღონისძიებების გატარება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო

აქტივობის მიზანი: ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციის ხელშეწყობა.

**განხორციელებული ღონისძიებები**

ქვეყანამ მონაწილეობა მიიღო 6 საერთაშორისო გამოფენაში, ქვეყნის ფარგლებში გაიმართა 2 გამოფენა.

- 18-20 ნოემბერს, სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის, გადამამუშავებელი და შემფუთველი ტექნოლოგიების საერთაშორისო გამოფენაში Agro/Food/Drink/Tech/Expo 2022 მონაწილეობა მიიღო 50-ზე მეტმა ადგილობრივმა მწარმოებელმა;
- 17-20 ოქტომბერს, საუდის არაბეთში ქ. რიადში გამართულ საერთაშორისო გამოფენაში Saudi Agriculture International Trade Exhibition მონაწილოება მიიღო 10-მა ქართულმა კომპანიამ;
- 8-10 სექტემბერს, ლატვიაში, ქ. რიგაში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე RIGA FOOD 2022, წარმოდგენილი იყო 20-მდე ქართული კომპანიის პროდუქცია;
- 24-28 აგვისტოს, თურქეთის რესპუბლიკაში, ქ. სტამბულში, გამოფენაზე APIMONDIA 2022 საკუთარი პროდუქცია წარმოდგინა თაფლის მწარმოებელმა 8 კომპანიამ;
- 26 მაისს ქ. გორში საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ გამოფენაში მონაწილეობა მიიღო 14-მა კომპანიამ;
- 18-20 მაისს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, ქ. ბაქოში, საერთაშორისო გამოფენაზე CASPIAN AGRO 2022 მონაწილეობა მიიღო 14-მა კომპანიამ;
- 5-7 აპრილს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ქ. ბერლინში გამართულ საერთაშორისო გამოფენაში FRUITLOGISTICA 2022 ექვსმა ქართულმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა;
- 10-14 მარტს კატარის სახელმწიფოში, ქ. დოჰაში, სოფლის მეურნეობის საერთაშორისო გამოფენაზე Agriteq 2022 საქართველოს სტენდი მოეწყო. საერთაშორისო გამოფენაში 14 ქართულმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2022 წელს, დაგეგმილი იყო, რომ განხორციელდება ქართული აგროსასურსათო პროდუქციის 5 გამოფენა-დეგუსტაციის ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება/მიღების უზრუნველყოფა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და ქვეყნის შიგნით. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ქართული აგროსასურსათო პროდუქციის 8 გამოფენა-დეგუსტაციის ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება/მიღების უზრუნველყოფა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და ქვეყნის შიგნით.

2022 წელს, აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისთვის, საპროგნოზო ბიუჯეტი განისაზღვრა 500,000.00 ლარით, ხოლო ბიუჯეტის ფაქტიურმა ათვისებამ შეადგინა 1,444,302.68 ლარი.

| ამოცანა 1.3 ფერმერთა/მეწარმეთა ბაზარზე ინტეგრაცია | |
|---|---|
| პროგრამის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.3.1: ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციის მხარდაჭერა/ღონისძიებების გატარება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი: | 01.01.2022 - 31.12.2022 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2022 წელს, დაგეგმილია ქართული აგროსასურსათო პროდუქციის 5 გამოფენა-დეგუსტაციის ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება/მიღების უზრუნველყოფა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და ქვეყნის შიგნით. | **შესრულებული:**<br>2022 წელს, განხორციელდა ქართული აგროსასურსათო პროდუქციის 8 გამოფენა-დეგუსტაციის ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება/მიღების უზრუნველყოფა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და ქვეყნის შიგნით. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 500,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 1,444,302.68 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

### სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებში

2022წლის 9-10 მარტს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალაქ ნიუ-იორკში, ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო გამოფენა „Vinexpo America" გაიმართა. 28 მარტიდან 1 აპრილამდე რაჭა-ლეჩხუმის მცირე მარნების წარმომადგენლებს პროფესიული

სასწავლო კურსი ჩაუტარდათ. 29 მარტს, ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე, ლევან მეხუზლა, ღვინის მწარმოებელ მსხვილ ექსპორტიორ 70-მდე კომპანიის წარმომადგენლებს შეხვდა და ქართული ღვინის პოპულარიზაციის ახალი პროგრამის მიზნები, პირობები და მონაწილეობისთვის საჭირო ტექნიკური საკითხები გააცნო. საქართველოს მთავრობამ, გასული წლის ბოლოს, „ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა“ დაამტკიცა, რომლის მიზანი ქართული ღვინის მსოფლიო მასშტაბით ცნობადობისა და ახალ ბაზრებზე ექსპორტის გაზრდის ხელშეწყობაა. 28 აპრილს, ლონდონში ქართული ღვინის დეგუსტაცია გაიმართა. 6 მაისს შვეიცარიის ქალაქ ციურიხში გამოფენა „საქართველო - 8000 წლის მეღვინეობა“ გაიხსნა. ციურიხში მდებარე ეთნო ღვინის მუზეუმში “Ortsmuseum Hongg”, ექვსი თვის განმავლობაში, დამთვალიერებელს შესაძლებლობა ექნება ქართული ღვინის კულტურასთან და ისტორიასთან დაკავშირებულ ექსპონატებს, არტეფაქტებსა და სხვა საინფორმაციო-საილუსტრაციო მასალას გაეცნოს.1 მაისს დიდ ბრიტანეთში ქართული ღვინის დეგუსტაცია გაიმართა. ლონდონში გამართულ დეგუსტაციაზე ქართული ღვინის იმპორტიორებმა 60-მდე დასახელების ქართული ღვინო წარმოადგინეს. 13 მაისს თბილისში, ბუნებრივი ღვინის ფესტივალი „ZERO COMPROMISE” გაიმართა. რიგით მესამე ფესტივალი „ZERO COMPROMISE“, დედაქალაქში, ყოფილი აბრეშუმის ქარხანაში გაიმართა. 14 მაისს, მთაწმინდის პარკში, რიგით მე-13 „ახალი ღვინის ფესტივალი" გაიმართა. . 14-15 მაისს, დიდ ბრიტანეთში, ქალაქ ლონდონში ბუნებრივი ღვინოების საერთაშორისო გამოფენა „RAW” (The Artisan Wine Fair) ჩატარდა. 15-17 მაისს, გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში, ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების საერთაშორისო გამოფენა „ProWein-2022“ გაიმართა. 16 მიასს, სკანდინავიის ქვეყნებში ქართული ღვინის პოპულარიზაციის მიზნით, შვედეთში, სტოკჰოლმის სომელიეთა სკოლაში „The Wine Hub” ქართული ღვინის მასტერკლასი და პრეზენტაცია გაიმართა.20 მაისს, ქართული ღვინის დეგუსტაცია ჩინეთის ქალაქ შენჭენში გაიმართა. 19 მაისს, პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში, ქართული ღვინის დეგუსტაცია-სემინარი გაიმართა. 25 მაისს, ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციის მიზნით, პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში, ქართული ღვინის მორიგი დეგუსტაცია-სემინარი გაიმართა. 20-23 მაისს, იტალიის ქალაქ რომში ღვინის გამოფენა “ROME WINE EXPO”-ს გაიმართა. 10-12 ივნისს ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მე-14 საერთაშორისო გამოფენა WinExpo Georgia 2022 გაიმართა. 7-9 ივნისს, ლონდონის საგამოფენო ცენტრში „Olympia London“ ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო გამოფენა „London Wine Fair 2022” გაიმართა. 19 ივნისს, ღვინის ეფსტივალი „მერანო“ გაიმართა, რომელიც იტალიაში 1992 წლიდან იმართება. 13-17 ივნისს საქართველოს ბრიტანელი ღვინის პროფესიონალების ჯგუფი სტუმრობდა. 21 ივნისს პოლონეთის ქალაქ გდანსკში ქართული ღვინის პრეზენტაცია გაიმართა. 24-26 ივნისს, რაჭალეჩხუმის ღვინის პირველი ფესტივალი გაიმართა. ჩინეთის ქალაქ შენჭენში, იმპორტიორებისა და დისტრიბუტორებისთვის ქართული ღვინის დეგუსტაცია გაიმართა. 20-23 ივნისს ბაზრების დივერსიფიკაციის მიმართულებით მიმდინარე ღონისძიებების ფარგლებში, დანიის სამეფოში ღვინის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები იმყოფებოდნენ. დანიის ქალაქ ორჰუსში სამეცნიეროდოკუმენტური ფილმის „საქართველო ღვინის სამშობლო“ ჩვენება გაიმართა. ფილმის დასრულების შემდეგ, მოეწყო ქართული ღვინის დეგუსტაცია. 8 ივლისს ქალაქ

ლაიფციგში გამართულ დეგუსტაციაზე, ქართული ღვინის მწარმოებელმა 36 კომპანიამ 100-ზე მეტი სხვადასხვა ღვინო წარადგინა, 13-20 აგვისტოს საქართველოში სტუმრად ამერიკელი ღვინის პროფესიონალები იმყოფებოდნენ. 26-28 აგვისტოს, ღვინის ეკონომისტთა ამერიკული ასოციაციის მე-14 კონფერენციას, ორი დღის განმავლობაში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მასპინძლობდა. 3 სექტემბერს, იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში გამართულ ღონისძიებას „აღმოაჩინე ქართული ღვინო“, 300-მდე სტუმარი დაესწრო. 5-9 სექტემბერს, ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანიის „Meiburg Wine Media"ს დირექტორის, ღვინის მაგისტრ დებრა მეიბურგის ხელმძღვანელობით, საქართველოს აზიიდან (ჩინეთი, ჰონგ-კონგი, სინგაპური) ღვინის პროფესიონალები სტუმრობდნენ. 1215 სექტენბერს, დიდი ბრიტანეთის ღვინის ბაზარზე ქართული ღვინის ცნობადობის ამაღლებისა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ბრიტანელი ღვინის პროფესიონალების ჯგუფი სტუმრობდა. 22 სექტემბერს კორეის რესპუბლიკის დედაქალაქ სეულში, ქართული ღვინისადმი მიძღვნილი მასშტაბური ღონისძიება გაიმართა. ღონისძიებას 140 სტუმარი დაესწრო. საქართველოში ღვინის საერთაშორისო კონკურსი International Wine & Spirit Competition (IWSC) ჩატარდა. ქართული ღვინოდან მედალი 288 მათგანს გადაეცა, 16 ოქრო, 63 ვერცხლი და 209 ბრინჯაო. 6-7 ნოემბერს ლოს-ანჯელესში, ბუნებრივი ღვინოების გამოფენაზე ,,RAW Wine" ქართული ქვევრის ღვინო იყო წარმოდგენილი. 13-14 ნოემბერს, წარმოდგენილი იყვნენ ქალაქ ნიუ-იორკში, ამავე ფორმატის გამოფენაზე ,,RAW Wine NY". საქართველო, 2023 წელს, ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის (WWTG) თავმჯდომარე ქვეყანა ხდება. ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან მეხუზლა აშშ-ში, კალიფორნიის შტატის ქალაქ სანტა-როზაში 6-9 ნომბერს გამართულ ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის (WWTG) ყოველწლიურ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.11-13 ნოემბერს შვედეთში, გამოფენაზე ,,Stockholm Food and Wine" ქართული ღვინის შვიდი კომპანია მონაწილეობდა. პოლონეთში, ქალაქ კრაკოვში 16-18 ნოემბერს გამართულ საერთაშორისო გამოფენაში „EnoExpo 2022" ქართული ღვინის მწარმოებელი 24 კომპანია მონაწილეობდა. 15-17 ნოემბერს, კალიფორნიაში „ქართული ღვინის ფორუმი“ წარმატებით ჩატარდა. 27 ნოემბერს, ბერლინში, ბუნებრივი ღვინოების გამოფენაზე „RAW Wine", ქართული ქვევრის ღვინის 18 მარანმა წარადგინა საკუთარი ღვინოები. 23-30 ნოემბერს, ქართული ღვინის კვირეულის ფარგლებში, ბერლინში, სამ სხვადასხვა ლოკაციაზე 10 მცირე მარნის ქართული ღვინოების დეგუსტაცია გაიმართა. 2022 წლის 3-4 დეკემბერს კრაკოვში პროექტი "ქართველი მეღვინე ქალები საზღვრებს გარეშე" განხორციელდა.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

| ამოცანა 1.3: ფერმერთა/მეწარმეთა ბაზარზე ინტეგრაცია | |
|---|---|
| აქტივობა ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.3.1: ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციის მხარდაჭერა/ღონისძიებების გატარება |

| | |
|---|---|
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2022 – 31.12.2022 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2022 წელს, ქართული აგროსასურსათო პროდუქციის 11 გამოფენა-დეგუსტაციის ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება/ მიღების უზრუნველყოფა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და ქვეყნის შიგნით; მოეწყობა ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების 18 გამოფენა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და ქვეყნის შიგნით. | **შესრულებული:**<br>2022 წელს, ქართული აგროსასურსათო პროდუქციის 41 გამოფენა/ფესტივალი საერთაშორისო და ადგილობრივ ბაზარზე და 65 დეგუსტაცია (მათ შორის ონლაინ დეგუსტაციები) მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და ქვეყნის შიგნით. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 12,000,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 9,451,700.00 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელებ ის პროცესი შეწყვეტილია | განხორციელ ების პროცესი დასრულებუ ლია |
| | სტატუსი | | | | | X |

## აქტივობა 1.3.2: ქართული ვაზის წარმოშობის პოპულარიზაციის უზრუნველყოფა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო

აქტივობის მიზანი: ვაზის აბორიგენული ჯიშის და ველური ვაზის შესწავლა ამპელოგრაფიის და მოლეკულური გენეტიკის მეთოდებით

**განხორციელებული ღონისძიებები**

მომზადდა და გამოცემული იქნა ორენოვანი (ქართული და ინგლისური) წიგნები „კლიმატის ანალიზი საქართველოს თანამედროვე მევენახეობისათვის: პრაქტიკული სახლმძღვანელო მევენახეებისათვის“ მილანის უნივერსიტეტის და ქართველი მკვლევარების ავტორობით. წიგნები პრაქტიკული მიმართულებისაა და განკუთვნილია მევენახების ტექნიკური რგოლის თანამშრომლებისათვის. ისრაელის ვეისმანის ინსტიტუტის D-REAMS ლაბორატორიაში განხორციელდა აჭარის კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს მიერ მოწოდებული გონიო-აფსაროსის ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი კარბონიზირებული ვაზის წიპწების დათარიღება რადიოკარბონული მეთოდით და მათი ხნოვანება განისაზღვრა გვიანი შუა საუკუნეებით. იგივე გონიო-აფსაროსის ციხის ვაზის 20 წიპწა გაგზავნილი იქნა მონპელიეს

უნივერსიტეტის (საფრანგეთი) მკვლევარ ლორან ბუბთან (Laurent Bouby) ბიომეტრიული მეთოდით შესწავლის მიზნით მევენახეობის ისტორიული ქრონოლოგიის აღდგენისათვის საქართველოს ტერიტორიაზე. მილანის უნივერსიტეტის მკვლევარმა გაბრიელე კოლამ (Gabriele Cola) შეკრიბა და დაამუშავა მისთვის მიწოდებული ველური და კულტურული ვაზის ფენოლოგიური ფაზების მსვლელობის მონაცემები 2017-2022 წლების პერიოდისათვის და შესაბამისი წლების აგროკლიმატური მონაცემები იმ მიზნით, რომ გაერკვია ფენოლოგიური ფაზების მსვლელობის თავისებურებანი ამ ჯგუფებს შორის კლიმატურ პარამეტრებზე დაყრდნობით. მასალა შეკრებილი იქნა მომავალში სამეცნიერო სტატიის გამოცემის მიზნით. მონაწილეობა იქნა მიღებული კონფერენციაში „Fifth ღvino Forum of America" რომელიც გაიმართა კალიფორნიის უნივერსიტეტში, (აშშ) დევისი, 2022 წლის 16 ნოემბერს. აქ პროექტის მონაწილეების დავით მაღრაძის, ლაურა რუსტიონის (სალენტოს უნივერსიტეტი), გაბრიელე კოლას და გაბრიელა დი ლორენცის (მილანის უნივერსიტეტი) მიერ წარდგენილი იქნა ოთხი მოხსენება პროექტის ფარგლებში შესრულებული სამუშაოების შესახებ, მიძღვნილი ქართული ვაზის გენეტიკური რესურსების და საქართველოს მევენახეობის აგროკლიმატური თავისებურებებისადმი. ღვინის ეროვნული სააგენტოს სახელით დ. მაღრაძის თანაავტორობით გამოცემული იქნა 3 სამეცნიერო სტატია.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

| ამოცანა 1.3: ფერმერთა/მეწარმეთა ბაზარზე ინტეგრაცია | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.3.2: ქართული ვაზის წარმოშობის პოპულარიზაციის უზრუნველყოფა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2022 – 31.12.2022 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2022 წელს: განხორციელდება 20 ვაზის აბორიგენული ჯიშის და ველური ვაზის შესწავლა ამპელოგრაფიის და მოლეკულური გენეტიკის მეთოდებით; | **შესრულებული:**<br>2022 წელს, განხორციელდა 20 ვაზის აბორიგენული ჯიშის და ველური ვაზის შესწავლა ამპელოგრაფიის და მოლეკულური გენეტიკის მეთოდებით. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 50,000 ლარი | **ფაქტობრივი:** 22,900 ლარი |

| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | X |

## აქტივობა 1.3.3: ადგილწარმოშობის დასახელებების და გეოგრაფიული აღნიშვნების სისტემის განვითარება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო

აქტივობის მიზანი: ქართული ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვა ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2022 წელს შემუშავდა 4 ახალი დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის წარმოების სპეციფიკაცია (ზეგაანი, ოყუირეშის უსახელოური, ოკამი, ასურეთული შალა).

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

პროგრამის ფარგლებში კოლექტიური სასაქონლო ნიშნის ,,ალაზნის ველის" საზღვარგარეთ, კერძოდ ესტონეთში დაცვის მიზნით შესყიდულ იქნა იურიდიული მომსახურება, აღნიშნული მომსახურების ფარგლებში პატენტრწმუნებულმა წარადგინა სასაქონლო ნიშნის განაცხადის ხელახალი განხილვის შესახებ მოთხოვნა, რომელიც დაკმაყოფილდა ესტონეთის საპატენტო უწყების ქვევრი პირველი არასასურსათო პროდუქტია, რომელიც ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის სახელმწიფო რეესტრს დაემატა. ქვევრი პირველი არასასურსათო პროდუქტია, რომელიც ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის სახელმწიფო რეესტრს დაემატა. ქვევრის გეოგრაფიულ აღნიშვნად დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, ქვეყნისთვის, რომელსაც მეღვინეობის 8-ათასწლიანი უწყვეტი ისტორია აქვს. ქართული ტრადიციული მეთოდით ღვინის დაყენება ეროვნულ საღვინე ჭურჭელს -ქვევრს უკავშირდება. ქვევრის დამზადება ქართველი ხალხის ინტელექტის ნაყოფს წარმოადგენს. დარეგისტრირდა 25-ე ადგილწარმოშობის დასახელება: მაღრაანის ქისი.

| ამოცანა 1.3: ფერმერთა/მეწარმეთა ბაზარზე ინტეგრაცია | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.3.3: ადგილწარმოშობის დასახელებების და გეოგრაფიული აღნიშვნების სისტემის განვითარება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2022 – 31.12.2022 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:** 2022 წელს, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დაცული იქნება 20-მდე ქართული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოები; 2022 წელს, შემუშავდება 3 ახალი დაცული | 2022 წელს წარდგენილი იქნა განაცხადი კოლექტიური სასაქონლო ნიშნის ,,ალაზნის ველის" რეგისტრაციის მიზნით ყაზახეთისა და ბელარუსის რესპუბლიკებში. |

| | |
|---|---|
| ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის წარმოების სპეციფიკაციის ფორმა; | 2022 წელს შემუშავდა 4 ახალი დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის წარმოების სპეციფიკაცია (ზეგაანი, ოყუირეშის უსახელოური, ოკამი, ასურეთული შალა). |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 50,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 33,900.00 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | X | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## აქტივობა 1.3.4: სურსათის წარმოების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო

აქტივობის მიზანი: სააგენტოს მიერ განხორციელებული პროგრამების/პროექტების ფარგლებში, დაფინანსებული/დასაფინანსებელი ბენეფიციარების მიერ წარმოებული/საწარმოებელი პროდუქციის ხარისხის, უვნებლობის, მიკვლევადობის და კონკურენტუნარიანობის ზრდის ხელშეწყობა, შესაბამისი აქტივობების თანადაფინანსების გზით. რაც გამოიხატება:

- სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სისტემების და სტანდარტების დანერგვაში;
- მარკეტინგულ აქტივობების ოპტიმიზაციის მიზნით, ბრენდინგსა და შეფუთვის დიზაინში დახმარებაში;
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის პროდუქციის საბოლოო სასაქონლო სახის მისაცემად საჭირო აღჭურვილობის თანადაფინანსებაში.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2022 წელს, პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები და მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები:

- წლის განმავლობაში, პროგრამის ცნობადობის კიდევ უფრო ამაღლების და პროგრამის პირობების და პროცედურების შემდგომი დახვეწა/ოპტიმიზაციის მიზნით, განხორციელდა კომუნიკაციები/კონსულტაციები, როგორც პროგრამის მოქმედ, ასევე პოტენციურ ბენეფიციარებთან.
- USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამისა და ტექნიკური დახმარების სამსახურის ორგანიზებით ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტოს“ ბენეფიციარებისთვის, ჩატარდა სხვადასხვა თემატიკის ტრენინგები.

***ამის გარდა, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:***

- სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტები - გაფორმდა 51 ხელშეკრულება;
- ბრენდირება - გაფორმდა 31 ხელშეკრულება;
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის პროდუქციის საბოლოო სასაქონლო სახის მისაცემად საჭირო აღჭურვილობის თანადაფინანსება - გაფორმდა 9 ხელშეკრულება;
- სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია - გაფორმდა 3 ხელშეკრულება;
- ტექნიკური დახმარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დანერგილი სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტების რაოდენობა - დაინერგა 44 სტანდარტი;
- ტექნიკური დახმარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში პროდუქციის/კომპანიის ბრენდირების რაოდენობა - განხორციელდა 19 ბრენდირება;
- სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია - 1 ბენეფიციარმა განახორციელა;
- დამტკიცებული განაცხადების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა - 1,879,306.79 ლარი და 34,455.00 აშშ დოლარი;
- დამტკიცებული განაცხადების სააგენტოს ჯამურმა თანადაფინანსებამ შეადგინა - 1,143,849.76 ლარი და 10,996.50 აშშ დოლარი.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2022 წელს, აქტივობის ფარგლებში დაგეგმილი იყო, რომ 60 ბენეფიციარი მოახდენს სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტების (ISO-22000, HACCP, GLOBAL G.A.P, BIO, BRC, FSSC-22000) დანერგვას. საანგარიშო პერიოდში 44-მა ბენეფიციარმა მოახდინა სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სისტემების, სტანდარტების დანერგვა და სერტიფიცირება (ISO-22000, HACCP, GLOBAL G.A.P, BRC, FSSC-22000, FSSC v.5.1.), ხოლო 19 ბენეფიციარმა მოახდინა პროდუქციის/კომპანიის სრული ბრენდირება და 1 ბენეფიციარმა მოახდინა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია.

2022 წელს, აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისთვის, საპროგნოზო ბიუჯეტი განისაზღვრა 500,000.00 ლარით, ხოლო ბიუჯეტის ფაქტიურმა ათვისებამ შეადგინა 855,160.90 ლარი.

| ამოცანა 1.3 ფერმერთა/მეწარმეთა ბაზარზე ინტეგრაცია | |
|---|---|
| პროგრამის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.3.4: სურსათის წარმოების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი: | 01.01.2022 - 31.12.2022 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:** | **შესრულებული:** |

| | |
|---|---|
| 2022 წელს, 60 ბენეფიციარი მოახდენს სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტების (ISO-22000, HACCP, GLOBAL G.A.P, BIO, BRC, FSSC-22000) დანერგვას. | 2022 წელს, 44-მა ბენეფიციარმა მოახდინა სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სისტემების, სტანდარტების დანერგვა და სერტიფიცირება (ISO-22000, HACCP, GLOBAL G.A.P, BRC, FSSC-22000, FSSC v.5.1.). |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 500,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 855,160.90 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

### აქტივობა: 1.3.5. ვენახების კადასტრის აგება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო /სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო

აქტივობის მიზანი: საქართველოს მევენახეობის უწყებრივი კადასტრის შექმნა.

**განხორციელებული ღონისძიებები**

ვენახების კადასტრის პროგრამა ქვემო ქართლის, შიდა ქართლის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში განხორციელდება და უახლოეს მომავალში საქართველოს მევენახეობის ყველა რეგიონს მოიცავს. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა საკადასტრე სამუშაოების დაგეგმვა მიმდინარე წლისათვის, განისაზღვრა სამუშაოების ქრონოლოგია და მასშტაბები. გაიმართა შეხვედრები რეგიონებში საკადასტრე სამუშაოების დაგეგმვის, ქრონოლოგიისა და შესრულების მიზნით ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, შიდა ქართლის და სამცხე-ჯავახეთის ადმინისტრაციულ ერთეულებში. ამასთან ერთად, უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს ინფორმაციის განახლება კახეთისა და რაჭა-ლეჩხუმის მევენახეობის ზონებში. კახეთის მევენახეობა-მეღვინეობის ზონაში მევენახეების მიერ ყურძენი მარნებში ჩაბარდა საკადასტრო მონაცემთა ბაზიდან (ABACO) გაცემული ამონაწერების საფუძველზ განახლდა კადასტრისათვის გამოყენებული მონაცემთა ბაზა და მოხდა მისი სრულყოფა „აბაკოს“ ექსპერტებთან განხილვის ფორმატში. ტენდერით გამოვლინდა გამარჯვებული კომპანიამ ქვემო ქართლში დაიწყო საკადასტრე რუკებისთვის ორთოფოტოების გადაღება. ასევე ახორციელებს ქვემო ქართლის მხარის მარნეულის, გარდაბანის, თეთრიწყაროს და ბოლნისის, მცხეთა - მთიანეთის მხარის მცხეთის და დუშეთის , შიდა ქართლის მხარის კასპის, ქარელის, ხაშურის და გორის და სამცხე-ჯავახეთის მხარის ახალციხის, ბორჯომის, ასპინძისა და ადიგენის მუნიციპალიტეტებში არსებული ვენახების აეროფოტოგადაღებას, წარმოადგინა ორთოფოტოები, ამჟამად მიმდინარეობს: წარმოდგენილი მასალის შემოწმება. ქვემო ქართლის, შიდა ქართლის და მცხეთა-მთიანეთის მხარეებში, ვენახების კადასტრის ოპერატორების მიერ, მიმდინარეობს ვენახების იდენტიფიკაცია და ასევე, ინფორმაციის შეკრება მევენახეებისა და მათი ვენახების შესახებ.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქართლის რეგიონის რუკები ატვირთული იქნა ვენახების კადასტრის ერთიან მონაცემთა ბაზაში. მომზადებული იქნა 18 ოპერატორი ტრეინინგების საშუალებით, რომლებიც განთავსებული იქნენ სამუშაოდ ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის ადმინისტრაციულ ერთეულებში. განახლებული იქნა ვენახების საკადასტრო ინფორმაცია კახეთისა და რაჭალეჩხუმის. მევენახეობის ზონებისთვის და გაცემული იქნა 6.226 ახალი ამონაწერი. მომზადებული, გამოცემული და დაბეჭდილი იქნა ქართულ და ინგლისურ ენებზე სახელწოდებით „საქართველოს ვენახების კადასტრი 2021 წლის ანგარიში" (51 გვ.). დაწყებულია მონაცემთა შეკრება 2022 წლის ანალოგიური ანგარიშის შესადგენად. ღვინის სააგენტოს ვენახების კადასტრის სამუშაო ჯგუფმა უმასპინძლა GIZ და საერთაშორისო ექსპერტ ანა ლუჟის მიერ ორგანიზებულ სომხეთის ვაზისა და ღვინის ფონდის (სახელმწიფო უწყება) დელეგაციას ქვეყნებს შორის ინფორმაციისა და გამოცდილების გაცვლის უზრუნველსაყოფად.

| ამოცანა 1.3: ფერმერთა/მეწარმეთა ბაზარზე ინტეგრაცია | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.3.5: ვენახების კადასტრის აგება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2022 – 31.12.2022 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:** 2022 წელს, შემუშავდება შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, სამცხე ჯავახეთის და მცხეთა მთიანეთის რეგიონების ადმინისტრაციული საზღვრების მევენახეობის კადასტრი. | 2022 წელს განხორციელდა კადასტრი შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, სამცხე ჯავახეთის და მცხეთა მთიანეთის რეგიონებში, გადაღებულ იქნა 7000 ჰა ორთოფოტოები და შემოიხაზა 2300 ჰა-მდე ვენახის ფართობი. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 400,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 441,300.00 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | | | | X |

## ამოცანა 1.4: სოფლად ახალგაზრდა ფერმერებისა და მეწარმეების სტიმულირება

1.4 ამოცანის შესრულების მიზნით, 2022 წელს განხორციელდა 1 აქტივობა, კერძოდ საზოგადოებრივ ცენტრებში (28 რაიონული ცენტრი) სოფლის ახალგაზრდებისთვის ტრენინგების ჩატარება სამართლებრივ და მოქალაქეობრივ საკითხებზე.

აქტივობა განხორციელდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ.

**ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული აქტივობების შედეგად, 2022 წლის განმავლობაში:**

⇒ 2022 წელს, 14 რაიონულ საზოგადოებრივ ცენტრში ჩატარდა ტრეინინგი სამართლებრივ ან/და მოქალაქეობრივ საკითხებზე, გადამზადდა 250-მდე დაინტერესებული პირი.

## აქტივობა 1.4.1. საზოგადოებრივ ცენტრებში (28 რაიონული ცენტრი) სოფლის ახალგაზრდებისთვის ტრენინგების ჩატარება სამართლებრივ და მოქალაქეობრივ საკითხებზე

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

აქტივობის მიზანი: სოფლად მაცხოვრებელი დაინტერესებული ახალგაზრდებისთვის ცოდნის გაღრმავების ხელშეწყობა სამართლებრივ ან/და მოქალაქეობრივ საკითხებზე ტრენინგების ჩატარების გზით.

**განხორციელებული ღონისძიებები:**

2022 წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა სოფლად მაცხოვრებელი ახალგაზრდების ტრეინინგები სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე. 14 რაიონულ საზოგადოებრივ ცენტრში ჩატარდა შეხვედრები და დაინტერესებულ პირებს გაეწიათ კონსულტაციები მათთვის საინტერესო თემების შესახებ. გაკეთდა პრეზენტაციები, ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა სამეწარმეო საქმიანობა, მოქალაქეობა, ქორწინების რეგისტრაცია და სხვა. გადამზადდა 250-მდე დაინტერესებული პირი.

აქტივობის ფარგლებში, 2022 წლის განმავლობაში, შეხვედრები გაიმართა იუსტიციის სახლის შემდეგ ფილიალებში (ყოფილი საზოგადოებრივი ცენტრი):

1. ტყვიავის საზოგადოებრივი ცენტრი - 23 ივლისი
2. მეჯვრისხევის საზოგადოებრივი ცენტრი - 07 აგვისტო
3. მუხრანის საზოგადოებრივი ცენტრი - 21 აგვისტო
4. ბერძენაულის საზოგადოებრივი ცენტრი - 03 სექტემბერი
5. დიდი ჯიხაიშის საზოგადოებრივი ცენტრი - 10 სექტემბერი
6. იორმუღანლოს საზოგადოებრივი ცენტრი - 17 სექტემბერი
7. ყაჩაღანის საზოგადოებრივი ცენტრი - 18 სექტემბერი
8. შაშიანის საზოგადოებრივი ცენტრი - 25 სექტემბერი
9. ზეინდარის საზოგადოებრივი ცენტრი - 01 ოქტომბერი

10. კაზრეთის საზოგადოებრივი ცენტრი - 01 ოქტომბერი
11. დაბა ბაკურიანის საზოგადოებრივი ცენტრი - 29 ოქტომბერი
12. ვალეს საზოგადოებრივი ცენტრი - 30 ოქტომბერი
13. მარტყოფის საზოგადოებრივი ცენტრი - 20 ნოემბერი
14. სართიჭალის საზოგადოებრივი ცენტრი - 19 ნოემბერი

2023 წელს დამატებით 14 ფილიალში კვლავ გაგრძელდება ტრეინინგები და გადამზადდება 250-მდე პირი.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**
2022 წელს, აქტივობის ფარგლებში, დაგეგმილი იყო 250-მდე დაინტერესებული პირის დატრეინინგება. საანგარიშო პერიოდში, 14 რაიონულ საზოგადოებრივ ცენტრში ჩატარდა ტრეინინგი სამართლებრივ ან/და მოქალაქეობრივ საკითხებზე. გადამზადდა 250-მდე დაინტერესებული პირი. ტრეინინგის ჩატარება უზრუნველყოფილ იქნა იუსტიციის სახლში დასაქმებულმა ინსტრუქტორებმა.

აქტივობა განხორციელდა ადმინისტრაციული ხარჯის ფარგლებში.

| ამოცანა 1.4: სოფლად ახალგაზრდა ფერმერებისა და მეწარმეების სტიმულირება | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.4.1. საზოგადოებრივ ცენტრებში (28 რაიონული ცენტრი) სოფლის ახალგაზრდებისთვის ტრენინგების ჩატარება სამართლებრივ და მოქალაქეობრივ საკითხებზე |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს იუსტიციის სამინისტრო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2022 – 31.12.2022 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2022 წელს, 14 რაიონულ საზოგადოებრივ ცენტრში ჩატარდება ტრეინინგი სამართლებრივ ან/და მოქალაქეობრივ საკითხებზე (დატრეინინგდება 250-მდე ახალგაზრდა მეწარმე/ფერმერი); | **შესრულებული:**<br>2022 წელს, 14 რაიონულ საზოგადოებრივ ცენტრში ჩატარდა ტრეინინგი სამართლებრივ ან/და მოქალაქეობრივ საკითხებზე. გადამზადდა 250-მდე დაინტერესებული პირი. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 0 ლარი | **ფაქტობრივი:** 0 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელე ბის პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელე ბის პროცესი დასრულებუ ლია |
| | სტატუსი | | X | | | |

## ამოცანა 1.5: ინფრასტრუქტურასა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა

1.5 ამოცანის შესრულების მიზნით, 2022 წელს 11 აქტივობა განხორციელდა, მათ შორის: ფერმათა რეესტრის განვითარების უზრუნველყოფა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება, პროფესიულ განათლებაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, სოფლად საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, სოფლად სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობა, სოფლად სპორტული და კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია, სოფლად წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების რეაბილიტაცია. ამოცანის ყველა აქტივობა განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მის სტრუქტურაში შემავალი სააგენტოების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო მიერ.

**ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული აქტივობების შედეგად, 2022 წლის განმავლობაში:**

- ⇒ ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროგრამაში დარეგისტრირდა 18,280 ფერმერი/ფერმერული მეურნეობა;
- ⇒ 2022 წელს, დასრულდა 1 სკოლის მშენებლობა და დაიწყო 4 საჯარო სკოლების მშენებლობა და განხორციელდა 6 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია.
- ⇒ 2022 წელს სამ დამატებით მუნიციპალიტეტში დასრულდა სამშენებლო სამუშაოები(წყალტუბო, ლანჩხუთი, ხაშური) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების შექმნის მიზნით.
- ⇒ 651 კმ ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო საგზაო მონაკვეთებზე დაიგო/რეაბილიტირებულ იქნა გზის საფარი;
- ⇒ აშენდა/რეაბილიტირებულ იქნა 14 საბავშვო ბაღი;
- ⇒ აშენდა/რეაბილიტირებულ იქნა 45 სპორტული და კულტურული ობიექტი;
- ⇒ წელს აშენდა/რეაბილიტირებული იქნა 317 კმ წყალმომარაგების სისტემა და 21 დამხმარე ნაგებობა;

**1.5 ამოცანის შესრულების მიზნით 2022 წელს, სახელმწიფოს მიერ, ამოცანის განხორციელებისთვის გახარჯულია 244,081,973.36 ლარი.**

### აქტივობა 1.5.1: ფერმათა რეესტრის განვითარების უზრუნველყოფა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო

აქტივობის მიზანი: აღრიცხულ იქნეს საქართველოს მასშტაბით სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული ყველა პირი (გარდა იმ პირებისა, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ეწევიან მხოლოდ საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირ(ებ)ის

დაკვეთით ან/და გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე), რაც შესაძლებლობას მისცემს სახელმწიფოს ფლობდეს, მათ შორის სტატისტიკურ ინფორმაციას, რომელიც გამოყენებული იქნება სამიზნე ჯგუფების სწორი შერჩევისათვის და მათთვის სხვადასხვა მასტიმულირებელი პროექტების/პროგრამების საჭიროებისამებრ დაგეგმვისა და განხორციელებისთვის.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2022 წელს მიმდინარეობდა ახალი ფერმერების/ფერმერული მეურნეობების დარეგისტრირება და 2018-2021 წლებში დარეგისტრირებული ფერმერების/ფერმერული მეურნეობების მონაცემების გადამოწმება. 2022 წელს განხორციელდა ქმედებები, რომლებიც მიმართული იყო ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციისათვის საჭირო ელექტრონული სისტემის დახვეწისათვის (მათ შორის 2019 წელს დანერგილი, კომპანია „აბაკოს" „პროცესების და კონტროლის მართვის" ელექტრონული მოდულის), რათა ეს სისტემა უფრო დინამიური და ინტერაქტიური გამხდარიყო.

აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, 2022 წელს „ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროექტის" ფარგლებში დარეგისტრირდა 18,280 ფერმერი/ფერმერული მეურნეობა. სულ პროექტის დაწყებიდან პროექტის ფარგლებში დარეგისტრირებული ფერმერების/ფერმერული მეურნეობების რაოდენობამ შეადგინა 173,333 ერთეული.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2022 წელს, დაგეგმილი იყო 8,000 ფერმერის/ფერმერული მეურნეობის დარეგისტრირება. საანგარიშო პერიოდში, 18,280 ფერმერი/ფერმერული მეურნეობა დარეგისტრირდა.

2022 წელს, აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისთვის, საპროგნოზო ბიუჯეტი განისაზღვრა 300,000.00 ლარით, ხოლო ბიუჯეტის ფაქტიურმა ათვისებამ შეადგინა 290,637.68 ლარი.

| ამოცანა 1.5: ინფრასტრუქტურასა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა | |
|---|---|
| პროგრამის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.5.1: ფერმათა რეესტრის განვითარების უზრუნველყოფა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი: | 01.01.2022 - 31.12.2022 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2022 წელს 8,000 ფერმერი/ფერმერული მეურნეობა დარეგისტრირდება. | **შესრულებული:**<br>2022 წელს, 18,280 ფერმერი/ფერმერული მეურნეობა დარეგისტრირდა. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 300,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 290,637.68 ლარი |

| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## აქტივობა 1.5.2: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო/სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

<u>აქტივობის მიზანი:</u> ინფრასტრუქტურასა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.

**განხორციელებული ღონისძიებები**

დაიწყო 6 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია.

- *გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის №1 საჯარო სკოლა - მიმდინარეობს სრული რეაბილიტაცია*
- *გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის № 2 საჯარო სკოლა - მიმდინარეობს სრული რეაბილიტაცია*
- *სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირის საჯარო სკოლა -მიმდინარეობს სრული რეაბილიტაცია*
- *გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევის საჯარო სკოლა -მიმდინარეობს სრული რეაბილიტაცია*
- *არნოლდ ჩიქობავას სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი სენაკის საჯარო სკოლა -მიმდინარეობს სრული რეაბილიტაცია*
- *ქალაქ დედოფლისწყაროს № 1 საჯარო სკოლა - აღნიშნული სკოლის სრული რეაბილიტაციის მიმდინარეობის საწყის ეტაპზე გამოიკვეთა შენობის გადახურვის ფილების მძიმე დაზიანება, შესაბამისი ექსპერტის მიერ შეფასდა მდგომარეობა და რენტაბელობიდან გამომდინარე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შეჩერებულიყო სკოლის სრული რეაბილიტაცია და დაიგეგმა ახალი სკოლის მშენებლობა.“*

დასრულდა 1 სკოლის მშენებლობა, დაიწყო 4 საჯარო სკოლების მშენებლობა.

- *ადიგენის მუნიციპალიტეტში სოფელ აბასთუმანში ახალი საჯარო სკოლა -მიმდინარე მშენებლობა;*
- *ქალაქ ტყიბულის N7 საჯარო სკოლის მშენებლობა - დასრულდა;*
- *დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ოზაანის საჯარო სკოლა -მიმდინარე მშენებლობა;*

- *სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაბაკევის საჯარო სკოლა -მიმდინარე მშენებლობა.*
- *ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისმეურნეობის საჯარო სკოლა -მიმდინარე მშენებლობა;*
- *მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ იფარის საჯარო სკოლის მშენებლობისთვის გამოცხადებული ტენდერი არ შედგა. ახალი ტენდერი გამოცხადდება უახლოეს პერიოში;*
- *ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალაფორეთის საჯარო სკოლის მშენებლობისთვის მზადდება საპროექტო დოკუმენტაცია, საჭირო გახდა დამატებითი გეოლოგიური კვლევები ჩატარება, რის საფუძველზეც უახლოეს პერიოდში გამოცხადდება ტენდერი.*

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2022 წელს 5-მდე საჯარო სკოლის რეაბილიტაციისთვის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული 2022 წლის ვალდებულება შეადგენდა 3,548,590.26 ლარს, ხოლო გახარჯული თანხა შეადგენს 3,548,588.83 ლარს.

2022 წელს, 6-მდე საჯარო სკოლის მშენებლობისთვის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული 2022 წლის ვალდებულება შეადგენდა 3,437,538.39 ლარს, ხოლო აღნიშნულ აქტივობისთვის გახარჯული თანხა შეადგენს 3,426,585.21 ლარს.

| 1.5 ინფრასტრუქტურასა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | 1.5.2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო/სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2022 – 31.12.2022 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2022 წელს, სააგენტოს მიერ დაგეგმილია 6-მდე საჯარო სკოლის მშენებლობის დაწყება და 5-მდე საჯარო სკოლის რეაბილიტაცია. | **შესრულებული:**<br>2022 წელს, დასრულდა 1 სკოლის მშენებლობა და დაიწყო 4 საჯარო სკოლების მშენებლობა და 6 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 7,649,300.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 6,975,174.04 ლარი |

| | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რეიტინგი | | X | | | |

| შესრულე ბის შეფასება | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელე ბის პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სტატუსი | | X | | | |

## აქტივობა 1.5.3: პროფესიულ განათლებაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო/პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი

აქტივობის მიზანი: აქტივობის მიზანს წარმოადგენს ქვეყნის მასშტაბით პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების გეოგრაფიული დაფარვის გაუმჯობესება, რათა პროფესიული განათლება ხელმისაწვდომი გახდეს ქვეყნის ყველა მუნიციპალიტეტში.

**განხორციელებული ღონისძიებები**

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიის 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმის 1.5 ამოცანის 1.5.3 აქტივობის შესაბამისად 2022 წელს განსაზღვრული იყო დამატებით ერთ მუნიციპალიტეტში პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობის შექმნა. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების შედეგად სამ დამატებით მუნიციპალიტეტში შეიქმნა (წყალტუბო, ლანჩხუთი, ხაშური) პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა. 2023 წელს ახლად განვითარებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები აქტიურად გააგრძელებენ მუშაობას ავტორიზაციის მოპოვების მიზნით.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიის 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმის შესაბამისად 2022 წელს დაგეგმილი იყო 1,500,000.00 ლარის ოდენობით საპროგნოზო ბიუჯეტი. საანგარიშო პერიოდში აღნიშნული მიმართულებით დაფინანსების ოდენობამ შეადგინა 3,536,161.64 ლარი.

| 1.5 ინფრასტრუქტურასა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.5.3: პროფესიულ განათლებაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო/პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2022 – 31.12.2022 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:** | **შესრულებული:** |

| | |
|---|---|
| 2022 წელს, სულ მცირე ერთ დამატებით მუნიციპალიტეტში შეიქმნება პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა (ინფრასტრუქტურა) | საანგარიშო პერიოდში სამ დამატებით მუნიციპალიტეტში დასრულდა სამშენებლო სამუშაოები (წყალტუბო, ლანჩხუთი, ხაშური) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების შექმნის მიზნით. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო**: 1,500,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 3,536,161.64 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | | | | X |

## აქტივობა 1.5.4: სოფლად საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

აქტივობის მიზანი: ადგილობრივ და სასოფლო დონეზე მოძველებული საგზაო ინფრასტრუქტურის შეკეთება-რეაბილიტაცია ან/და ახალი საგზაო ინფრასტრუქტურის შექმნა

**განხორციელებული ღონისძიებები**

თანხების გამოყოფა ხორციელდება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, რომელიც ასახულია სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში (5507) და ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების შესახებ 2022-2025 წლების სამთავრობო დოკუმენტში (430 მლნ. ლარი). საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, დადგენილი წესით კოორდინაციას უწევს მუნიციპალიტეტების მიერ დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას.

საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული სამუშაოები ხორციელდება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში და შესაბამისად, ინფრასტრუქტურული პროექტების ტიპის შერჩევაზე პასუხისმგებელი არიან უშუალოდ მუნიციპალიტეტები. 2022 წელს, მსგავსად 2021 წლისა, მუნიციპალიტეტების მიერ, წინა წლებთან შედარებით წარმოდგენილი იყო უფრო მეტი საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული პროექტი, რამაც, გამოიწვია დაგეგმილი ბიუჯეტისა და ინდიკატორების ორმაგი და მეტი გადაჭარბებით შესრულება.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2022 წელს, აქტივობის ფარგლებში, დაგეგმილი იყო 250 კმ ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო საგზაო მონაკვეთებზე გზის საფარის დაგება ან რეაბილიტაცია. საანგარიშო პერიოდში, დაიგო ან რეაბილიტირებულ იქნა 651 კმ გზის საფარი.

2022 წელს, აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისთვის, საპროგნოზო ბიუჯეტი განისაზღვრა 75,000,000 ლარით, ხოლო ბიუჯეტის ფაქტიურმა ათვისებამ შეადგინა 189,500,000 ლარი.

| ამოცანა 1.5: ინფრასტრუქტურასა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.5.4 სოფლად საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br><br>2022 წელს, 250 კმ-მდე ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო საგზაო მონაკვეთებზე დაიგება ან რეაბილიტირებული იქნება გზის საფარი | **შესრულებული:**<br><br>2022 წელს, 651 კმ ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო საგზაო მონაკვეთებზე დაიგო ან რეაბილიტირებულ იქნა გზის საფარი |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 75,000,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 189,500,000.00 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## აქტივობა 1.5.5: სოფლად სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობა

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

<u>აქტივობის მიზანი:</u> ადგილობრივ და სასოფლო დონეზე სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის მიზნით საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია და სწავლისათვის შესაბამისი სტანდარტის პირობების შექმნა, როგორც ბავშვებისთვის, ასევე პედაგოგებისთვის.

**განხორციელებული ღონისძიებები**

თანხების გამოყოფა ხორციელდება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, რომელიც ასახულია სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში (5507) და "ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების შესახებ 2022-2025 წლების სამთავრობო დოკუმენტში (430 მლნ. ლარი). საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, დადგენილი წესით კოორდინაციას უწევს მუნიციპალიტეტების მიერ დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პროცესებს.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2022 წელს, აქტივობის ფარგლებში, დაგეგმილი იყო 8 საბავშვო ბაღის აშენება/რეაბილიტირება. საანგარიშო პერიოდში, აშენდა/რეაბილიტირებულ იქნა 14 საბავშვო ბაღი.

2022 წელს, აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისთვის, საპროგნოზო ბიუჯეტი განისაზღვრა 2,500,000 ლარით, ხოლო ბიუჯეტის ფაქტიურმა ათვისებამ შეადგინა 2,890,000 ლარი.

| ამოცანა 1.5: ინფრასტრუქტურასა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.5.5. სოფლად სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2022 წელს აშენდება/რეაბილიტირებული იქნება 8 საბავშვო ბაღი | **შესრულებული:**<br>2022 წელს აშენდა/რეაბილიტირებულ იქნა 14 საბავშვო ბაღი |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 2,500,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 2,890,000.00 ლარი |

| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

### აქტივობა 1.5.6: სოფლად სპორტული და კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

აქტივობის მიზანი: სპორტული და კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია ადგილობრივ და სოფლის დონეზე, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობაში და განსაკუთრებით ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას

**განხორციელებული ღონისძიებები**

თანხების გამოყოფა ხორციელდება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, რომელიც ასახულია სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში (5507) და "ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების შესახებ 2022-2025 წლების სამთავრობო დოკუმენტში (430 მლნ ლარი). საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, დადგენილი წესით კოორდინაციას უწევს მუნიციპალიტეტების მიერ დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პროცესებს.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2022 წელს, აქტივობის ფარგლებში დაგეგმილი იყო 8 სპორტული და კულტურის ობიექტის აშენება/რეაბილიტირება. საანგარიშო პერიოდში აშენდა/რეაბილიტირებულ იქნა 45 სპორტული და კულტურის ობიექტი.

2022 წელს, აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისთვის, საპროგნოზო ბიუჯეტი განისაზღვრა 2,500,000 ლარით, ხოლო ბიუჯეტის ფაქტიურმა ათვისებამ შეადგინა 6,700,000 ლარი.

| ამოცანა 1.5: ინფრასტრუქტურასა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.5.6. სოფლად სპორტული და კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>ყოველწლიურად აშენდება/რეაბილიტირებული იქნება 8 სპორტული და კულტურის ობიექტი | **შესრულებული:**<br>2022 წელს აშენდა/რეაბილიტირებულ იქნა 45 სპორტული და კულტურის ობიექტი |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 2,500,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 6,700,000.00 ლარი |

| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## აქტივობა 1.5.7: სოფლად წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო / საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია

აქტივობის მიზანი: ადგილობრივი მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა, წყალმომარაგების ქსელებისა და სათავე ნაგებობების (წყლის რეზერვუარები, ჭაბურღილები, წყლის შემკრები ნაგებობები) მშენებლობა რეაბილიტაციის მეშვეობით, მათ შორის წყალარინების სისტემების (საკანალიზაციო სისტემა) მოწესრიგება და გარემოზე მავნე ზემოქმედების შესამცირებლად საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი წყალარინების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა.

**განხორციელებული ღონისძიებები**

თანხების ძირითადი ნაწილის გამოყოფა ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან (2504), ხოლო პროექტების განხორციელებაზე პასუხისმგებელია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს "შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია". ასევე, პროექტების ნაწილი ხორციელდება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, რომელიც ასახულია სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში (5507) და "ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების შესახებ 2022-2025 წლების სამთავრობო დოკუმენტში (430 მლნ. ლარი). საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, დადგენილი წესით ზედამხედველობას უწევს "შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისა", აგრეთვე, ახორციელებს კოორდინაციას მუნიციპალიტეტების მიერ დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პროცესებს.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2022 წელს, აქტივობის ფარგლებში, დაგეგმილი იყო 100 კმ წყალმომარაგების სისტემის და 4 შესაბამისი დამხმარე ნაგებობის (ჭაბურღილი, რეზერვუარი, გამწმენდი ნაგებობა) აშენება/რეაბილიტირება. საანგარიშო პერიოდში აშენდა/რეაბილიტირებულ იქნა 317 კმ წყალმომარაგების და საკანალიზაციო სისტემა და 21 დამხმარე ნაგებობა.

2022 წელს, აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისთვის, საპროგნოზო ბიუჯეტი განისაზღვრა 40,000,000 ლარით, ხოლო ბიუჯეტის ფაქტიურმა ათვისებამ შეადგინა 34,250,000 ლარი.

| ამოცანა 1.5: ინფრასტრუქტურასა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.5.7. სოფლად წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო / საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br><br>2022 წელს აშენდება/რეაბილიტირებული იქნება 100 კმ-მდე წყალმომარაგების სისტემა და 4-მდე სათავე და გამწმენდი ნაგებობა | **შესრულებული:**<br><br>2022 წელს აშენდა/რეაბილიტირებული იქნა 317 კმ წყალმომარაგების სისტემა და 21 დამხმარე ნაგებობა (სათავე და გამწმენდი ნაგებობა) |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 40,000,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 34,250,000.00 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## აქტივობა 1.5.9: მყარი ნარჩენების მართვა (ევროკავშირის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისთვის (ENPARD IV) - ინდიკატორი 2.4)

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო / საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია

<u>აქტივობის მიზანი:</u> ევროსტანდარტების შესაბამისი ახალი სანიტარული ნაგავსაყრელის მშენებლობა და არსებული ნაგავსაყრელების დახურვა და მოვლა პატრონობა

**განხორციელებული ღონისძიებები**

2022 წელს დადგენილი პროცედურების შესაბამისად ხორციელდებოდა დახურული ნაგავსაყრელების შემდგომი მოვლა-პატრონობისთვის განსაზღვრული აუცილებელი ქმედებები.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | X | | |

| შესრულების შეფასება | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სტატუსი | | X | | | |

## აქტივობა 1.5.10: სოფლად ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (ევროკავშირის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისთვის (ENPARD IV) - ინდიკატორი 2.5)

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო / საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია / საქართველოს მუნიციპალიტეტები

აქტივობის მიზანი: ENPARD IV - ინდიკატორი 2.5 ითვალისწინებს ადგილობრივი მოსახლეობის ახალ და განახლებულ ინფრასტრუქტურაზე (გზები, საბავშვო ბაღები, სპორტისა და კულტურის ობიექტები, წყალმომარაგება და წყალარინების სიტემები) ხელმისაწვდომობის ზრდას.

**განხორციელებული ღონისძიებები**

ENPARD IV - ინდიკატორი 2.5-ის შესაბამისად 2019 წლის საბაზისო (815,000 მოქალაქე) მონაცემებთან შედარებით 2022 წლის დეკემბრისთვის დამატებით 280,000 მოქალაქისთვის (35.6%) უნდა გაზრდილიყო ხელმისაწვდომობა ახალ და განახლებულ ინფრასტრუქტურაზე.

2022 წლის დეკემბრის მონაცემებით შესაბამის განახლებულ ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობა დამატებით 665 ათასზე მეტ (81.6%) საქართველოს მოქალაქეს გააჩნია. სტრატეგიის მიზნებიდან გამომდინარე გამოთვლებში არ არის გათვალისწინებული 5 თვითმმართველი ქალაქის (თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ფოთი, ბათუმი) და აჭარის ა/რ-ის მოსახლეობა.

შესაბამისად, ENPARD IV პროგრამის ინდიკატორი 2.5 შესრულებულია გადაჭარბებით.

| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | | | | X |

## აქტივობა 1.5.11: საჯარო სერვისებზე ხელმისაწვდომობა - საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (ევროკავშირის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისთვის (ENPARD IV) - ინდიკატორი 2.7)

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო / საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის

სამინისტროს სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი / საქართველოს მუნიციპალიტეტები.

აქტივობის მიზანი: ENPARD IV - ინდიკატორი 2.7 ითვალისწინებს სასოფლო დასახლებებისა და ქალაქების დონეზე საჯარო სკოლების მოსწავლეთათვის ახალ და განახლებულ სასკოლო ინფრასტრუქტურაზე (სკოლების რეაბილიტაცია/მშენებლობა) ხელმისაწვდომობის ზრდას.

**განხორციელებული ღონისძიებები**

ENPARD IV - ინდიკატორი 2.7-ის შესაბამისად 2019 წლის საბაზისო (124,000 მოსწავლე) მონაცემებთან შედარებით 2023 წლის ბოლოსთვის დამატებით 80,600 სკოლის მოსწავლისთვის (65%) უნდა გაიზარდოს ხელმისაწვდომობა ახალ და განახლებულ სასკოლო ინფრასტრუქტურაზე.

2022 წლის მდგომარეობით შესაბამის განახლებულ ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობა უკვე დამატებით 84 ათასამდე (67.6%) სკოლის მოსწავლეს გააჩნია. სტრატეგიის მიზნებიდან გამომდინარე გამოთვლებში არ არის გათვალისწინებული 5 თვითმმართველი ქალაქის (თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ფოთი, ბათუმი) და აჭარის ა/რ-ის სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა.

| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## ამოცანა 1.6 ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესება

1.6 ამოცანის შესრულების მიზნით, 2022 წელს 4 აქტივობა განხორციელდა, მათ შორის, სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია, ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების (მაგისტრალური არხების) რეაბილიტაცია და წყლის რესურსების მომხმარებელთა ციფრული მონაცემთა ბაზის შექმნა. ამოცანის ყველა აქტივობა განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის სტრუქტურაში შემავალი სააგენტოების მიერ.

**ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული აქტივობების შედეგად, 2022 წლის განმავლობაში:**

- ⇒ რეგულარულ სარწყავში გადასაყვანი მიწის ფართობი გაიზარდა 2.34 ათას ჰა-ით;
- ⇒ სარწყავ მიწებზე წყლით უზრუნველყოფა გაუმჯობესდა 3.24 ათას ჰა-ზე;
- ⇒ 2022 წელს, სარწყავი წყლის მთლიანი მოცულობის სამიზნე არიალში 83 მლნ მ$^3$ ; სარწყავი მიწის ფართობის 7 808 ჰა-მდე;
- ⇒ გაუმჯობესებული საირიგაციო სერვისების მიმღები წყლის მომხმარებლების რაოდენობა 2 461; საერთო ბენეფიციართა რაოდენობა 5 758;

⇒ წყლის რესურსების მომხმარებელთა ციფრული მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირდა დაახლოებით 35,206 მომხმარებელი.
⇒ 2020-2021-2022 წლებში, სახელმწიფო დაფინანსებით მელიორირებული ფართობი გაიზარდა:2020 წელს - 4,6 %, 2021 წელს - 2,75%. 2022 წელს - 3,54 % სულ 10,89%-ით.

**1.6 ამოცანის შესრულების მიზნით 2022 წელს, სახელმწიფოს მიერ, ამოცანის განხორციელებისთვის გახარჯულია 54,391,695 ლარი.**

### აქტივობა 1.6.1: სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ შპს „საქართველოს მელიორაცია“

<u>აქტივობის მიზანი:</u> საირიგაციო და დამშრობი სისტემების რეაბილიტაცია

**განხორციელებული ღონისძიებები**

2022 წელს, კაპიტალური ღონისძიებების ფარგლებში მიმდინარეობდა: სათავე ნაგებობების, მაგისტრალური არხების, პირველი და სხვა რიგის გამანაწილებლების, დიუკერებისა და სხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობების რეაბილიტაცია; არხების მოპირკეთების აღდგენა; დამატებითი გამანაწილებელი არხებისა და ჰიდროტექნიკური ნაგებობების მოწყობა მიწის ნაკვეთის ბლოკებამდე წყლის მიყვანის მიზნით; არსებული სატუმბი სადგურების რეაბილიტაცია/მოდერნიზაცია, ელ. მექანიკური მოწყობილობების აღდგენა და ახლით შეცვლა;

საირიგაციო სისტემებზე 2022 წლის განმავლობაში, მიმდინარეობდა სარეაბილიტაციო სამუშაოები 70 ობიექტზე, აქედან დასრულდა 34, შეწყდა 4 პროექტი. 2022 წლის განმავლობაში, მიმდინარეობდა დამშრობი (დრენაჟი) სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოები 6 ობიექტზე. აქედან დასრულდა 4 პროექტი.

2022 წლის 26 იანვრის N149 განკარგულებაში განხორციელდა ცვლილება 2022 წლის 10 ოქტომბრის N1820 განკარგულებით და ქვეპროგრამის, „სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია და ტექნიკის შეძენა“ (პროგრამული კოდი 31 06 01), ბიუჯეტი ნაცვლად 38,000,000 ლარისა განისაზღვრა 36,000,000 ლარით.

რიგი ობიექტების დასრულების თარიღი დაკორექტირდა, გახდა მშენებლობით გარდამავალი და დასრულდება 2023 წელს, შესაბამისად შეუსრულებელი ინდიკატორები 2023 წელს შესრულდება. ასევე მასალებზე ფასთა მკვეთრი ზრდის გამო ვერ შედგა ცალკეული მშენებლობის ტენდერები, ხდება ფასების გადაანგარიშება დღევანდელი საბაზრო ფასებით, რაც ზრდის ობიექტის ღირებულებას და ობიექტების დასრულება მოხდება მომდევნო წლებში.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2022 წლის განმავლობაში, აქტივობის ფარგლებში, დაგეგმილი იყო რეგულარულ სარწყავში გადასაყვანი მიწის ფართობის 5.98 ათას ჰექტრამდე ზრდა; 3.24 ათას ჰა სარწყავ მიწებზე წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება;

საანგარიშო პერიოდში, რეაბილიტირებულ იქნა სამელიორაციო ინფრასტრუქტურა; პირობითი სარწყავი მიწების კატეგორიიდან რეგულარულ სარწყავი მიწების კატეგორიაში გადასულია დაახლოებით 2.34 ათას ჰა-მდე მიწის ფართობი (მათ შორის: IFAD მიერ განხორციელებული პროექტების შედეგად კომპანიის კაპიტალში 2022 წელს შემოსული 1,2 ჰა); სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება განხორციელდა 3.24 ათას ჰა-ზე;

| ამოცანა 1.6: ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესება | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.6.1 სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/შპს „საქართველოს მელიორაცია“ |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი: | 01.01.2022 – 31.12.2022 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2022 წელს რეგულარულ სარწყავში გადასაყვანი მიწის ფართობი გაიზრდება 5.98 ათასი ჰექტრით; სარწყავ მიწებზე წყლით უზრუნველყოფა გაუმჯობესდება 3.24 ათას ჰა-ზე; | **შესრულებული:**<br>2022 წელს, რეგულარულ სარწყავში გადასაყვანი მიწის ფართობი გაიზარდა 2.34 ათას ჰა-ით; სარწყავ მიწებზე წყლით უზრუნველყოფა გაუმჯობესდა 3.24 ათას ჰა-ზე; |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 38,000,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 36,000,000 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | X | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელები ს პროცესი მიმდინარეობს | განხორციელებ ის პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელებ ის პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## აქტივობა 1.6.2: ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების (მაგისტრალური არხების) რეაბილიტაცია

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროინტეგრაციის დეპარტამენტი / შპს "საქართველოს მელიორაცია" პარტნიორი ორგანიზაცია: მსოფლიო ბანკი (WB)

აქტივობის მიზანი: საირიგაციო არხების რეაბილიტაცია

განხორციელებული ღონისძიებები: სამიზნე არეალში მეორე და მესამე რიგის გამანაწილებელი არხების რეაბილიტაცია (ზედა რუ, ქვემო სამგორი) მიმდინარეობს; საბაზისო კვლევის განხრციელდა, რის საფუძველზე მომზადა სატენდერო დოკუმენტაცია და შეირჩა კომპანია საკომუნიკაციო სტრატეგიის შესამუშვებლოად წყალომხმარებელთა ორგანიზაციების ჩამყალიბების მიზით.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება:**

| ამოცანა 1.6: ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესება | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.6.2: ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების (მაგისტრალური არხების) რეაბილიტაცია |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროინტეგრაციის დეპარტამენტი / შპს "საქართველოს მელიორაცია" |
| პარტნიორი ორგანიზაცია: | მსოფლიო ბანკი (WB) |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2022 – 31.12.2022 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2022 წელს,<br>• სარწყავი წყლის მთლიანი მოცულობის მიწოდება გაიზრდება სამიზნე არეალში 95 მლნ მ3-მდე;<br>• სარწყავი მიწის ფართობის გაიზრდება 12,000 ჰა-მდე;<br>• გაუმჯობესებული საირიგაციო სერვისების მიმღები წყლის მომხმარებლების რაოდენობა გაიზრდება 6,400-მდე;<br>• საერთო ბენეფიციართა რაოდენობა - 21,400 | **შესრულებული:**<br>2022 წელს,<br>• სარწყავი წყლის მთლიანი მოცულობის მიწოდება სამიზნე არეალში გაიზარდა 83 მლნ მ$^3$ მდე;<br>• სარწყავი მიწის ფართობის 2022 მონაცემბის მიხედვით გაიზარდა 7,808 ჰა-მდე;<br>• გაუმჯობესებული საირიგაციო სერვისების მიმღები წყლის მომხმარებლების რაოდენობა გაიზარდა 2,461 მდე;<br>• საერთო ბენეფიციართა რაოდენობა გაიზარდა - 5,758 მდე |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო**: 30,000,000 ლარი | **ფაქტობრივი:** 18,391,695 ლარი |

| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელებ ის პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელებ ის პროცესი დასრულებულ ია |
| | სტატუსი | | X | | | |

## აქტივობა 1.6.3: წყლის რესურსების მომხმარებელებთა ციფრული მონაცემთა ბაზის შექმნა

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ შპს „საქართველოს მელიორაცია“

<u>აქტივობის მიზანი:</u> წყლის რესურსების მომხმარებელებთა ციფრული მონაცემთა ბაზის შექმნა

**განხორციელებული ღონისძიებები**

წყლის რესურსების მომხმარებელებთა ციფრულ მონაცემთა ბაზაში 31.12.2022 წლის მდგომარეობით დარეგისტრირდა 35,206 აბონენტის განაცხადი, მათ შორის 8,713 არის 2022 წელს რეგისტრირებული ახალი აბონენტი

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება:**

2022 წელს დარეგისტრირებულია 35,206 მომხმარებელი

| ამოცანა 1.6: ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესება | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.6.3. წყლის რესურსების მომხმარებელთა ციფრული მონაცემთა ბაზის შექმნა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/შპს „საქართველოს მელიორაცია“ |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი: | 01.01.2022 – 31.12.2022 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>დარეგისტრირდება დაახლოებით 36,000 მომხმარებელი | **შესრულებული:**<br>2022 წელს დარეგისტრირებულია 35,206 მომხმარებელი |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** <u>0</u> | **ფაქტობრივი:** <u>0</u> |

***შენიშვნა:*** *წყლის რესურსების მომხმარებელებთა ციფრულ მონაცემთა ბაზაში 31,12,2022 წლის მდგომარეობით დარეგისტრირდა 35,206 აბონენტის განაცხადი, მათ შორის 8,713 არის 2022 წელს რეგისტრირებული ახალი აბონენტი*

| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## აქტივობა 1.6.4: მიწის სამელიორაციო ღონისძიებების განხორციელება (ENPARD IV, ინდიკატორი 2.6.)

| ამოცანა 1.6: ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესება | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.6.4: მიწის სამელიორაციო ღონისძიებების განხორციელება (ENPARD IV, ინდიკატორი 2.6.) |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/შპს „საქართველოს მელიორაცია“ |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2020 – 31.12.2023 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br><br>01.01.2020 - 31.12.2023 პერიოდში, სახელმწიფო დაფინანსებით მელიორირებული ფართობი გაიზრდება სულ მცირე 15%-ით, საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით (2019) | **შესრულებული:**<br><br>2020-2021-2022 წლებში, სახელმწიფო დაფინანსებით მელიორირებული ფართობი გაიზარდა:2020 წელს - 4,6%; 2021 წელს - 2,75%; 2022 წელს-3,54%. სულ 10,89%-ით. |

| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## ამოცანა 1.7 სოფლად ტურიზმისა და შესაბამისი ტურისტული პროდუქტების განვითარება

1.7 ამოცანის შესრულების მიზნით, 2022 წელს 3 აქტივობა განხორციელდა, მათ შორის, სოფლად ტურისტული პროდუქტის განვითარება, მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება და კერძო სექტორის უნარების განვითარება ტურისტული მომსახურების კუთხით (გადამზადების პროგრამა). ამოცანის ყველა აქტივობა განხორციელდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და მის სტრუქტურაში შემავალი უწყებების მიერ.

**ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული აქტივობების შედეგად, 2022 წლის განმავლობაში:**

- ⇒ შეიქმნა 2 ახალი ტურისტული პროდუქტი
- ⇒ შეიქმნა 2 მცირე ინფრასტრუქტურული პროექტი;
- ⇒ გადამზადებულ იქნა 600 ტურიზმის სექტორის წარმომადგენელი.

**1.7 ამოცანის შესრულების მიზნით 2022 წელს, სახელმწიფოს მიერ, ამოცანის განხორციელებისთვის გახარჯულია 839,087 ლარი.**

### აქტივობა 1.7.1: სოფლად ტურისტული პროდუქტის განვითარება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო/სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

<u>აქტივობის მიზანი:</u> ტურიზმის განვითარება და ხელშეწყობა

<u>განხორციელებული ღონისძიებები:</u> საანგარიშო პერიოდში, განხორციელდა ღვინის ტურიზმის ობიექტების ინსპექტირება და ქვეყნის მასშტაბით 28 ახალი ღვინის ობიექტისთვის მომზადდა საგზაო მანიშნებლების პროექტი, რომლის მონტაჟიც დაგეგმილია 2023 წელს. სამთო-საფეხმავლო ბილიკების პროექტირება განხორციელდა კახეთში, სვანეთში, სამცხე-ჯავახეთში და იმერეთში.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება:** 2022 წელს, საანგარიშო პერიოდში, შეიქმნა 2 ახალი ტურისტული პროდუქტი. აქტივობის განხორციელებაზე დაიხარჯა 329,671 ლარი.

| ამოცანა 1.7: სოფლად ტურიზმისა და შესაბამისი ტურისტული პროდუქტების განვითარება | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.7.1: სოფლად ტურისტული პროდუქტის განვითარება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო / სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2022 – 31.12.2022 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:** 2022 წელს, დამატებით შექმნილი იქნება 2 ახალი ტურისტული პროდუქტი | **შესრულებული:** 2022 წელს, შეიქმნა 2 ახალი ტურისტული პროდუქტი (ღვინის გზა და საფეხმავლო ბილიკები) |

| ბიუჯეტი | |
|---|---|
| **საპროგნოზო:** 350,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 329,671 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | | | | X |

## აქტივობა 1.7.2: მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო /სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

აქტივობის მიზანი: ტურიზმის განვითარება და ხელშეწყობა

განხორციელებული ღონისძიებები: განხორციელდა ღვინის გზის საგზაო მანიშნებლების სამუშაოების შესყიდვა. ასევე, სამთო-საფეხმავლო ბილიკები მოეწყო კახეთში, სვანეთში, სამცხე-ჯავახეთში და იმერეთში. ქვეყნის მასშტაბით, 32 ახალი რეკომენდებული ღვინის ტურიზმის ობიექტისთვის (მარანი და საწარმო), განხორცილდა საგზაო მანიშნებლების მონტაჟი.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება:** საანგარიშო პერიოდში, შეიქმნა 2 მცირე ინფრასტრუქტურული პროექტი და ბიუჯეტმა შეადგინა 137,918 ლარი.

| ამოცანა 1.7: სოფლად ტურიზმისა და შესაბამისი ტურისტული პროდუქტების განვითარება | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.7.2: მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო / სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2022 – 31.12.2022 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2022 წელს, 1 მცირე ინფრასტრუქტურული პროექტი იქნება შექმნილი. | **შესრულებული:**<br>2022 წელს, შეიქმნა 2 მცირე ინფრასტრუქტურული პროექტი. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 200,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 137,918 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |

| შესრულე ბის შეფასება | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელე ბის პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სტატუსი | | | | | X |

## აქტივობა 1.7.3: კერძო სექტორის უნარების განვითარება ტურისტული მომსახურების კუთხით (გადამზადების პროგრამა)

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო / სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

<u>აქტივობის მიზანი:</u> ტურიზმის განვითარება და ხელშეწყობა

<u>განხორციელებული ღონისძიებები:</u> 2022 წელს, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ განხორციელდა სხვადასხვა თემატიკის 10 ტრენინგი და გადამზადებულია 600 მონაწილე.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება:** საანგარიშო პერიოდში, გადამზადებულია 600 ბენეფიციარი. ჯამში აქტივობის განხორციელებაზე დაიხარჯა 371,498 ლარი.

| ამოცანა 1.7: სოფლად ტურიზმისა და შესაბამისი ტურისტული პროდუქტების განვითარება | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.7.3: კერძო სექტორის უნარების განვითარება ტურისტული მომსახურების კუთხით (გადამზადების პროგრამა) |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო / სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2022 – 31.12.2022 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2022 წელს, გადამზადებული იქნება ტურიზმის სექტორის 600 წარმომადგენელი. | **შესრულებული:**<br>2022 წელს, გადამზადებულია ტურიზმის სექტორის 600 წარმომადგენელი. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** <u>400,000 ლარი</u> | **ფაქტობრივი:** <u>371,498 ლარი</u> |

| შესრულე ბის შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელე ბის პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | | | | X |

## სტრატეგიული მიზანი 2: ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, ეკოსისტემების შენარჩუნება, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია

სტრატეგიული მიზანი 2 - ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, ეკოსისტემების შენარჩუნება, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია მოიცავს 5 ამოცანას და 9 აქტივობას.

### ამოცანა 2.1: გარემოსთან ადაპტირებული, კლიმატგონივრული სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის გავრცელება და ბიო/ორგანული წარმოების განვითარების ხელშეწყობა

**ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული აქტივობების შედეგად, 2022 წლის განმავლობაში:**

⇒ არ დაწყებულა სოფლის მეურნეობის სექტორისთვის ადაპტაციის ეროვნული გეგმის შეფასება.

### აქტივობა 2.1.1: კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის შესაძლებლობების განსაზღვრა და ხელშეწყობა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / გარემოს და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი

პარტნიორი ორგანიზაცია: UN Environment

აქტივობის მიზანი: საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის გაძლიერება არსებული შესაძლებლობების ანალიზითა და ამ ანალიზზე დაფუძნებული ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავებით.

**განხორციელებული ღონისძიებები**

საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის გაძლიერება წარმოადგენს უფრო ფართო პროექტის ნაწილს, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის შესაძლებლობების შესწავლას და მომავალი ქმედებების განსაზღვრას აღნიშნული შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით. აღნიშნული პროექტის ფარგლებში იგეგმება ეროვნული ადაპტაციის გეგმის (NAP) შემუშავება, რომლის ნაწილადაც მოიაზრება სოფლის მეურნეობის სექტორისთვის ადაპტაციის გეგმის შემუშავება.

პროექტი შემუშავდა და 2020 წელს წარედგინა კლიმატის მწვანე ფონდს (GCF) - მიუხედავად იმისა, რომ პროექტისთვის საჭირო თანხები გამოყოფილია, სხვადასხვა მიზეზით ჭიანურდება პროექტის საბოლოო დამტკიცება (მათ შორის, მნიშვნელოვნად უარყოფითი როლი შეასრულა Covid-19 პანდემიამ).

2022 წელს პროექტის საერთაშორისო განმახორციელებელმა (გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა - UNEP) მოახდინა ადგილობრივი განმახორციელებლის იდენტიფიცირება - ეს იქნება სსიპ გარემოსდაცვითი განათლებისა და ინფორმაციის ცენტრი.

ამ ეტაპზე GCF-ს, UNEP-სა და ადგილობრივ განმახორციელებელს შორის მიმდინარეობს პროექტის ტექნიკური ელემენტების შეთანხმება.

ვინაიდან პროექტი ჯერ არ დაწყებულა, შესაბამისად არც აღნიშნული ქმედება შესრულდა.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**
არ დაწყებულა შესრულება.

| ამოცანა 2.1: გარემოსთან ადაპტირებული , კლიმატგონივრული სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის გავრცელება ბიო/ორგანული წარმოების განვითარების ხელშეწყობა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 2.1.1. კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის შესაძლებლობების განსაზღვრა და ხელშეწყობა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო / სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 30.12.2022 – 30.01.2023 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2022 წელს დაიწყება სოფლის მეურნეობის სექტორისთვის ადაპტაციის ეროვნული გეგმის შეფასება | **შესრულებული:**<br>2022 წელს: არ შესრულდა |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 0 | **ფაქტობრივი:** 0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | | X | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელებ ის პროცესი შეჩერებულია | განხორციელებ ის პროცესი შეწყვეტილია | განხორციელებ ის პროცესი დასრულებულ ია |
| | სტატუსი | X | | | | |

## ამოცანა 2.2: ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

2.2 ამოცანის შესრულების მიზნით, 2022 წელს 2 აქტივობა განხორციელდა - დაცული ტერიტორიების ტურისტულ მარშრუტებზე ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და დაცული ტერიტორიების ინფრასტრუქტურით აღჭურვა. ამოცანის აქტივობა განხორციელდა

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტრუქტურაში შემავალი სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ.

**ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული აქტივობების შედეგად, 2022 წლის განმავლობაში:**

- ⇒ 2022 წელს, დაცულ ტერიტორიებზე მოეწყო/რეაბილიტირებულ იქნა 8 ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა;
- ⇒ დაცულ ტერიტორიებზე მოეწყო დაცვის ინფრასტრუქტურა - 50 ერთეული ხერგილი;
- ⇒ დაცული ტერიტორიებისთვის შეძენილ იქნა 183 სხვადასხვა სახის ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი.

**2.2 ამოცანის შესრულების მიზნით 2022 წელს, სახელმწიფოს მიერ, ამოცანის განხორციელებისთვის გახარჯულია 16,785,406.61 ლარი.**

## აქტივობა 2.2.1: დაცული ტერიტორიების ტურისტულ მარშრუტებზე ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო

<u>აქტივობის მიზანი:</u> ეკოტურიზმის განვითარება და საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაცია.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2022 წელს მიმდინარეობდა 8 სხვადასხვა დაცულ ტერიტორიაზე ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა/რეაბილიტაცია:

1. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ტერიტორიაზე საფეხმავლო ბილიკების ქსელისა და თანმდევი რეკრეაციულ-ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა
2. ბაწარა-ბაბანეურის შემეცნებითი ბილიკების ქსელის ინფრასტრუქტურის მოწყობა
3. ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე საფეხმავლო ბილიკების ქსელისა და თანმდევი რეკრეაციულ-ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა
4. ჯავახეთის დაცულ ტერიტორიებზე, კერძოდ თეთრობის აღკვეთილში საფეხმავლო ბილიკების ქსელისა და თანმდევი რეკრეაციულ-ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა
5. კინტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციისა და
6. მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის სამოქმედო არეალების დამაკავშირებელი საფეხმავლო ბილიკების ქსელისა და თანმდევი რეკრეაციულ-ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა
7. ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიაზე საფეხმავლო ბილიკების ქსელისა და თანმდევი რეკრეაციულ-ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა

8. იმერეთის მღვიმეების დაცულ ტერიტორიებზე პრომეთეს მღვიმის ტურისტულ ინფრასტრუქტურას ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2022 წელს, აქტივობის ფარგლებში, დაგეგმილი იყო დაცულ ტერიტორიებზე 2 ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა / ან არსებულის რეაბილიტაცია.
საანგარიშო პერიოდში, ჯამში 8 (რვა) დაცულ ტერიტორიაზე მიმდინარეობდა ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა/რეაბილიტაციის სამუშაოები, მათ შორის: 7 (შვიდ) დაცულ ტერიტორიებზე მიმდინარეობდა ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა (ბორჯომ-ხარაგაული, ბაწარა-ბაბანეური, ვაშლოვანი, ჯავახეთი, კინტრიში, მტირალა, ლაგოდეხი) და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 1 (ერთ) დაცულ ტერიტორიაზე არსებულ ეკოტურისტულ ინფრასტრუქტურას (პრომეთე).

საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტის ფაქტობრივმა ათვისებამ შეადგინა 16,711,761.61 ლარი. აღნიშნული პროექტი წარმოადგენს მრავალწლიან შესყიდვას, რომელიც განხორციელდება 2021-2023 წლებში და მოიცავს 38 მლნ ლარს, საიდანაც 16,711,761.61 ლარი გაიხარჯა 2022 წელს 8 სხვადასხვა დაცულ ტერიტორიაზე ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა/რეაბილიტაციისთვის.

| ამოცანა 2.2: ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 2.2.1: დაცული ტერიტორიების ტურისტულ მარშრუტებზე ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2022 – 31.12.2022 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2022 წელს, დაცულ ტერიტორიებზე 2 ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა / ან არსებულის რეაბილიტაცია | **შესრულებული:**<br>2022 წელს, 8 დაცულ ტერიტორიაზე მოეწყო/რეაბილიტაცია ჩაუტარდა ეკოტურისტულ ინფრასტრუქტურას |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 16,500,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 16,711,761.61ლარი |

| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## აქტივობა 2.2.2: დაცული ტერიტორიების ინფრასტრუქტურით აღჭურვა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო

აქტივობის მიზანი: დაცული ტერიტორიების დაცვა და რესურსების მართვა

**განხორციელებული ღონისძიებები**

2022 წლის განმავლობაში:

- საანგარიშო პერიოდში 9 სხვადასხვა დაცულ ტერიტორიაზე მოეწყო დაცვის 50 ხერგილები (ალგეთი, ვაშლოვანი, თბილისი, კინტრიში, კოლხეთი, მარიამჯვარი, მარტვილი, მტირალა, ყაზბეგი).
- დაცული ტერიტორიებისთვის შეძენილ იქნა 183 სხვადასხვა სახის ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2022 წელს, აქტივობის ფარგლებში, დაგეგმილი იყო დაცულ ტერიტორიებზე 3 ერთეული დაცვის ინფრასტრუქტურის (სარეინჯერო, ხერგილი ან სხვა) მოწყობა / რეაბილიტაცია; 50 ერთეული ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის / აღჭურვიილობის შეძენა.
საანგარიშო პერიოდში, 9 დაცულ ტერიტორიაზე განვითარდა დაცვის ინფრასტრუქტურა - მოეწყო 50 ხერგილი, დაცული ტერიტორიებისთვის შეძენილ იქნა 183 სხვადასხვა სახის ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი.

| **ამოცანა 2.2: ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობა** | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 2.2.2: დაცული ტერიტორიების ინფრასტრუქტურით აღჭურვა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო /სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2022 – 31.12.2022 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2022 წელს<br>• დაცულ ტერიტორიებზე მოეწყობა / ჩაუტარდება რეაბილიტაცია დაცვის ინფრასტრუქტურის (სარეინჯერო, ხერგილი ან სხვა) 3 ერთეულს;<br>• შეძენილ იქნება 50 ერთეული ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი / აღჭურვილობა. | **შესრულებული:**<br>2022 წელს<br>• დაცულ ტერიტორიებზე მოეწყო დაცვის ინფრასტრუქტურა - 50 ერთეული ხერგილი;<br>• დაცული ტერიტორიებისთვის შეძენილ იქნა 183 სხვადასხვა სახის ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი. |
| **ბიუჯეტი** | |

| **საპროგნოზო:** 150,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 73,645.00 ლარი |
|---|---|

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | | | | X |

## ამოცანა 2.3: ტყის რესურსების მდგრადი გამოყენება

2.3 ამოცანის შესრულების მიზნით, 2022 წელს 4 აქტივობა განხორციელდა, მათ შორის მერქნული რესურსის მართვა, ტყის მოვლა-აღდგენა და ტყის აღრიცხვა-ინვენტარიზაცია. გარემოს მდგრადობის ხელშეწყობა, ამოცანის აქტივობა განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის სტრუქტურაში შემავალი სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ.

**ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული აქტივობების შედეგად, 2022 წლის განმავლობაში:**

⇒ 518 386,8 $м^3$ ხე-ტყის გამოყოფილ რესურსზე უზრუნველყოფილ იქნა ხელმისაწვდომობა;
⇒ 1472,9 ჰა ახალ ფართობზე განხორციელდა ტყის აღდგენის (ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის) ღონისძიებები;
⇒ დამატებით შედგენილია ტყის მართვის გეგმების პროექტები 191,868 ჰა-ზე დედოფლისწყარო-სიღნაღის (23 826 ჰა), ამბროლაურის (81 069 ჰა), წალკა- თეთრიწყაროს (56 126 ჰა) და ადიგენის (30 847 ჰა) სატყეო უბნებისთვის.

**2.3 ამოცანის შესრულების მიზნით სახელმწიფოს მიერ, ამოცანის განხორციელებისთვის გახარჯულია 22,760,820 ლარი.**

### აქტივობა 2.3.1: მერქნული რესურსის მართვა

<u>პასუხისმგებელი უწყება</u>: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო

<u>აქტივობის მიზანი</u>: მერქნული რესურსის მოპოვებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, წინასწარ შერჩეულ სატყეო უბნების ტერიტორიებზე ხე-ტყის დამზადების მიზნით, შესაბამისი ფართობების გამოვლენა და სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების განხორციელება; სააგენტოს მიერ განხორციელებული ჭრის ფარგლებში ხე-ტყის დამზადება და რეალიზაცია.

**განხორციელებული ღონისძიებები:**

მოსახლეობის, საბიუჯეტო და სხვადასხვა ორგანიზაციების ხე-ტყით უზრუნველყოფის მიზნით (გარდა სამეურნეო ჭრისა) გამოყოფილია ტყეკაფები 306 561,3 კბმ ოდენობით. სამეურნეო და მოვლითი ჭრის ფარგლებში გამოყოფილია 211 825,5 კბმ მოცულობის ტყეკაფი, სულ ჯამში 518 386,8 კბმ მოცულობის ხე-ტყე.

2022 წელს, სააგენტოს მიერ სამეურნეო და მოვლითი ჭრის ტყეკაფებიდან დამზადებულია - 187 026,7 კბმ; აუქციონისა და პირდაპირი შესყიდვის წესით რეალიზებულია - 151 567 კბმ რესურსი, საიდანაც, აუქციონის წესით რეალიზებულია 125 100 კბმ, პირდაპირი მიყიდვის წესით - 26 467 კბმ (საბიუჯეტო ორგანიზაციების მომარაგება - 20 771 კბმ.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში სოციალური ჭრის ტყეკაფებიდან ათვისებულია (მოჭრილია) 277 580,1 კბმ საშეშე მერქანი, ხოლო ხე-ტყის დამზადების ბილეთებით გაცემული (გაყიდული) მერქნული რესურსი შეადგენს 301 783.2 კბმ-ს (39 438 კომლი).

გამოყოფილ ტყეკაფებში არსებულ რესურსზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, მოეწყო - 6.03 კმ. და რეაბილიტაცია ჩაუტარდა - 66.11 კმ. სატყეო გზას.

| ამოცანა 2.3: ტყის რესურსების მდგრადი გამოყენება | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 2.3.1: მერქნული რესურსის მართვა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2022 – 31.12.2022 |
| შესრულების ინდიკატორები | |
| დაგეგმილი:<br>2022 წელს, 600 000 მ$^3$ ხე-ტყის გამოყოფილ რესურსზე უზრუნველყოფილი იქნება ხელმისაწვდომობა. | შესრულებული:<br>2022 წელს, ჯამში 518 386,8 მ$^3$ ხე-ტყის რესურსზე უზრუნველყოფილ იქნა ხელმისაწვდომობა. |
| ბიუჯეტი | |
| საპროგნოზო: 21,000,000 ლარი | ფაქტობრივი: 20,777,430 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელებ ის პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | | | | X |

## აქტივობა 2.3.2: ტყის მოვლა და აღდგენა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო

აქტივობის მიზანი: ტყეების ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნების ხელშეწყობა; ტყის დროებითი სანერგეების მოწყობა პრიორიტეტების მიხედვით შერჩეულ სატყეო უბნების ტერიტორიებზე, ტყის აღდგენა-გაშენების ღონისძიებების განხორციელება წინასწარ გამოვლენილ აღსადგენ ფართობებზე.

განხორციელებული ღონისძიებები:

2022 წელს აღდგენა-გაშენების ღონისძიებები განხორციელდა 1811,9 ჰა, 5 რეგიონში. მ.შ: 1472,9 ჰა ახალ ფართობზე განხორციელდა ტყის აღდგენის (ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის) ღონისძიებები. ასევე, განხორციელდა 2021 წელს დაწყებული ტყის აღდგენის პროექტების ფარგლებში დაგეგმილი რიგი ღონისძებები 339 ჰა ფართობზე.
სატყეო სამსახურების მიხედვით, ტყის აღდგენა-გაშენების და მოვლის ღონისძიებები განხორციელდა: ქვემო ქართლში 18,7 ჰა ფართობზე, სამცხე-ჯავახეთში 80,8 ჰა-ზე, იმერეთის რეგიონში 375,1 ჰა-ზე, კახეთში- 1334,8 ჰა-ზე, შიდა ქართლში 2,5 ჰა ფართობზე.

| ამოცანა 2.3: ტყის რესურსების მდგრადი გამოყენება | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 2.3.2: ტყის მოვლა და აღდგენა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2022 – 31.12.2022 |
| შესრულების ინდიკატორები | |
| დაგეგმილი:<br>2022 წელს, დამატებით 100 ჰა-ზე გაშენდება/აღდგენილი იქნება ტყის მასივი. | შესრულებული:<br>2022 წელს 1472,9 ჰა ახალ ფართობზე განხორციელდა ტყის აღდგენის (ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის) ღონისძიებები. |
| ბიუჯეტი | |
| საპროგნოზო: 1,850,000 ლარი | ფაქტობრივი: 1,291,100 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სტატუსი | | | | | X |

## აქტივობა 2.3.3: ტყის აღრიცხვა-ინვენტარიზაციის განხორციელება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო

აქტივობის მიზანი: ტყის მართვის გეგმის შემუშავება, რომელშიც აისახება სატყეო-სამეურნეო ღონისძიებები მიმართული ტყის დაცვაზე, რესურსების მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, რაციონალურ და მრავალმიზნობრივ გამოყენებასა და კვლავწარმოებაზე; ტყის რესურსების მდგომარეობის შესახებ მოძველებული ინფორმაციის განახლება, ტყის რესურსების აღრიცხვა, ტყის მეურნეობის წარმოების, ტყის რესურსების მაჩვენებლების და ხარისხის დადგენა და ანალიზი; სახელმწიფოს ტყის ფონდის საზღვრების დაზუსტება და შესაბამისი კარტოგრაფიული მასალის მომზადება; ტყის აღრიცხვის არსებული მატერიალური ბაზის გაუმჯობესება და ინფორმაციის დამუშავების თანამედროვე პროგრამული საშუალებებით უზრუნველყოფა.

განხორციელებული ღონისძიებები:

დასრულებულია ტყის აღრიცხვის სამუშოები და შედგენილია ტყის მართვის გეგმა:

შედგენილია ტყის მართვის გეგმების პროექტები 191,868 ჰა ფართობზე დედოფლისწყარო-სიღნაღის (23 826 ჰა), ამბროლაურის (81 069 ჰა), წალკა- თეთრიწყაროს (56 126 ჰა) და ადიგენის (30 847 ჰა) სატყეო უბნებისთვის.

აღნიშნულ ფართობებზე მიმდინარეობს ტყის მართვის გეგმების დამტკიცების პროცედურები.

| ამოცანა 2.3: ტყის რესურსების მდგრადი გამოყენება | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 2.3.3: ტყის აღრიცხვა-ინვენტარიზაციის განხორციელებაა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2022 – 31.12.2022 |
| შესრულების ინდიკატორები | |
| დაგეგმილი:<br>2022 წელს: დამატებით შედგება ტყის მართვის გეგმების პროექტები 3 სატყეო უბნისათვის (126.8 ათასი ჰა); | შესრულებული:<br>2022 წელს: დამატებით შედგენილია ტყის მართვის გეგმების პროექტები 191,868 ჰა ფართობზე დედოფლისწყარო-სიღნაღის (23 826 ჰა), ამბროლაურის (81 069 ჰა), წალკა- |

| | |
|---|---|
| | თეთრიწყაროს (56 126 ჰა) და ადიგენის (30 847 ჰა) სატყეო უბნებისთვის. |
| ბიუჯეტი | |
| საპროგნოზო: 850,000 ლარი | ფაქტობრივი: 692,290 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | | | | X |

## ამოცანა 2.4: ენერგო-ეფექტური და განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიების და პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა

2.4 ამოცანის შესრულების მიზნით, 2022 წელს 1 აქტივობა განხორციელდა ბიოსაწვავის წარმოების შესახებ კანონქვემდებარე აქტების შემუშავების შესახებ, აქტივობა განხორციელდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ.

**ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული აქტივობების შედეგად, 2022 წლის განმავლობაში:**

⇒ მომზადებულია 1 კანონქვემდებარე აქტის პირველადი სამუშაო ვერსია.

### აქტივობა 2.4.1: ბიოსაწვავის წარმოების შესახებ კანონქვემდებარე აქტების შემუშავება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

აქტივობის მიზანი: ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, ეკოსისტემების შენარჩუნება, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია.

განხორციელებული ღონისძიებები: მიმდინარე ეტაპისთვის, შერჩეულია დონორი ორგანიზაცია, რომელიც დაამუშავებს კანონქვემდებარე აქტებს. ასევე, აღსანიშნავია, რომ უკვე მომზადებულია 1 კანონქვემდებარე აქტის პირველადი სამუშაო ვერსია, რომელიც საჭიროებს განხილვას დაინტერესებულ მხარეებთან. აღნიშნული კი დაგეგმილია 2023 წლის განმავლობაში. კანონქვემდებარე აქტების დასამტკიცებლად, პირველ ეტაპზე, საჭიროა „განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანა და შემდგომში მისი დამტკიცება საქართველოს პარლამენტის მიერ, რომელიც გადაიდო 2023 წლისთვის. აღნიშნული ცვლილებების

მომზადება განპირობებულია განახლებადი ენერგიების ახალი დირექტივის- DIRECTIVE (EU) 2018/2001 OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 11 December 2018 on the promotion of the use of energy from renewable sources (recast) გადმოტანის აუცილებლობით. მიმდინარე პერიოდისთვის, უკვე მომზადებულია კანონის ცვლილების პროექტის სამუშაო ვერსია. ამგვარად, კანონში ცვლილებების განხორციელების შემდგომ, მოხდება ბიოსაწვავის წარმოების შესახებ კანონქვემდებარე აქტების საბოლოო ვერსიების ჩამოყალიბება და მათი 2023 წლის განმავლობაში დამტკიცება.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

საანგარიშო პერიოდში, მომზადდა 1 კანონქვემდებარე აქტის პირველადი სამუშაო ვერსია.

| ამოცანა 2.4 ენერგო-ეფექტური და განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიების და პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 2.4.1. ბიოსაწვავის წარმოების შესახებ კანონქვემდებარე აქტების შემუშავება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2022 – 31.12.2022 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2022 წელს დაგეგმილი: ბიოსაწვავის წარმოების შესახებ 4 კანონქვემდებარე აქტის შემუშავება | **შესრულებული:**<br>მომზადებულია 1 კანონქვემდებარე აქტის პირველადი სამუშაო ვერსია. |
| ბიუჯეტი | |
| **საპროგნოზო:** 0 | **ფაქტობრივი:** 0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | X | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## ამოცანა 2.5: აგრო-ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება

2.5 ამოცანის შესრულების მიზნით, 2022 წელს 2 აქტივობა განხორციელდა, მათ შორის საქართველოს ფაუნის ადგილობრივ ჯიშებზე და პოპულაციებზე კვლევების ჩატარება ერთწლოვან და მრავალწლოვან კულტურებზე კვლევების ჩატარება. ამოცანის ყველა აქტივობა განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის სტრუქტურაში შემავალი სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ.

**ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული აქტივობების შედეგად, 2022 წლის განმავლობაში:**

⇒ 2022 წელს, კვლევაში არსებული ინდივიდების რაოდენობა არის 14,374 სული; სანაშენე ცხოველების რაოდენობა არის 80 სული;
⇒ კოლექციაში ჩართულია მრავალწლიანი კულტურების დაცული რაოდენობა 2223 ძირი; გენბანკში დაცული ნიმუშების რაოდენობა 879 ნიმუში.

**2.5 ამოცანის შესრულების მიზნით 2022 წელს, სახელმწიფოს მიერ, ამოცანის განხორციელებისთვის გახარჯულია 1,929,488 ლარი.**

## აქტივობა 2.5.1 საქართველოს ფაუნის ადგილობრივ ჯიშებზე და პოპულაციებზე კვლევების ჩატარება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

<u>აქტივობის მიზანი:</u> საქართველოში გავრცელებული შინაური ცხოველების, ფრინველების, თევზების და სამეურნეო-სასარგებლო მწერების ადგილობრივი ჯიშების და პოპულაციების აღდგენა-გაუმჯობესება და გენეტიკური ბანკის შექმნა.

**განხორციელებული ღონისძიებები**

- ხობის მუნიციპალიტეტის ს.ნახშირღელეში მიმდინარეობდა მეგრული წითელი ჯიშის საცდელი ნახირის ექსტერიერის, ფურების პროდუქტიულობის, მოზარდის განვითარების შესწავლა მიმდინარეობდა 20 ფურზე;
- განხორციელდა კვლევები მეგრული წითელი საქონლის საცდელი ნახირების მერძეული პროდუქტიულობის შესასწავლად;
- დაგროვილია კვლევის მასალა კავკასიური წაბლა ჯიშის საბაზო ფერმის ნახირების 72 ფურზე და 25 მოზარდზე;
- ფურების საკონტროლო წველის, რძის ნიმუშის ანალიზის და მოზარდის გამოზრდის შესწავლის მასალები შეტანილია კვლევის ელექტრონულ ჟურნალში;
- დინამიკაში შესწავლილია სარძეო კოოპერატივების ნახირებში კავკასიური წაბლა ჯიშის დეკეულების ზრდის მაჩვენებლები და გრძელდება ნახირის სამეურნეო-პროდუქტიული მაჩვენებლების კვლევა.
- მიმდინარეობდა ქართული მთის ჯიშის საცდელი ნახირის მოშენება, ნამატის მიღება, პროდუქტიულობის შესწავლა, პირუტყვის დაგრილება და კვების მონიტორინგი
- დმანისის მუნიციპალიტეტში სოფ. გომარეთის საძოვრებზე მონიტორინგი განხორციელდა კავკასიური წაბლა ჯიშის 20 დეკეულსა და 4 კურაკზე;
- განხორციელდა დმანისის მუნიციპალიტეტის გომარეთის სარძეო კოოპერატივზე გადაცემული კუროების გამოყენების შედეგების მონიტორინგი;

- მიმდინარეობს ფერმის მომზადება რეპროდუქტორად ჩამოყალიბებისათვის, მომავალი მწარმოებლების დედებად გადარჩეულია 23 ფური, მ.შ. 2 გაგზავნილი იქნა მეცხოველეობის რესპუბლიკურ გამოფენაზე , საიდანაც 1 გახდა ჯიშის ჩემპიონი;
- დმანისის საცდელ სადგურში წარმოებდა პირუტყვის კვების მონიტორინგი და სხვადასხვა ასაკის საცდელი ცხოველების ულუფების კორექტირება
- აჭარის მაღალმთიან ზონაში დაიწყო ქართული მთის ძროხის აჭარული პოპულაციის ექსპედიციური კვლევა. ხულოს, შუახევის და ქედას მუნიციპალიტეტებში აჭარული პოპულაციის ექსპედიციური კვლევა შესრულებულია 8 სოფლის ფერმერულ მეურნეობაში, ფენოტიპურად შესწავლილია 50-ზე მეტი პირუტყვი, მ.შ 13 ტიპიური ფური;
- პროდუქტიულობის შესწავლის და ზოოტექნიკურ-სანაშენე აღრიცხვის მოწესრიგების სამუშაოები შესრულდა ალათუბნის და ჯიგრაშენის ფერმებში 121 სულ პირუტყვზე;
- ახალციხის ბაზაზე მიმდინარეობდა სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრიდან გადაცემული ქართული მთის ჯიშის ნახირის მოშენება. მონიტორინგი წარმოებს 14 სულ მთის ჯიშის საცდელ პირუტყვზე;
- ქართული მთის ჯიშის საკურაკე მოზარდეულის მოძიების მიზნით თიანეთსა და დუშეთის მუნიციპალიტეტებში მოეწყო ექსპედიციური კვლევა.
- დმანისის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობდა სანაშენე მოზარდეულის განვითარების მონიტორინგი;
- ბიომეტრიულად დამუშავებულია საცდელი ბაზებზე მოპოვებული კვლევის მასალები
- ყველა კახურ ღორში, მიღებულია 51 გოჭი; ნაყოფიერება შეადგენს 5,1 გოჭი;
- მეგრული თხის სულადობა პირობიანი აუქციონით გასხვისებულ იქნა სენაკში, თხის სარძეო მიმართულების მეურნეობაში;
- ჩატარდა მონიტორინგი ციკნების ზრდა-განვითარებაზე;
- განხორციელდა მეკვერცხული პროდუქტიულობის აღრიცხვა ქათმისთვის, იხვისთვის და ინდაურისთვის
- შესწავლილია ჯავახური რუხი და ჭრელი ბატის, კოლხური ხოხბის და ჩალისფერი ინდაურის კვერცხდების ინტენსიობა და კვერცხის ფიზიკური და საინკუბაციო მაჩვენებლები.
- განხორციელდა მივლინებები გადაცემული ადგილობრივი ქათმის ფერმერულ მეურნეობებში;
- შესწავლილ იქნა ადგილობრივი ქათმის, ინდაურის და კოლხური ხოხბის კვერცხდების ინტენსიობა და კვერცხის ფიზიკური მაჩვენებლები; ასევე მოზარდების ზრდის დინამიკა
- დადგინდა ფუტკრის ოჯახების გამოზამთრების შედეგები.
- სანაშენე ოჯახებიდან გამოყვანილ იქნა 30, ხოლო რეპროდუქტორი საფუტკრეებიდან 140 დედა ფუტკარი ფერმერებზე გადასაცემად;
- ჩატარებულ იქნა ფუტკრის ოჯახების საშემოდგომო აღწერა;
- სანაშენე ბირთვისათვის შეირჩა ფუტკრის საუკეთესო 25 ოჯახი.
- სანაშენე და რეპროდუქტორი ოჯახებიდან გამოყვანილ იქნა 230 განაყოფიერებული დედა ფუტკარი.

- გამოწურულ იქნა 180 კგ თაფლი.
- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ტყის სატაქსაციო მასალების დამუშავებით დადგენილ იქნა 5 კვარტლის სამთაბარო ადგილები.
- ჩატარდა გრენის ნაწილობრივი მიკროანალიზი. გაისინჯა 40 ჯიშის გრენა. დამზადდა 300 ცალი კოლოფი
- მიმდინარეობს აბრეშუმის ჭიის მომდევნო თაობის გრენის დამზადება.
- დამზადდა 6000 ნადები წმინდა ჯიშის გრენა, და 500 გ ჰიბრიდული გრენა;
- გაზაფხულზე ჩატარდა ცხვრების ბონიტირება, პარსვა, გაბანება, მატყლის ნიმუშების აღება.
- თუშური ცხვრის სულადობა 30 სული გასხვისებულია პირობიანი აუქციონის წესით ქარელის მუნიციპალიტეტში; სანაშენედ გამოვლენილია 4 ნერბი - 4 ბატკნიანი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, ს. რიყეში განხორციელდა მონიტორინგი სათევზე მეურნეობაში, რომელიც შექმნილია ადგილობრივი კობრის პოპულაციის სანაშენე ჯგუფებისაგან, რომელიც პირობიანი აუქციონის წესით გასხვისებულ იქნა იმავე მეურნეობაში ადგილობრივი კობრის პოპულაციური ჯგუფების შენარჩუნების, განვითარებისა და ქვეყნის მასშტაბით გავრცელების მიზნით;
- დადგენილია თევზის ბიომასა სარეალიზაციოდ.
- მომზადებული იქნება რეკომენდაციები ჰელიკულტურით დაინტერესებულ ფერმერებისთვის;
- მიმდინარეობდა სასოფლო-სამეურნეო ცხოველების ზოგიერთი ინფექციური დაავადებისთვის არაკეთილსაიმედო რეგიონების გამოვლენა, პირობითად მაღალი რისკის ტერიტორიების იდენტიფიკაციისათვის, შემდეგომი ეპიდემიოლოგიური კვლევების ჩასატარებლად
- გრძელდება მეგრული წითელი ძროხის ჯიშის გამოკვლევა ბრუცელოზის მიმართ არაკეთილსაიმედო საქონლის და მიკროარეალების გამოვლენის მიზნით;
- განხორციელდა ექსპედიციები 5 მუნიციპალიტეტში. 33 სხვადასხვა მიკროარეალიდან აღებულ იქნა სისხლის სინჯების 122 ნიმუში მრპ-ის ბრუცელოზის გამოსაკვლევად და 23 ფეკალის ნიმუში ჰელმინთოზების შემდგომი დიაგნოსტიკისთვის;
- ცოფის პროფილაქტიკური ღონისძიებების ეფექტური მართვისათვის, არსებული მონაცემების საფუძველზე მომზადდა სამეცნიერო დასკვნა, შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები, რომელიც გადაგზავნილია სეს-ში განსახილველად;
- გამოკვლეულია 149 ცხოველი სამეგრელოს 6 მუნიციპალიტეტში და გამოვლენილია ბრუცელოზის 16 დადებითი შემთხვევა.
- ქართულ სასურსათო პროდუქტთა ნუტრიენტული შემცველობის ბაზას დაემატა 57 ახალი ერთეული. მონაცემთა ბაზა მზადაა კომპიუტერული უზრუნველყოფის პროგრამაში (Nutritics) ინტეგრირებისთვის.
- ჩატარდა 12 ნაციონალური კერძის რეცეპტის სტანდარტიზება და ნუტრიენტული მახასიათებლების გამოანგარიშება.
- განხორციელდა საქართველოში ინვაზიური მწერის - ფრთალაქიანი დროზოფილას რისკის შეფასებისათვის თვისობრივი და რაოდენობრივი მეთოდების განსაზღვრა.

- შეიქმნა ფრთალაქიანი დროზოფილას ფიტოსანიტარული რისკის შეფასების - დასკვნების დოკუმენტი.
- საქართველოს ტერიტორიაზე ფრთალაქიანი დროზოფილას შესაძლო შემოჭრა, გავრცელების, დამკვიდრების რისკის დონეები განისაზღვრა თვისობრივი მეთოდით, რისთვისაც გამოყენებული იყო EPPO-ს (ევროპის მცენარეთა დაცვის ორგანიზაცია) მიერ რეკომენდებული პროგრამა CAPRA.
- ბროილერში გავრცელებული Campylobacter jejuni-ის და Campylobacter coli-ის პოპულაციებში ფტორქინელონის ჯგუფის ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტულობის აღმოცენების რისკის ალტერნატიული გზების განსაზღვრისათვის შემუშავებულია კვლევის ექსპერიმენტული მოდელი და მოძიებულია პირველადი მონაცემები
- შინაური ცხოველების ცოფით ინფიცირების რისკის შეფასების ფარგლებში შემუშავდა: „ერთი ჯანმრთელობის"-ის მიდგომით რისკის შეფასების კონცეპტუალური მოდელი.
- განხორციელდა იონჯის გათიბული მასის დაპრესვა და დმანისში გადაზიდვა;

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2022 წელს დაგეგმილი იყო: კვლევაში არსებული ინდივიდების რაოდენობა 4436 სული; სანაშენე ცხოველების რაოდენობა 80 სული;

ფაქტიურად: კვლევაში არსებული ინდივიდების რაოდენობა არის 14,374 სული; სანაშენე ცხოველების რაოდენობა არის 80 სული;

2022 წელს, პროგრამის განხორციელებისთვის დაგეგმილი ბიუჯეტი შეადგენდა 500,000 ლარს, ხოლო ბიუჯეტის ფაქტობრივმა ათვისებამ შეადგინა 857,131 ლარი.

| ამოცანა 2.5: აგრო-ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 2.5.1: საქართველოს ფაუნის ადგილობრივ ჯიშებზე და პოპულაციებზე კვლევების ჩატარება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2022 – 31.12.2022 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:** 2022 წელს: კვლევაში არსებული ინდივიდების რაოდენობა: 4436 სული სანაშენე ცხოველების რაოდენობა: 80 სული | **შესრულებული:** 2022 წელს, კვლევაში არსებული ინდივიდების რაოდენობა არის 14,374 სული; სანაშენე ცხოველების რაოდენობა არის 80 სული;<br>შენიშვნა: (არსებული ინდივიდების რაოდენობის ასეთი ზრდა გამოიწვია ხობის მუნიციპალიტეტში ერთწლიანი პროექტის ფარგლებში ლოკოკინებზე ჩატარებულმა ცდებმა. რომელიც დამთავრდა საანგარიშო წელს და მიმდინარე წელში აღარ იქნება. ამ რაოდენობის გარეშე არსებული ინდივიდების რაოდენობა დაგეგმილის ტოლია.) |

| ბიუჯეტი | |
|---|---|
| **საპროგნოზო:** 500,000 ლარი | **ფაქტობრივი:** 857,131 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## აქტივობა 2.5.2: ერთწლოვან და მრავალწლოვან კულტურებზე კვლევების ჩატარება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

აქტივობის მიზანი: ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების გენოფონდის შენარჩუნება, მათი გაშენების, მოვლა-მოყვანის, ბიო აგრო-წარმოების ინოვაციური ტექნოლოგიების შემუშავება.

**განხორციელებული ღონისძიებები**

- შედგენილია ბიოპრეპარატების გამოყენების სქემა თითოეული კულტურისათვის;
- წილკნის საცდელი ნაკვეთისათვის მარცვლოვან, პარკოსან, ტექნიკურ და ბოსტნეულ კულტურებთან ერთად ურთიერთ შეთავსებადობის პრინციპების შესაბამისად შეირჩა არომატული და პესტიდური აქტივობის მქონე მცენარეები და მომზადდა შერეული ნათესების სქემები;
- შესწავლილია ქერის, ხორბლის შვრიისა და ჭვავის თესლის ხარისხობრივი მაჩვენებლები;
- საცდელი ვარიანტების შერეულ ნათესებში შეტანილია 15-მდე ბიოპრეპარატი;
- დნმ-ის საექსტრაქციო მასალა აღებულ იქნა ვაზის 20 სხვადასხვა ჯიშიდან და განხორციელდა დნმ-ის ექსტრაქცია;
- ჯიღაურას ბაზის სადედე და საკოლექციო ვენახებიდან აღებულია და გამოკვლეული ვაზის რქების 300-ზე მეტი ნიმუში; ასევე გამოკვლეულია FAO-ს პროექტის საშუალებით მოწოდებული 350 ვაზის რქის ნიმუში;
- შერჩეულ 13 ქართულ ვაზის ჯიშების ფოთლებში შესწავლილ იქნა პიგმენტების შემცველობა, მინიმალური-Fo, მაქსიმალური-Fm და ვარიაბელური-Fv ფლუორესცენციის ინტენსივობები;
- მოხდა შეგროვილი ხეხილის ნიმუშების იმუნოფერმენტული ანალიზი;
- განხორციელდა ვაზის საძირის და სადედეს კვლევა ჯიღაურას ბაზაზე და 4 სახის ვირუსული ინფექციის ლაბორატორიული დიაგნოსტიკა.
- გამოვლინდა ხეხილოვანი კულტურების (ვაშლი, ქლიავი, ატამი, მსხალი, ჭერამი) და თხილის დაავადების მავნებლების დომინანტური სახეობები;

- აზიური ფაროსანას გაზაფხულის პოპულაციაში დადგენილია პათოგენის - Nosema maddoxii გავრცელების დონე ორ სხვადასხვა რეგიონში, კერძოდ, გურიასა და სამეგრელოში.
- დამუშავებულია თვითმავალ შასზე დააგრეგატებული ბრტყლად სასხლავი აპარატის ტექნოლოგიური სქემა და სამუშაო ორგანოების ესკიზური ნახაზები;
- ჩატარდა პროფილატორის და მოდერნიზებული ჩიზელის საშემოდგომო გამოცდა და განხორციელდა გამოცდების შედეგების ანალიზი.
- გაშენდა ხეხილის ინტროდუცირებული ჯიშების ახალი საკოლექციო ნაკვეთი (ჯიღაურა) და შეივსო 10 მდე ახალი ფორმით ადგილობრივი ჯიშების კოლექცია;
- ჩატარებულია საგაზაფხულო გასხვლა UFO-ს და ესპანური ბუჩქის მეთოდოლოგიით ;
- ჩატარდა ვაშლის, მსხალის, ნუშის და კაკლის (26 ჯიშის) ფოთლის მორფოლოგიური აღწერა და ნაყოფის მექანიკური დახასიათება;
- ჩატარდა ვაშლის (4 ჯიში და ნუშის 5 ჯიშის - სიმწიფის ფენოფაზის (სიმწიფის დასაწყისი, მასობრივი სიმწიფე) მიმდინარეობაზე დაკვირვება. შევსებული იქნა, აღრიცხვებით მონაცემთა ბაზა;
- ხეხილის საკოლექციო ბაღებში ჩატარდა - საშემოდგომო სამუშაოები.
- ჩატარდა ახალი სისტემით ფორმირებული ბლის ხეების ნაზარდის ბიომეტრული მონიტორინგი
- დესკრიპტორების მიხედვით აღწერილი იქნა საკვლევი ჯიშები ორბელური ოჯალეში, ცოლიკოური, დაზუსტდა საკვლევი ჯიშის იდენტურობა;
- განხორციელდა ღვინის ლექიდან მოხსნა და მიღებულია 700 ლ მოცულობის წითელი და 850 ლ მოცულობის თეთრი ღვინო; ჩამოსხმულია 25 ჯიშის 350 ბოთლი;
- გადამუშავდა 27 ჯიშის ყურძენი და მიმდინარეობს ღვინის ნიმუშების ვინიფიკაცია;
- მოხდა 2021 წლის მოსავლის საკვლევი ნიმუშების ეტიკეტირება, სულ 77 ჯიშის 1230 ბოთლი ეტიკეტირდა;
- მიღებულ ღვინომასალებში განსაზღვრულ იქნა : სპირტი, ნარჩენი შაქარი, ტიტრული მჟავიანობა, PH, მქროლავი მჟავიანობა.
- განხორციელდა ერთწლოვანი და მრავალწლოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების შერჩევა ახალი ფორმის გოგირდოვანი თიხის კომპოზიტის გამოცდისათვის და შედგენილია ბიოპრეპარატის გამოყენების სქემა;
- სათბურში გამოყვანილი იქნა პომიდვრის მესამე თაობის ჰიბრიდები;
- მოსავლის აღების შემდგომ განხორციელდა სათესლე მასალის დამუშავება;
- აღებული იქნა ნათესი ხახვი და ნიორი. ასევე აღებული იქნა სელის მოსავალი.
- საშემოდგომოდ ნიადაგი დამუშავდა და დაითესა: ცულისპირა, მუხუდოს მეორე თაობის მუტანტები;
- საშემოდგომოდ დაირგო ხახვი და ნიორი;
- სელის და თამბაქოს მასალა დამუშავდა ბიომეტრიულად.
- დედოფლისწყაროს, თელავის, წილკანის, ახალქალაქის და ახალციხის მუნ. დაითესა საშემოდგომო თავთავიანები;
- განხორციელდა კულტივაცია ბროკოლისა და ყვავილოვანი კომბოსტოს სანერგეში;
- ლობიოს სამი ჯიშის 21 ნიმუში დაითესა ღია გრუნტში;

- დაითესა საგაზაფხულო პარკოსანი კულტურები;
- აღებულია სატაცურის და არტიშოკის მოსავალი;
- განხორციელდა არტიშოკსა და სატაცურზე ფენოლოგიური დაკვირვება და ბიომეტრიული აღრიცხვები
- თამბაქოს ჩითილები გადაირგო ღია ნაკვეთში;
- წილკნის ბაზაზე ჩატარდა სიმინდის ხელოვნური შეჯვარება (შეჯვარებულია 1887 ტარო)
- გამრავლდა გოჯი ბერის 20 მცენარე, ქრიზანთემას 10 მცენარე;
- განხორციელდა ესპარცეტის და საგაზაფხულო ქერის თესვა 1.03 ჰა ფართობზე; საკონტროლო ვარიანტი ეტიკეტირებულია;
- დაითესა ბროკოლისა და ბამიას თესლი საჩითილე კასეტებში;
- წილკნის საცდელ ნაკვეთზე შერეულ ნათესებად დაითესა: სიმინდი, ლობიო, შავი ბოლოკი, ოხრახუში, ნიახური, ცულისპირა, ჭარხალი, სელი, ფაცელია, ქონდარი, რეჰანი, კამა, არტიშოკი, კატაბალახა, გულყვითელა;
- მარცვლეულის საცდელი თესვები ჩატარდა კახეთის და წილკნის ბაზაზე
- მიღებულ იქნა ვაზის ჯიშების -ქისისა და ხიხვის ღვინის საფუარის სპონტანური მიკროფლორის ბიომასები
- საანგარიშო პერიოდში მოძიებული იქნა: კივის პერსპექტიული ჯიშ-ფორმა, ყვითელგულა კივი, ჩინეთში სელექციით მიღებული წითელგულა კივი, ფეიჰოას პერსპექტიული ჯიშ-ფორმა - აპოლო; საკოლექციო ნაკვეთზე დაირგო ყვითელგულა კივი;ა
- დაკალმებულია წითელგულა კივის მცენარეები, ასევე ლიმონი მეიერი, ლიმონი ბჟუჟი, ლიმონი ახალქართული;
- ჩაქვში მოძიებულ იქნა ჩაის ჯიში ,,კოლხიდა"-ს დედა მცენარე.
- ჩაის ჯიში ,,კოლხიდა"-ს მცენარეებს გასხვლის შედეგად ჩამოუყალიბდათ ფორმირებული ბუჩქი, რომლებიც სამომავლოდ განკუთვნილია სტანდარტული ნერგების მისაღებ სადედე მცენარეებად
- განხორციელდა შერჩეულ ციტრუსოვანთა ჯიშებისა და ფორმების სტანდარტული ნერგების მყნობით გამრავლება. სულ დაიმყნო 500 მდე მცენარე.
- დაკალმდა აქტინიდიის და წყავის მცენარეები.
- ფერმერებს ჩაუტარდათ ტრენინგები სუბტროპიკულ კულტურათა მოვლა-მოყვანის აგროტექნოლოგიებზე;
- განხორციელდა ვერხვის კალმების დარგვა

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2022 წელს, დაგეგმილი იყო: კოლექციაში ჩართული მრავალწლიანი კულტურების დაცული რაოდენობა 897 ძირი; გენბანკში დაცული ნიმუშების რაოდენობა 900 ნიმუში

ფაქტიურად: კოლექციაში ჩართულია მრავალწლიანი კულტურების დაცული რაოდენობა 2223 ძირი; გენბანკში დაცული ნიმუშების რაოდენობა 879 ნიმუში

2022 წელს, პროგრამის განხორციელებისთვის დაგეგმილი ბიუჯეტი შეადგენდა 1,500,000 ლარს, ხოლო ბიუჯეტის ფაქტობრივმა ათვისებამ შეადგინა 1,072,357 ლარი.

| ამოცანა 2.5: აგრო-ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 2.5.2: ერთწლოვან და მრავალწლოვან კულტურებზე კვლევების ჩატარება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2022 – 31.12.2022 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:** 2022 წელს, კოლექციაში ჩართული მრავალწლიანი კულტურების დაცული რაოდენობა 897 ძირი; გენბანკში დაცული ნიმუშების რაოდენობა 900 ნიმუში | **შესრულებული:** კოლექციაში ჩართულია მრავალწლიანი კულტურების დაცული რაოდენობა 2223 ძირი; გენბანკში დაცული ნიმუშების რაოდენობა 879 ნიმუში |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 1,500,000 ლარი | **ფაქტობრივი:** 1,072,357 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## სტრატეგიული მიზანი 3: სურსათის /ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეფექტური სისტემები

სტრატეგიული მიზანი 3 - სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეფექტური სისტემები მოიცავს 4 ამოცანას და 13 აქტივობას.

### ამოცანა 3.1: ევროკავშირის კანომდებლობასთან საქართველოს სანიტრიული და ფოტისანიტარიული სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის დაახლოება

3.1 ამოცანის შესრულების მიზნით, 2022 წელს 2 აქტივობა განხორციელდა, მათ შორის ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის პროექტის შემუშავება. ამოცანის აქტივობა განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ

**ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული აქტივობების შედეგად, 2022 წლის განმავლობაში:**

⇒ 2022 წელს, ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის დაახლოების მიზნით, გათვალისწინებული იყო ევროკავშირის 26 სამართლებრივი აქტის საფუძველზე. 5 სამართლებრივი აქტი ჩაითვალა არარელევანტურად. დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 17 დადგენილება. დასამტკიცებლად წარდგენილია 3 და მომზადებულია 1 დადგენილების პროექტი.

## აქტივობა 3.1.1: ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის პროექტის შემუშავება.

პასუხისმგებელი უწყება/დეპარტამენტი: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/სოფლის მეურნეობის, სურსათისა და სოფლის განვითარების დეპარტამენტი, იურიდიული დეპარტამენტი, საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროინტეგრაციის დეპარტამენტი

აქტივობის მიზანი: ევროკავშირი კანონმდებლობასთან საქართველოს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის დაახლოება საქართველო-ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ფარგლებში.

**განხორციელებული ღონისძიებები:** 2022 წელს, ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის დაახლოების მიზნით, გათვალისწინებული იყო ევროკავშირის 26 სამართლებრივი აქტთან დაახლოება, აქედან, ევროკავშირის 5 სამართლებრივი აქტი ჩაითვალა არა რელევანტურად. აღნიშნულიდან დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 17 დადგენილება, დასამტკიცებლად წარდგენილია 3 და მომზადებულია 1 დადგენილების პროექტი.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

| ამოცანა 3.1: ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს სანიტარიული და ფოტისანიტარიული სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის დაახლოება. | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 3.1.1.ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის პროექტის შემუშავება |
| პასუხისმგებელი უწყება/დეპარტამენტი: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სოფლის მეურნეობის, სურსათისა და სოფლის განვითარების დეპარტამენტი, იურიდიული დეპარტამენტი, |

| | |
|---|---|
| | საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროინტეგრაციის დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2022 – 31.12.2022 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2022 წელს, სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის სფეროში წარდგენილია მთავრობაზე დასამტკიცებლად საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტები ევროკავშირის 26 სამართლებრივ აქტთან დაახლოვების უზრუნველსაყოფად. | **შესრულებული:**<br>2022 წელს, 5 სამართლებრივი აქტი ჩაითვალა არარელევანტურად. დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 17 დადგენილება. დასამტკიცებლად წარდგენილია 3 და მომზადებულია 1 დადგენილების პროექტი. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 0 ლარი | **ფაქტობრივი:** 0 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## აქტივობა 3.1.2. სურსათის უვნებლობის ხარისხის მართვის სისტემის (QMS) განვითარების ხელშეწყობა (ENPARD IV, ინდიკატორი 1.7.)

| ამოცანა 3.1: ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის დაახლოება. | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 3.1.2. სურსათის უვნებლობის ხარისხის მართვის სისტემის (QMS) განვითარების ხელშეწყობა (ENPARD IV, ინდიკატორი 1.7.) |
| პასუხისმგებელი უწყება/დეპარტამენტი: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2022 – 31.12.2022 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2023 წელს: საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის საფუძველზე (აკრედიტაციის სტანდარტი ISO 9001:2015) შეიქმნება სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს დოკუმენტების მართვის სისტემა | **შესრულებული:**<br>მიმდინარეობს საქართველოში სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის სფეროში ხარისხის მართვის სრულფასოვანი სერტიფიცირებული სისტემის ჩამოყალიბება. |

| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რეიტინგი | | | X | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## ამოცანა 3.2: ადგილობრივი და საექსპორტო ბაზრებისთვის მიწოდებული პროდუქციის შესაბამისობის უზრუნველყოფა სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ სტანდარტებთან

3.2 ამოცანის შესრულების მიზნით, 2022 წელს 7 აქტივობა განხორციელდა, მათ შორის სურსათის უვნებლობის მიმართულებით ლაბორატორიული კვლევების ჩატარება, ცხოველთა პროფილაქტიკური ვაქცინაციების განხორციელება, მავნე მწერების წინააღმდეგ მცენარეთა დამუშავება, აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ფართობების დამუშავება, ბაზარზე წარმოდგენილი ღვინის ნიმუშების ლაბორატორიული კვლევების განხორციელება. ამოცანის აქტივობა განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის სტრუქტურაში შემავალი სააგენტოების მიერ.

**ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული აქტივობების შედეგად, 2022 წლის განმავლობაში:**

⇒ განხორციელდა 8 191 გეგმური ინსპექტირება;
⇒ 3 920 სურსათის ნიმუშს ჩაუტარდა ლაბორატორიული კვლევა;
⇒ ჩატარდა 7 566 დოკუმენტური შემოწმება;
⇒ ვაქცინირებული/გამოკვლეული იქნა (თურქულზე, ჯილეხზე, ცოფზე, ბრუცელოზზე, ნოდულარულ დერმატიტზე, წვრილფეხა პირუტყვის ჭირზე, ღრუბლისებურ ენცეფალოპატიაზე, ცხვრის კატარალურ ცხელებაზე, ტუბერკულოზზე) 4,458,015 სული ცხოველი; ყირიმ-კონგოს ეპიდემიოლოგიურ კერებში დამუშავებულია 23 458 სული მსხვილფეხა პირუტყვი; სულ ვაქცინირებული/გამოკვლეული და დამუშავებულია 4,481,473 სული ცხოველი;
⇒ იდენტიფიცირებულია 1,022,348 პირუტყვი;
⇒ ვეტ. ზედამხედველობის პუნქტებზე დამუშავებულია გარეგან პარაზიტებზე 1,072,163 სული პირუტყვი.
⇒ ვეტერინარული პრეპარატების ხარისხის მონიტორინგის მიზნით გამოკვლეულია 186 ნიმუში;
⇒ განხორციელდა 767 ვეტ. კონტროლქვემდებარე ობიექტის გეგმიური ინსპექტირება;
⇒ ლაბორატორიული მონიტორინგის მიზნით განხორციელდა ცოცხალ ცხოველების ბიოლოგიური მასალის და სასურსათო ცხოველის საკვების 443 ნიმუშიდან 1 894 ანალიზის გაკეთება 15 მაჩვენებელზე; სალმონელასა და ენტერობაქტერიების კვლევისთვის 50 შინაური ბინადარი ცხოველის გადამუშავებული საკვების და 20 თევზის ფქვილის ნიმუშის კვლევა;

- ⇒ კალიების, ამერიკული თეთრი პეპელას, ბზის ალურას და სხვა მავნებლების წინააღმდეგ დამუშავდა 103 260 ჰა ათასი ჰა ფართობი.
- ⇒ პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ხარისხის დასადგენად შემოწმებული იქნა 380 ნიმუში.
- ⇒ 2022 წელს, აზიური ფაროსანას წინააღმდეგ დამუშავდა 251 185 მდე ჰექტარი ფართობი
- ⇒ 2022 წელს, ღვინის ლაბორატორიული კვლევისთვის აღებული იყო 1692 ალკოჰოლური სასმელის ნიმუში.
- ⇒ სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ინსპექტირებული ბიზნესოპერატორების პროცენტული წილი მთლიან მაჩვენებელში, რომლებმაც მიაღწიეს შესაბამისობას სურსათის უვნებლობის რელევანტურ რეგულაციებთან, შეადგენს სულ მცირე 17.4%-ს 2021 წელს და სულ მცირე 18.5% 2022 წელს.

**3.2 ამოცანის შესრულების მიზნით 2022 წელს, სახელმწიფოს მიერ, ამოცანის განხორციელებისთვის გახარჯულია 49,869,744.00 ლარი.**

## აქტივობა 3.2.1: სურსათის უვნებლობის მიმართულებით ლაბორატორიული კვლევების ჩატარება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო

აქტივობის მიზანი: სამომხმარებლო ბაზარზე მავნე სურსათის რეალიზაციის ფაქტების შემცირება/აღკვეთა; სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელ ბიზნესოპერატორთა სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის შესაბამისობა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

**განხორციელებული ღონისძიებები:**

სულ განხორციელდა:

- გეგმური ინსპექტირება - 8 191
- არაგეგმური ინსპექტირება - 953
- გადამოწმება - 9 293

ჩატარდა 7 566 დოკუმენტური შემოწმება; აღებული და გამოკვლეულია 3 920 სურსათის ნიმუში, განხორციელდა 1 013 ზედამხედველობა. სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას სულ გამოვლინდა 4 231 ადმინისტრაციული სამართალდარღვევა.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2022 წლის მიხედვით სააგენტოს მიერ განხორციელდა 8 191 გეგმური ინსპექტირება, ჩატარდა 7 566 დოკუმენტური შემოწმება, 3 920 სურსათის ნიმუშს ჩაუტარდა ლაბორატორიული კვლევა.

| ამოცანა 3.2 ადგილობრივი და საექსპორტო ბაზრებისთვის მიწოდებული პროდუქციის შესაბამისობის უზრუნველყოფა სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ სტანდარტებთან | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 3.2.1: სურსათის უვნებლობის მიმართულებით ლაბორატორიული კვლევების ჩატარება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2022 – 31.12.2022 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>• განხორციელდება 7,000 გეგმური ინსპექტირება;<br>• ჩატარდება 8,000 დოკუმენტური შემოწმება;<br>• ჩატარდება 4,500 სურსათის ნიმუშის ლაბორატორიული კვლევა. | **შესრულებული:**<br>• განხორციელდა 8191 გეგმური ინსპექტირება;<br>• ჩატარდა 7566 დოკუმენტური შემოწმება;<br>• აღებული იქნა 3 920 სურსათის ნიმუში და ჩაუტარდა კვლევა. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 1,150,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 1,968,036.00 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## აქტივობა 3.2.2: ცხოველთა პროფილაქტიკური ვაქცინაციების განხორციელება

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო

პარტნიორი უწყება: DTRA, USDA, FAO, EuFMD, CDC, ადგილობრივი თვითმმართველობები

აქტივობის მიზანი: განსაკუთრებით საშიშ დაავადებებზე სტაბილური ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის მიღწევა, ცხოველებში და ადამიანებში ზოონოზური დაავადებების შემთხვევების შემცირება; მომხმარებლისათვის ცხოველური წარმოშობის უვნებელი სურსათის მიწოდების ხელშეწყობა.

**განხორციელებული ღონისძიებები:**

**ვაქცინირებულია:**

- თურქულის საწინააღმდეგოდ ვაქცინირებულია/რევაქცინირებულია **917,750** სულ მსხვილფეხა და **1,539,399** სულ წვრილფეხა პირუტყვი;
- ჯილეხის საწინააღმდეგოდ ვაქცინირებული/რევაქცინირებულია **423,541** სულ მსხვილფეხა, **651,338** სულ წვრილფეხა პირუტყვი და **3,859** სულ ცხენი;
- ბრუცელოზზე ვაქცინირებულია **143,700** სული მსხვილფეხა და **79,081** სული წვრილფეხა პირუტყვი;
- ცოფის დაავადებაზე პროფილაქტიკური მიზნით ვაქცინირებულია **298,186** სული შინაური ხორცისმჭამელი (ძაღლი, კატა) ცხოველი და **12 000** სული სასოფლო სამეურნეო ცხოველი;
- წვრილფეხა პირუტყვის ჭირის საწინააღმდეგოდ ვაქცინაცია ჩაუტარდა **315,875** სულ წვრილფეხა პირუტყვს;
- ნოდულარული დერმატიტის საწინააღმდეგოდ ვაქცინირებულია **63,786** სული მსხვილფეხა პირუტყვი;
- ალერგიული მეთოდით ტუბერკულოზზე გამოკვლეულ იქნა **9,500** სული მსხვილფეხა პირუტყვი.

**დამუშავებულია:**

- ყირიმ-კონგოს ეპიდემიოლოგიურ კერებში **23 458** სული მსხვილფეხა პირუტყვი;
- ვეტერინარული ზედამხედველობის პუნქტებზე სეზონურ საძოვრებზე მიგრაციის პერიოდში ექტოპარაზიტებზე დამუშავებულია **13 346** სული მსხვილფეხა და **1 058 817** სული წვრილფეხა პირუტყვი.

<u>იდენტიფიცირებულია:</u> **492,674** სული მსხვილფეხა, **526,008** სული წვრილფეხა საქონელი და **3,666** სული ღორი. <u>გადამოწმებულია:</u> ვეტერინარული პრეპარატების ხარისხის მონიტორინგის მიზნით შეძენილი და გამოსაკვლევად ლაბორატორიაში გადაცემული იქნა ვეტერინარული პრეპარატის **186** (მ.შ. 1 არაგეგმური) ნიმუში. შემოწმებული იქნა **967** კონტროლქვემდებარე ობიექტი: ინსპექტირებულია სულ **767** ობიექტი;

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2022 წელს, სააგენტოს მიერ პროფილაქტიკური ვაქცინაცია შესრულებულია 100%-ზე მეტით, ხოლო იდენტიფიკაცია შესრულებულია 100%-ზე მეტით. პოსტვაქცინალური დაჭიმულობის ხარისხი არის 70%-ზე მაღალი. პროგრამის ინდიკატორი შესრულდა.

| **ამოცანა 3.2 ადგილობრივი და საექსპორტო ბაზრებისთვის მიწოდებული პროდუქციის შესაბამისობის უზრუნველყოფა სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ სტანდარტებთან** | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება | აქტივობა 3.2.2: ცხოველთა პროფილაქტიკური ვაქცინაციების განხორციელება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2022 – 31.12.2022 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |

| **დაგეგმილი:** | **შესრულებული:** |
|---|---|
| 2022 წელს:<br>• ვაქცინირებული / გამოკვლეული იქნება (თურქულზე, ჯილეხზე, ცოფზე, ბრუცელოზზე, ნოდულარულ დერმატიტზე, წვრილფეხა პირუტყვის ჭირზე, ღრუბლისებურ ენცეფალოპატიაზე, ცხვრის კატარალურ ცხელებაზე, ტუბერკულოზზე) **3,835,120** სული ცხოველი;<br>• იდენტიფიცირებული იქნება **583,000** პირუტყვი;<br>• ვეტ. ზედამხედველობის პუნქტებზე დამუშავებული იქნება გარეგან პარაზიტებზე **920,000** სული პირუტყვი.<br>• ვეტერინარული პრეპარატების ხარისხის მონიტორინგის მიზნით გამოკვლეული იქნება 190 ნიმუში;<br>• განხორხიელდება 846 ვეტ. კონტროლქვემდებარე ობიექტის გეგმიური ინსპექტირება;<br>• 445 ნიმუშიდან 1894 საანალიზო ნიმუშის გამოკვლევა; სალმონელასა და ენტერობაქტერიების კვლევისთვის 100 შინაური ბინადარი ცხოველის გადამუშავებული საკვების და 80 თევზის ფქვილის ნიმუშის კვლევა; | 2022 წელს:<br>• ვაქცინირებული/გამოკვლეული იქნა (თურქულზე, ჯილეხზე, ცოფზე, ბრუცელოზზე, ნოდულარულ დერმატიტზე, წვრილფეხა პირუტყვის ჭირზე, ღრუბლისებურ ენცეფალოპატიაზე, ცხვრის კატარალურ ცხელებაზე, ტუბერკულოზზე) **4,458,015** სული ცხოველი; ყირიმ-კონგოს ეპიდემიოლოგიურ კერებში დამუშავებულია **23 458** სული მსხვილფეხა პირუტყვი; სულ ვაქცინირებული/გამოკვლეული და დამუშავებულია **4,481,473** სული ცხოველი;<br>• იდენტიფიცირებულია **1,022,348** პირუტყვი;<br>• ვეტ. ზედამხედველობის პუნქტებზე დამუშავებულია გარეგან პარაზიტებზე **1,072,163** სული პირუტყვი.<br>• ვეტერინარული პრეპარატების ხარისხის მონიტორინგის მიზნით გამოკვლეულია **186** ნიმუში;<br>• განხორციელდა **767** ვეტ. კონტროლქვემდებარე ობიექტის გეგმიური ინსპექტირება;<br>• ლაბორატორიული მონიტორინგის მიზნით განხორციელდა ცოცხალ ცხოველების ბიოლოგიური მასალის და სასურსათო ცხოველის საკვების 443 ნიმუშიდან 1894 ანალიზის გაკეთება 15 მაჩვენებელზე; სალმონელასა და ენტერობაქტერიების კვლევისთვის 50 შინაური ბინადარი ცხოველის გადამუშავებული საკვების და 20 თევზის ფქვილის ნიმუშის კვლევა; |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 10,000,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 11,892,168.00 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელები ს პროცესი მიმდინარეობს | განხორციელები ს პროცესი შეჩერებულია | განხორციელები ს პროცესი შეწყვეტილია | განხორციელებ ის პროცესი დასრულებულ ია |
| | სტატუსი | | X | | | |

## აქტივობა 3.2.3: მავნე მწერების წინააღმდეგ მცენარეთა დამუშავება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო

აქტივობის მიზანი: განსაკუთრებით საშიში მავნე ორგანიზმების საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზიანებისა და მოსავლის დანაკარგების თავიდან აცილება.

**განხორციელებული ღონისძიებები:**

ფიტოსანიტარიული მონიტორინგის შედეგად განისაზღვრა არასაკარანტინო მავნე ორგანიზმების გავრცელების არეალი და სააგენტოს ხელთარსებული სპეციალური ტექნიკის გამოყენებით ჩატარდა სალიკვიდაციო ღონისძიებები:

- ✓ აღმოსავლეთ საქართველოში (კახეთში, ქვემო ქართლში, შიდა ქართლსა და მცხეთა-მთიანეთში) კალიების საწინააღმდეგოდ დამუშავდა **99 940** ჰექტარი ფართობი.
- ✓ ამერიკული თეთრი პეპელის საწინააღმდეგოდ კახეთის რეგიონში დამუშავდა 3,320 ჰექტარი.
- ✓ ლაბორატორიული კვლევები ჩატარდა პესტიციდების 340 ნიმუშზე და აგროქიმიტების 40 ნიმუშზე.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება:**

2022 წელს სააგენტოს უფლებამოსილი პირების მიერ ქვეყნის მასშტაბით პექსტიციდებისა და აგროქიმიკატების სარეალიზაციო ობიექტების კონტროლი განხორციელდა **572** მდე ობიექტში. გეგმიური ინსპექტირებისას 60 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ფაქტზე დაჯარიმებულია ბიზნესოპერატორები. ასევე კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მიმდინარეობდა **600** მდე სარეალიზაციო ობიექტების აღიარების პროცედურების განხორციელება.

ქიმიკატების ხარისხის შემოწმებისას აღებულ იქნა პესტიციდის 340 და აგროქიმიკატის 40 ნიმუში, სულ 380 ნიმუში, რომელიც გადაეცა ლაბორატორიაში კვლევისათვის .

ჩატარდა კალიების წინასწარი მონიტორინგი და დამუშავდა დაახლოებით **99 940 ჰა** ფართობი კახეთში, ქვემო ქართლში, შიდა ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, ქ. თბილისსა და მცხეთა-მთიანეთში.

განისაზღვრა მიმდინარე წელს პროგრამის ფარგლებში გამოსაკვლევი საკარანტინო მავნე ორგანოების სია და ნიმუშების რაოდენობა. მოცემული პერიოდისთვის, საკარანტინო მავნე ორგანიზმების გამოვლენის მიზნით ლაბორატორიული კვლევა ჩაუტარდა **1319 ნიმუშს.**

| ამოცანა 3.2 ადგილობრივი და საექსპორტო ბაზრებისთვის მიწოდებული პროდუქციის შესაბამისობის უზრუნველყოფა სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ სტანდარტებთან | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება | აქტივობა 3.2.3: მავნე მწერების წინააღმდეგ მცენარეთა დამუშავება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2022 – 31.12.2022 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2022 წელს,<br>• კალიების, ამერიკული თეთრი პეპელას, ბზის ალურას და სხვა მავნებლების წინააღმდეგ დამუშავდება **22,000 ჰა;**<br>• პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ხარისხის დასადგენად შემოწმებული იქნება დაახლოებით **350 ნიმუში.** | **შესრულებული:**<br>2022 წელს,<br>• კალიების, ამერიკული თეთრი პეპელას, ბზის ალურას და სხვა მავნებლების წინააღმდეგ დამუშავდა **103 260 ჰა** ათასი ჰა ფართობი.<br>• პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ხარისხის დასადგენად შემოწმებული იქნა **380 ნიმუში.** |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 9,000,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 4,801,962.00 ლარი |

| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## აქტივობა 3.2.4: აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ფართობების დამუშავება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო

აქტივობის მიზანი: აზიური ფაროსანას რიცხოვნობის შემცირება და კონტროლი. სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზიანების და ეკონომიკური ზარალის თავიდან აცილება. აღმოსავლეთ საქართველოში მავნებლის გავრცელება-გამრავლების აღკვეთა.

**განხორციელებული ღონისძიებები**

წლის პირველ ნახევარში მონიტორინგი განხორციელდა ფაროსანას მოზამთრე ფაზებზე მათ გამოზამთრების ადგილებში და წინასწარ განისაზღვრა ის ტერიტორიები სადაც წლის მანძილზე მოხდა ფერომონების განთავსება. სულ განთავსდა: 6471 მდე ფერომონი

მონიტორინგის მიზნით,ხოლო მოიზიდე და გაანადგურე სადგურებზე 83 583 მდე ფერომონი. დამუშავებულია 251,185 ჰექტარი ფართობი.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებების ფარგლებში, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2022 წლის 03 თებერვლის N 2-72 ბრძანებით დასავლეთ საქართველოში შეიქმნა აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებების მართვის ცენტრი.

ჩატარდა მავნებლის მოზამთრე ფაზის მონიტორინგი გამოზამთრების ადგილებში. მონიტორინგის მიზნით განთავსდა 6 500-მდე ფერომონი, ხოლო მოიზიდე და გაანადგურე სადგურებზე-93 000 მდე ფერომონი. ტექნიკური ჯგუფების მიერ მოხდა შესასხურებელი ტექნიკის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანა, შემუშავდა ღონისძიებების სამოქმედო გეგმა გეგმის შესაბამისად განხორციელდა შტატგარეშე თანამშრომლების აყვანა. ღონისძიებები მცირემოცულობიანი შესხურებით ჩატარებულია 83,805 ჰა-ზე ხოლო თერმული ნისლით დამუშავებულია 167,380 ჰა. სულ საერთო ჯამში აზიური ფაროსანას წინააღმდეგ დამუშავებულია **251 185 მდე ჰა** ფართობი.

| ამოცანა 3.2 ადგილობრივი და საექსპორტო ბაზრებისთვის მიწოდებული პროდუქციის შესაბამისობის უზრუნველყოფა სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ სტანდარტებთან | |
|---|---|
| პროგრამის ნომერი და სახელწოდება | აქტივობა 3.2.4: აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ფართობების დამუშავება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2022 – 31.12.2022 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2022 წელს, აზიური ფაროსანას წინააღმდეგ დამუშავდება 250 ათასი ჰექტარი ფართობი (4 ჯერადად). | **შესრულებული:**<br>2022 წელს, აზიური ფაროსანას წინააღმდეგ დამუშავდა 251 185 მდე ჰექტარი ფართობი |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 31,000,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 30,664,178.00 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელებ ის პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელები ს პროცესი შეწყვეტილია | განხორციელებ ის პროცესი დასრულებულ ია |
| | სტატუსი | | X | | | |

## აქტივობა 3.2.5 ბაზარზე წარმოდგენილი ღვინის ნიმუშების ლაბორატორიული კვლევების განხორციელება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო

აქტივობის მიზანი: ადგილობრივ და საექსპორტო ბაზარზე ფალსიფიცირებული და უხარისხო ღვინოპროდუქციის აღკვეთა.

**განხორციელებული ღონისძიებები**

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო კონტროლის და ზედამხედველობის ფარგლებში აღებული იქნა 943 ნიმუში, აქედან დარღვევა აღმოჩნდა 30 ნიმუშში, ხოლო კვლევა ამ დრომდე მიმდინარეობს 19 ნიმუშზე. ინსპექტირების ფარგლებში აღებული იქნა 624 ნიმუში, დარღვევა აღმოჩნდა 43 ნიმუშში, ხოლო კვლევა ამ დრომდე მიმდინარეობს 6 ნიმუშზე. ადგილობრივი ბაზრის კონტროლის ფარგლებში აღებული იქნა 125 ნიმუში, რომლებზეც ამ დრომდე მიმდინარეობს კვლევა. აღნიშნული შემოწმებების ფარგლებში. სულ აღებული იქნა 1692 ალკოჰოლური სასმელების ნიმუში.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2022 წლის განმავლობაში სახელმწიფო ზედამხედველობა და სახელმწიფო კონტროლი ჩატარდა 48 კომპანიაში აღებული იქნა 943 ნიმუში, ხოლო ინსპექტირება განხორციელდა 243 ჯერ საექსპორტო პროდუქციაზე-აღებული იქნა 624 ნიმუში, ასევე განხორციელდა ადგილობრივი ბაზრის კონტროლი. აღებული იქნა 125 ნიმუში, სულ აღებული იქნა 1692 ალკოჰოლური სასმელების ნიმუში.

| ამოცანა 3.2 ადგილობრივი და საექსპორტო ბაზრებისთვის მიწოდებული პროდუქციის შესაბამისობის უზრუნველყოფა სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ სტანდარტებთან | |
|---|---|
| პროგრამის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 3.2.5: ბაზარზე წარმოდგენილი ღვინის ნიმუშების ლაბორატორიული კვლევების განხორციელება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2022 – 31.12.2022 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:** 2022 წელს: ღვინის ლაბორატორიული კვლევისთვის აღებული იქნება 900 ალკოჰოლური სასმელის ნიმუში; | **შესრულებული:** 2022 წელს, ღვინის ლაბორატორიული კვლევისთვის აღებული იყო 1692 ალკოჰოლური სასმელის ნიმუში. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 600,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 543,400.00 ლარი |

| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | | | | X |

## აქტივობა 3.2.6 სურსათის ბიზნეს ოპერატორების საქმიანობის სურსათის უვნებლობის ეროვნულ რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა (ENPARD IV, ინდიკატორი 1.3.)

| ამოცანა 3.2 ადგილობრივი და საექსპორტო ბაზრებისთვის მიწოდებული პროდუქციის შესაბამისობის უზრუნველყოფა სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ სტანდარტებთან | |
|---|---|
| პროგრამის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 3.2.6 სურსათის ბიზნეს ოპერატორების საქმიანობის სურსათის უვნებლობის ეროვნულ რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა (ENPARD IV, ინდიკატორი 1.3.) |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2021 – 31.12.2022 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2022 წელს: სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ინსპექტირებული ბიზნესოპერატორების პროცენტული წილი მთლიან მაჩვენებელში, რომლებმაც მიაღწიეს შესაბამისობას სურსათის უვნებლობის რელევანტურ რეგულაციებთან, შეადგენს სულ მცირე 16%-ს | **შესრულებული:**<br>2022 წელს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ინსპექტირებული ბიზნესოპერატორების პროცენტული წილი მთლიან მაჩვენებელში, რომლებმაც მიაღწიეს შესაბამისობას სურსათის უვნებლობის რელევანტურ რეგულაციებთან, შეადგენს 2021 წელს - სულ მცირე 17.4%-ს და 2022 წელს სულ მცირე 18.5%. |

| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | | | | X |

### აქტივობა 3.2.7 მეცხოველეობის პროდუქტების სურსათის უვნებლობის სტანდარტებთან შესაბამისობის ხელშეწყობა (ENPARD IV, ინდიკატორი 1.6.)

| ამოცანა 3.2 ადგილობრივი და საექსპორტო ბაზრებისთვის მიწოდებული პროდუქციის შესაბამისობის უზრუნველყოფა სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ სტანდარტებთან | |
|---|---|
| პროგრამის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 3.2.7 მეცხოველეობის პროდუქტების სურსათის უვნებლობის სტანდარტებთან შესაბამისობის ხელშეწყობა (ENPARD IV, ინდიკატორი 1.6.) |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2021 – 31.12.2022 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2023 წელს: ხორცის, ხორცპროდუქტების, რძის და რძის პროდუქტების უვნებლობის სტანდარტებთან შეუსაბამობის კოეფიციენტი შემცირდება 8.3%-მდე. | **შესრულებული:**<br>2022 წელს: ხორცის, ხორცპროდუქტების, რძის და რძის პროდუქტების მწარმოებელ ბიზნესოპერატორებთან, კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელდა 3 106 ინსპექტირება, რომელთაგან შეუსაბამობები დაფიქსირდა 47,6%-ში. შეუსაბამობების % შემცირებულია 6%-ით წინა წელთან შედარებით. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელე ბის პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## ამოცანა 3.3: ლაბორატორიული შესაძლებლობების გაძლიერება

3.3 ამოცანის შესრულების მიზნით, 2022 წელს 1 აქტივობა განხორციელდა, მათ შორის კვლევის ახალი მეთოდებისა და პარამეტრების დანერგვა. ამოცანის აქტივობები განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის სტრუქტურაში შემავალი სსიპ - სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის მიერ.

**ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული აქტივობების შედეგად, 2021 წლის განმავლობაში:**

⇒ 2022 წელს, ISO 17025 სტანდარტის ფარგლებში, ISO 9001:2015 სერტიფიკატის საფუძველზე საკვები პროდუქტების, წყლის, მცენარეთა და ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიაში დაინერგა და/ან აკრედიტაციის პროცესი გაიარა კვლევის 53 ახალმა მეთოდმა და 15 ახალმა პარამეტრმა

**3.3 ამოცანის შესრულების მიზნით 2022 წელს, სახელმწიფოს მიერ, ამოცანის განხორციელებისთვის გახარჯულია 8,578,021 ლარი.**

## აქტივობა 3.3.1. კვლევის ახალი მეთოდებისა და პარამეტრების დანერგვა

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია

პროგრამის მიზანი: სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის ქსელის მიერ საერთაშორისო აკრედიტაციის გავლა ISO 17025-ის მიხედვით (ვეტერინარია, სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაავადებების დიაგნოსტიკა)

**განხორციელებული ღონისძიებები**

წარმატებით დასრულდა აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს აკრედიტაციის ცენტრის (GAC) მიერ ჩატარებული გეგმიური და დამატებითი სფეროს აკრედიტაციის პროცესი ISO 17025, რომლის შედეგად აკრედიტაციის სფეროს დაემატა:

სურსათის კვლევაში - 17 ახალი მეთოდი და 15 პარამეტრი *(მარცვლეულში აფლატოქსინის B1-ის განსაზღვრა მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფიის (HPLC) გამოყენებით; ამიტრაზის და მისი მეტაბოლიტების განსაზღვრა თაფლში QuEChers-ის მეთოდით LC/MS/MS-ის გამოყენებით; ბრომუკონაზოლის და კლოტრიმაზოლის განსაზღვრა თაფლში QuEChers-ის მეთოდით LC/MS/MS-ის გამოყენებით; ტეტრაციკლინის ჯგუფის: ტეტრაციკლინის, ოქსიტეტრაციკლინის და ქლორტეტრაციკლინის განსაზღვრა ქსოვილში CHARM II ანალიზატორის გამოყენებით; აფლატოქსინ M1-ის განსაზღვრა რძეში CHARM II ანალიზატორის გამოყენებით; პესტიციდების განსაზღვრა ხილში, ბოსტნეულში და წვენებში CHARM II ანალიზატორის გამოყენებით; აფლატოქსინ B1-ის განსაზღვრა მარცვლეულსა და ცხოველთა საკვებში CHARM II ანალიზატორის გამოყენებით; ამფენიკოლების ჯგუფის განსაზღვრა ქსოვილში CHARM II ანალიზატორის გამოყენებით; E.coli-ს გამოვლენისა და ყველაზე ალბათური რიცხვის განსაზღვრის მეთოდი; კამპილობაქტერიების აღმოჩენის DA მეთოდი საკვებ პროდუქტებსა და ცხოველთა საკვებშისაკვებში; კამპილობაქტერიების დათვლის DA მეთოდი საკვებ პროდუქტებსა და ცხოველთა საკვებში; სუფრის მარილის მასური წილის განსაზღვრა პურ-ფუნთუშეულში ; შაქრების განსაზღვრა ფქვილის საკონდიტრო ნაწარმში; შაქრების განსაზღვრა პურ-ფუნთუშეულში; შაქრების განსაზღვრა რძემჟავა პროდუქტში; პურის მასური წილის განსაზღვრა ხორცპროდუქტში; ქათმის გაყინულ ტანხორცში ჭარბი წყლის შემცველობის განსაზღვრა წვეთოვანი მეთოდით).*

მცენარეთა მავნე ორგანიზმების დიაგნოსტიკაში - 25 ახალი მეთოდი *(ნემატოდების ცისტების გამოყოფა ნიადაგიდან ორგანული გამხსნელებით; ნემატოდების გამოყოფა კარტოფილის ტუბერებიდან, ფესვებიდან და მცენარეული ნიმუშებიდან ენზიმატური მეთოდით; ხორბლის დაავადების გამომწვევი Ophiobolus graminis -ს გამოვლენა და იდენტიფიკაცია ბიოლოგიური მეთოდით; პომიდვრის ღეროს ნეკროზის გამომწვევი - Pseudomonas corrugata-ს გამოვლენა და მორფოლოგიურ-ბიოქიმიური იდენტიფიკაცია; კურკოვანი ხილის ბაქტერიული კიბოს გამომწვევის*

*- Pseudomonas syringae pv. Morsprunorum გამოვლენა და იდენტიფიკაცია კლასიკური ბაქტერიოლოგიური მეთოდით; კურკოვანი ხილის ბაქტერიული კიბოს გამომწვევი ბაქტერია Pseudomonas syringae pv. Morsprunorum იდენტიფიკაცია პოლიმერაზულ ჯაჭვური რეაქციით; პომიდვრის ბაქტერიული კიბოს გამომწვევი ბაქტერია Clavibacter michiganesis subsp. Michiganesis-ს იდენტიფიკაცია პოლიმერაზულ ჯაჭვური რეაქციით; პომიდვრის შიგთავსის ნეკროზის გამომწვევი ბაქტერია Pseudomonas corrugata-ს იდენტიფიკაცია პოლიმერაზულ ჯაჭვური რეაქციით; ზეთისხილის კვანძოვანი დაავადების გამომწვევი ბაქტერია Pseudomonas savastanoi pv. Savastanoi იდენტიფიკაცია პოლიმერაზულ ჯაჭვური რეაქციით; ფიტოფტოროზის გამომწვევი სოკო phytophtora ramorum იდენტიფიკაცია პოლიმერაზულ ჯაჭვური რეაქციით; ვაშლის ქლოროზული ლაქიანობის ვირუსის გამოვლენა Apple Chlorotic Leaf Spot Virus (ACLSV); ვაშლის ღეროს დაღარვის ვირუსის გამოვლენა Apple Stem Grooving Virus (ASGV); ვაშლის ორმოსებრი ღეროს ვირუსის გამოვლენა Apple Stem Pitting Virus (ASPV); მოცვის შოკის ვირუსის გამოვლენა Blueberry Shock Virus (BlShV); კიტრის მოზაიკის ვირუსის გამოვლენა Cucumber Mosaic Virus (CMV); ჟოლოს ბუჩქოვანი ჯუჯიანობის ვირუსის გამოვლენა Raspberry Bushy Dwarf Virus (RBDV); ჟოლოს რგოლოვანი ლაქიანობის ვირუსის გამოვლენა Raspberry ringspot virus (RpRSV); მარწყვის ლატენტური რგოლოვანი ლაქიანობის ვირუსის გამოვლენა Strawberry latent ringspot virus (SLRSV); პომიდვრის შავი რგოლოვანი ლაქიანობის ვირუსის გამოვლენა Tomato Black Ring Virus (TBRV); Hymenoscyphus fraxineus (Chalara fraxinea)-ს გამოვლენა და იდენტიფიკაცია; პომიდვრის ღეროს ნეკროზის გამომწვევი - Pseudomonas corrugata-ს გამოვლენა და მორფოლოგიურ-ბიოქიმიური იდენტიფიკაცია; Xiphinema italiae-ს მორფოლოგიურ-მორფომეტრული იდენტიფიკაცია; ამბროზიის ხოჭოს Xyleborus dispar (pear blight beetle) მორფოლოგიურ-მორფომეტრული დახასიათება და იდენტიფიკაცია; მატიტელა პენსილვანიის (Polygonum pensilvanicum L.) მორფოლოგიური იდენტიფიკაცია; კრასულას (Crassula helmsii (Kirk) Cockayne) მორფოლოგიური რკვევა).*

ცხოველთა დაავადებების დიაგნოსტიკაში - 2 ახალი მეთოდი *(სალმონელას ჯგუფის ბაქტერიების აღმოჩენა პირველადი საწარმოებიდან (ცხოველების ფეკალი, მტვერი და ნაცხი); გრამ დადებითი კოკების დიპლოკოკოზის მიერ გამოწვეული დაავადებების პათოგენის პირველადი იზოლაცია ცხოველთა პათ.მასალიდან)*

აკრედიტირებული მეთოდების გარდა ლაბორატორიაში დანერგილია 9 მეთოდი (6 ცხოველთა დაავადებების დიაგნოსტიკის მიმართულებით და 3 სურსათის კვლევის მიმართულებით), რომელთა აკრედიტაციაც მოხდება 2023 წელს.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2022 წელს, ISO 17025 სტანდარტის ფარგლებში, ISO 9001:2015 სერტიფიკატის საფუძველზე საკვები პროდუქტების, წყლის, მცენარეთა და ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიაში ჯამში დაინერგა 53 ახალი მეთოდი და 15 ახალი პარამეტრი, რომელთაგან აკრედიტაციის პროცესი გაიარა 44 მეთოდმა და 15 პარამეტრმა; დაგეგმილი იყო კვლევის 20 ახალი მეთოდის და 15 ახალი პარამეტრის დანერგვა და/ან აკრედიტაცია.

2022 წელს, პროგრამის განხორციელებისთვის საპროგნოზო ბიუჯეტი 7,855,500 ლარია და ფაქტობრივმა ათვისებამ შეადგინა 8,578,021 ათასი ლარი.

**ღონისძიება 3.3.1. კვლევის ახალი მეთოდებისა და პარამეტრების დანერგვა**

| | |
|---|---|
| აქტივობა ნომერი და სახელწოდება | აქტივობა 3.3.1: კვლევის ახალი მეთოდებისა და პარამეტრების დანერგვა |
| პასუხისმგებელი უწყება: | სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2022 - 31.12.2022 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2022 წელს, ISO 17025 სტანდარტის ფარგლებში, ISO 9001:2015 სერტიფიკატის საფუძველზე საკვები პროდუქტების, წყლის, მცენარეთა და ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიაში დაინერგება და გაივლის აკრედიტაციის პროცესს კვლევის 20 ახალი მეთოდი და 15 ახალი პარამეტრი | **შესრულებული:**<br>2022 წელს, ISO 17025 სტანდარტის ფარგლებში, ISO 9001:2015 სერტიფიკატის საფუძველზე საკვები პროდუქტების, წყლის, მცენარეთა და ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიაში დაინერგა 53 ახალი მეთოდი და 15 ახალი პარამეტრი, რომელთაგან აკრედიტაციის პროცესი გაიარა 44 და 15 ახალმა პარამეტრმა. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 7,855,500 ლარი | **ფაქტობრივი:** 8,578,021 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელე ბის პროცესი შეჩერებულია | განხორციელე ბის პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## ამოცანა 3.4: სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებების ხარისხის უზრუნველყოფა

3.4 ამოცანის შესრულების მიზნით, 2022 წელს 3 აქტივობა განხორციელდა, მათ შორის საქართველოს მიწის ფონდის შესწავლა და სოფლის მეურნეობის პროდუქტთა შენახვა-გადამუშავების მეთოდების სამეცნიერო კვლევა. ამოცანის აქტივობები განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის სტრუქტურაში შემავალი სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ.

**ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული აქტივობების შედეგად, 2022 წლის განმავლობაში:**

- ⇒ 2022 წელს, სერტიფიცირებული სათესლე მასალის რაოდენობა შეადგენს 1402 ტონას; სერტიფიცირებული სანერგე მასალის რაოდენობა შეადგენს 1 302 502 ცალ ნერგს;
- ⇒ 2022 წელს, ნიადაგის მდგომარეობა შესწავლილია 20,000 ჰა ფართობზე მომზადდა 5 რუკა;
- ⇒ 2022 წელს, გამოიცა 8 სტატია; შემუშავდა 4 რეკომენდაცია;

**3.4 ამოცანის შესრულების მიზნით 2022 წელს, სახელმწიფოს მიერ, ამოცანის განხორციელებისთვის გახარჯულია 101,559.00 ლარი.**

## აქტივობა 3.4.1: თესლისა და სარგავი მასალის სერტიფიცირების სქემის შემდგომი განვითარება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო / სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

აქტივობის მიზანი: მინდვრის კულტურების ტრადიციული ჯიშების მოძიება, იდენტიფიკაცია და დახასიათება ეროვნულ კატალოგში შესატანად; თესლისა და სარგავი მასალების სერთიფიცირების სისტემის ჩამოყალიბება.

**განხორციელებული ღონისძიებები**

- დამუშავდა ევროკავშირის დირექტივა COMMISSION IMPLEMENTING DIRECTIVE 2014/98/EU.
- დამუშავდა დაფნის კულტურის სერტიფიცირების სქემის დეტალები;
- შემოწმდა დოკუმენტაცია 6 სანერგე მეურნეობის მდგომარეობის შესახებ, 5 სანერგის მდგომარეობა დადებითად შეფასდა. 1 სანერგეს მიეცა შესაბამისი მითითებები, დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენის შესახებ;
- გაცემულია 62 000 ეტიკეტი;
- მდგომარეობის შესწავლის მიზნით განხილულია 9 სანერგე მეურნეობის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები;
- შესწავლილ იქნა სარგავი მასალის წარმოებისთვის საერთაშორისო მოთხოვნები.
- ინსპექტირება ჩატარდა თესლის მწარმოებელ 10 ფერმერთან;
- მიმდინარეობს მუშაობა დაფნის კულტურის სერტიფიცირების სქემის შესახებ (ევროპის ტექნიკური რეგლამენტების საფუძველზე);
- მიმდინარეობდა სადედე ბაღებში საველე ინსპექტირების ჩატარების მეთოდიკების შესწავლა-აპრობირება;
- დაფნის კულტურის მწარმოებელ 9 ფერმერთან ადგილზე ჩატარდა ინსპექტირება და სადედე ბაღების ვიზუალური დათვალიერება;
- ხორბლის თესლის მწარმოებლებთან მიმდინარეობს სათესლე ნაკვეთის საველე ინსპექტირებები;
- მიმდინარეობს ხორბლის სერტიფიცირებული პარტიებიდან აღებული სათესლე მასალის საკონტროლო დანაყოფების გამოცდა;
- გაიცა სარგავი მასალის 17 პარტიისთვის სერტიფიკატი;
- გაიცა კონსულტაციები დაფნის კულტურის სარგავი და გასამრავლებელი მასალის შესახებ სერტიფიცირების მოთხოვნებზე;
- სათესლე და სარგავი მასალის მწარმოებელთა რეესტრს დაემატა სარგავი მასალის 10 და სათესლე მასალის 5 მწარმოებელი;
- გაცემულია თესლისა და სარგავი მასალის 96 სერტიფიკატი;

- კატალოგში დაემატა ვაზის 17 ადგილობრივი ჯიში;
- კატალოგში დაემატა ხორბლის ქართული სელექციის 2 ჯიში;
- შემოწმდა 52 სანერგე მეურნეობა კვალიფიციურობაზე.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

აღნიშნულ ღონისძიებას განხორციელებისთვის დამოუკიდებელი ბიუჯეტი არ გააჩნია, იგი წარმოადგენს - პროგრამა 2.5.2: ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების გენოფონდის შენარჩუნება, მათი გაშენების, მოვლა-მოყვანის, ბიო აგრო-წარმოების ინოვაციური ტექნოლოგიების შემუშავების - ნაწილს.

2022 წელს, ინდიკატორის მიხედვით დაგეგმილი იყო: სერტიფიცირებული სათესლე მასალის რაოდენობა: 2 000 ტონა; სერტიფიცირებული სანერგე მასალის რაოდენობა: 200 000 ცალი ნერგი; სერტიფიცირებული სათესლე მასალის რაოდენობა შეადგენს 1402 ტონას; სერტიფიცირებული სანერგე მასალის რაოდენობა შეადგენს 1 302 502 ცალ ნერგს;

| ამოცანა 3.4: სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებების ხარისხის უზრუნველყოფა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 3.4.1: თესლისა და სარგავი მასალის სერტიფიცირების სქემის შემდგომი განვითარება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო / სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2022 – 31.12.2022 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:** 2022 წელს, სერტიფიცირებული სათესლე მასალის რაოდენობა (წლიურად): 2 000 ტონა; სერტიფიცირებული სანერგე მასალის რაოდენობა (წლიურად): 200 000 ცალი ნერგი; | **შესრულებული:** 2022 წელს, სერტიფიცირებული სათესლე მასალის რაოდენობა შეადგენს 1402 ტონას; სერტიფიცირებული სანერგე მასალის რაოდენობა შეადგენს 1 302 502 ცალ ნერგს; |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 0 ლარი | **ფაქტობრივი:** 0 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## აქტივობა 3.4.2 : საქართველოს მიწის ფონდის შესწავლა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

აქტივობის მიზანი: დეგრადირებული ნიადაგების სტრუქტურის გაუმჯობესება და ნაყოფიერების ამაღლება.

**განხორციელებული ღონისძიებები**

საქართველოს ნიადაგების საერთო მდგომარეობის შესწავლის ფარგლებში:

- შედგენილია ნიადაგის ნიმუშების აღების წერტილების განმსაზღვრელი ბადე თეთრიწყაროს, მარნეულის და სიღნაღის მუნიციპალიტეტებისთვის;
- მომზადდა ნიადაგის საველე კვლევის განხორიცელების გეგმა-გრაფიკი;
- აღებულია ნიადაგის 30 ნიმუში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, განხორციელდა მისი ლაბორატორიული კვლევისთვის მომზადება და კვლევა;
- აღებულია, მომზადებულია საანალიზოდ და ჩატარებულია ლაბორატორიული კვლევა ნიადაგის 46 ნიმუშზე თეთრიწყაროს, მარნეულის და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში;
- ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში შეტანილია ნიადაგის კვლევის შედეგები და განახლებულია ელექტრონულ მონაცემთა ბაზა;
- ნიადაგის საველე კვლევები ჩატარდა დედოფლისწყაროს, გურჯაანის, ყაზბეგის, დმანისის და ცაგერის მუნიციპალიტეტებში;
- საველე პირობებში აღებულია ნიადაგის 58 ნიმუში;
- განხორციელდა ნიადაგის ნიმუშების ლაბორატორიული კვლევისთვის მომზადება და ჩატარდა ლაბორატორიული კვლევა;
- ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში შეტანილია ნიადაგის კვლევის შედეგები და განახლდა ელექტრონულ მონაცემთა ბაზა;
- კარტოგრაფების მეთოდების გამოყენებით შეიქმნა: ნიადაგში ორგანული ნაშირბადის მარაგის ციფრული რუკა, ნიადაგში აზოტის, ფოსფორის და კალიუმის მარაგის ციფრული რუკები, ნიადაგში ორგანული ნივთიერებების შემცველობის და pH-ის ციფრული რუკები;
- სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთებზე ნიადაგის ნაყოფიერების შეფასების მიზნით განხორციელდა ნიადაგის 30 ნიმუშის მომზადება ლაბორატორიული კვლევისთვის;
- განხორციელდა ნიადაგის 27 ლაბორატორიული კვლევა ნიადაგის ფიზიკურ, ქიმიურ და ფიზიკურ-ქიმიურ მახასიათებლებზე;
- განხორციელდა ნიადაგის ნიმუშების აღება წილკნის საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთიდან, სასათბურე მეურნეობიდან აღებულია ნიადაგის 10 ნიმუში;
- განხორციელდა ნიადაგის ნიმუშების აღება საცდელ - ნაკვეთიდან მრავალწლოვანი კულტურების ქვეშ, აღებულია ნიადაგის 20 ნიმუში;
- აღებულია, მომზადებულია ლაბორატორიული კვლევისთვის და განხორციელებულია ლაბორატორიული კვლევა ნიადაგის ფიზიკურ, ქიმიურ და ფიზიკურ-ქიმიურ მახასიათებლებზე ნიადაგის 2 ნიმუშზე;

- განხორციელდა ლაბორატორიული კვლევის შედეგების შეტანა მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში;
- განახლებულია ელექტრონული მონაცემთა ბაზა;
- განხორციელდა ნიადაგის 30 ნიმუშის აღება ლაბორატორიული კვლევისთვის;
- განხორციელდა ნიმუშების მომზადება ლაბორატორიული კვლევისთვის და ჩატარდა ნიმუშების ლაბორატორიული კვლევა ნიადაგის ფიზიკურ, ქიმიურ და ფიზიკურ-ქიმიურ მახასიათებლებზე;
- ლაბორატორიული კვლევის შედეგების შეტანა განხორციელდა მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში და განახლდა ელექტრონულ მონაცემთა ბაზა.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2022 წელს, დაგეგმილი იყო: ნიადაგის მდგომარეობის შესწავლა 20,000 ჰა მიწის ფართობზე; ნიადაგში ორგანული ნახშირბადის მარაგის ამსახველი 5 რუკის შედგენა;

ფაქტიურად საანგარიშო პერიოდში: შესწავლილია ნიადაგების მდგომარეობა 20,000 ჰა მიწის ფართობზე; შედგენილია ნიადაგში ორგანული ნახშირბადის მარაგის ამსახველი 5 რუკა.

2022 წელს, პროგრამის განხორციელებისთვის დაგეგმილი ბიუჯეტი შეადგენდა 100,000 ლარს, რომელიც წლის განმავლობაში დაზუსტდა და შეადგენს 83,200 ლარს, ხოლო ბიუჯეტის ფაქტობრივმა ათვისებამ შეადგინა 78,797 ლარი.

| ამოცანა 3.4: სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებების ხარისხის უზრუნველყოფა | |
|---|---|
| **აქტივობის ნომერი და სახელწოდება:** | აქტივობა 3.4.2 : საქართველოს მიწის ფონდის შესწავლა |
| **პასუხისმგებელი უწყება:** | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2022 – 31.12.2022 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| დაგეგმილი: 2022 წელს, შესწავლილი იქნება ნიადაგის მდგომარეობა 20,000 ჰა მიწის ფართობზე შედგენილი იქნება ნიადაგში ორგანული ნახშირბადის მარაგის ამსახველი 5 რუკა. | შესრულებული: 2022 წელს, ნიადაგის მდგომარეობა შესწავლილია 20,000 ჰა ფართობზე მომზადდა 5 რუკა; |
| **ბიუჯეტი** | |
| საპროგნოზო: 100,000 ლარი | ფაქტობრივი: 78,797 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელები ს პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელებ ის პროცესი შეწყვეტილია | განხორციელებ ის პროცესი დასრულებულ ია |
| | სტატუსი | | X | | | |

## აქტივობა 3.4.3: სოფლის მეურნეობის პროდუქტთა შენახვა-გადამუშავების მეთოდების სამეცნიერო კვლევა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

აქტივობის მიზანი: სოფლის მეურნეობის პროდუქტთა შენახვა-გადამუშავების მეთოდების სამეცნიერო კვლევა.

**განხორციელებული ღონისძიებები**

- განისაზღვრა ყურძნის ჯიშებში დანაკარგების რაოდენობა ცალკეული ვარიანტების მიხედვით;
- შეფასებულია ბლის 3 ჯიში ბიოქიმიური მაჩვენებლების და შენახვის უნარიანობის მიხედვით.
- ნიორის 5 და ხახვის 2 ჯიშზე მიმდინარეობს შენახვის პროცესში დანაკარგების ოდენობის განსაზღვრა
- აღებულია სასუფრე ყურძნის ჯიშების ნიმუშები, შენახვის უნარიანობის დასადგენად. გამოვლინდება კომბინირებული ხსნარის ეფექტურობა.
- განისაზღვრა ფიტოქიმიური მაჩვენებლები 2021 წელს მიღებულ ნიმუშებში (ქაცვის, ძახველის, ჭარხლის, ბროწეულის წვენები, მშრალი ასკილის და ქაცვის გამონაწნეხის ექსტრაქტი)
- განხორციელდა ექსპერიმენტები ვაშლის სიდრის (2 ვარიანტი) და პანტა მსხლის ფერმენტირებული წვენის ბაზაზე დაბალ ალკოჰოლიანი სასმელების მისაღებად.
- მიღებულია 16 საკვლევი ნიმუში, რომლისგანაც შემუშავდება სხვადასხვა პროფილაქტიკური სასმელების მიღების ტექნოლოგია.
- ექსტრაქციის გზით მომზადდა საანალიზო ნიმუშები (მშრალი ალუბალი- ოთხი ჯიში და მშრალი ქლიავი - 3 ჯიში,), სულ 7 ვარიანტი
- გაანალიზებულია და შეფასებულია სასუფრე ყურძნის ნიმუშების შენახვის შედეგები, როგორც შენახვის უნარიანობის ასევე ბიოქიმიური მაჩვენებლების მიხედვით;
- გამოვლინდა კობინირებული ხსნარის დადებითი გავლენა შენახვის პროცესში სასუფრე ყურძნის 6 ჯიშში ბიოქიმიური მაჩვენებლების მიხედვით;
- დამუშავდა კურკოვან ხილზე (ატამის და ნექტარინის 2-2 ჯიში) ჩატარებული ექსპერიმენტალური და ბიოქიმიური კვლევის შედეგები. რის საფუძველზეც გამოვლენილია კომბინირებული ხსნარის ეფექტურობა კურკოვანი ხილის შენახვის უნარიანობასა და დანაკარგებზე შენახვის ბოლოს;
- დამზადდა ქიმიური რეაქტივები საცდელ ნიმუშებში ქიმიური ანალიზების ჩატარების მიზნით, ასევე მომზადდა მაცივარ საკანი ექსპერიმენტების ჩასატარებლად;
- გაანალიზებული და დამუშავებულია ბლის ჯიშებში ჩატარებული ექსპერიმენტისა და ბიოქიმიური კვლევის შედეგები;
- აღებულია ნივრის 2 ფორმა, მიმდინარეობს შენახვისათვის წინასწარი დამუშავება, კონდიციამდე მიყვანა-გამოშრობა;

- განისაზღვრა ალუბლის ნაყოფის (ოთხი ჯიში) ტექნიკური და ძირითადი ტექნოლოგიური მახასიათებლები, რითაც განისაზღვრება შრობის დროს გამოსავლიანობა;
- განხორციელდა ალუბლის (4 ჯიში) და განხორციელდა ქლიავის (5 ჯიში) შრობა კონვექციური მეთოდით ჯიშების მიხედვით; შრობაში ჩართულია ოსმოსური დეჰიდრატაცია (1ჯიში);
- განისაზღვრა მშრალი ხილის ძირითადი ტექნოლოგიური მახასიათებლები: ხმნ, °B; pH; ტიტრული მჟავიანობა, % - ჯიშების მიხედვით ;
- დამზადდა მშრალი ხილის და ბოსტნეულის სხვადასხვა სახეობების კომპოზიციის საფუძველზე ასორტი თაფლით.
- მომზადდა იოგურტში შესატანი ინგრედიენტების - ყურძნის ანარჩენის ნიმუშები.
- დადგენილ იქნა იოგურტში შესატანი ინგრედიენტების დოზები
- დადგინდა იოგურტის ზოგიერთი პარამეტრი: ქიმიური შედგენილობა%, ფენოლური ნაერთების ჯამური რაოდენობა და ბოჭკოს შემცველობა.
- ჩატარდა სხვადასხვა მერქნით შებოლილი სულგუნის ქიმიური ანალიზი.
- ლატვიის რესპუბლიკაში საანალიზოდ (3,4 ბეზ ალფა პირენის შესასწავლად) გაიგზავნა 10 ნიმუში; მიღებული შედეგების საფუძველზე მოხდება რეკომენდაციის შემუშავება;
- მიღებულია სხვადასხვა შემავსებლებით (დამატკბობლები: სტევიოზიდი, ყურძნის დეიონიზირებული კონცენტრატი და შემავსებლები: ყურძნის კანი, წიპწა) იოგურტის დამზადების ხუთი რეცეპტი;

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2022 წელს, ინდიკატორის მიხედვით დაგეგმილი იყო 4 სტატიის გამოცემა, 1 რეკომენდაციის შემუშავება. საანგარიშო პერიოდში: გამოიცა 8 სამეცნიერო ნაშრომი; შემუშავდა 4 რეკომენდაცია. 2022 წელს, პროგრამის განხორციელებისთვის დაგეგმილი ბიუჯეტი შეადგენდა 50,000 ლარს, ხოლო ბიუჯეტის ფაქტობრივმა ათვისებამ შეადგინა 22,762 ლარი.

| ამოცანა 3.4: სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებების ხარისხის უზრუნველყოფა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 3.4.3: სოფლის მეურნეობის პროდუქტთა შენახვა-გადამუშავების მეთოდების სამეცნიერო კვლევა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2022 – 31.12.2022 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>გამოიცემა 4 სტატია, შემუშავდება 1 რეკომენდაცია. | **შესრულებული:**<br>2022 წელს, გამოიცა 8 სტატია;<br>შემუშავდა 4 რეკომენდაცია; |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 50,000 ლარი | **ფაქტობრივი:** 22,762 ლარი |

| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელები ს პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელებ ის პროცესი შეწყვეტილია | განხორციელებ ის პროცესი დასრულებულ ია |
| | სტატუსი | | X | | | |